ტერაქტი რკინიგზაზე A2

ზურაბ ჟვანიას კონფიდენციალური შეხვედრები A3

"თქვენი აფხაზეთი" B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 26 მაისი, 2004 წელი. №123 (672) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

"კოკა-კოლას" კონკურენტი გამოუჩნდა

თითქმის ერთი თვეა, რაც ქართულ სარეალიზაციო ქსელში ქართული შეფუთვით გამოვიდა გამაგრილებელი სასმელების პოპულარული ბრენდი "პეპსი". ქართული "პეპსის" ჩამომსხმელი ქარხნის პრეზენტაცია გუშინ მოეწყო. ორხევის რაიონში მდებარე ქარხნის გამშვებ ღილაკს თითი თავად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჭირა.

A4

უცხოეთი

ჯორჯ ბუში: წინ რთული დღეებია

აშშ-ს მოქალაქეებს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა. მისი გამოსვლა პენსილვანიის შტატში, ქალაქ კარლაილის სამხედრო კოლეჯში შედგა. დამკვირვებელთა პროგნოზი და წინასწარი ვარაუდი გამართლდა - ბუშის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, ერაყში კვლავ ძველებურად გაგრძელდება.

A5

საზოგადოება

საზოგადოებრივი რევიზია

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სოციალური აღორძინების ფონდის" მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო პროგრამის პრეზენტაცია შედგა. ფონდი თბილისის რაიონულ გამგეობებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გამოყოფილი თანხების მონიტორინგს ახორციელებს.

A6

სამართალი

კენჭაძის საქმეზე დაკავებულთა რიცხვი იზრდება

ვიდრე გენერალური პროკურატურა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის ბრალეულობას საბოლოოდ დაამტკიცებს და საქმეს საბოლოო განხილვისათვის სასამართლოში გადაგზავნის, უშიშროების გენერალ-მაიორის საქმეში თანამონაწილეთა და დაკავებულთა რიცხვი მატულობს.

A7

ამინდი

თბილისი	29	
ქუთაისი	24	
ბათუმი	17	
სოხუმი	17	
ფოთი	19	
თელავი	27	
ზუგდიდი	23	
გორი	25	
ახმეტა	27	
ჭიათურა	25	
გაგრა	14	
სამტრედია	23	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3113
გირვანქა სტერლ.	3.4516
რუბლი	0.0663

ეს დროშა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფრიალდება

ვერიკო თევზაძე

"ადამიანი ცვალებადია, ყველაფერი იცვლება. არ იცვლება სულიერი და ეროვნული ფასეულობანი. უცვლელია ის ჭეშმარიტი რწმენა, რომლითაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და რომლითაც გადარჩა ჩვენი ქვეყანა... ახლა აღვავლენთ ლოცვებს საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის," - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ საქართველოს სამხედრო სეფე დროშა, ასევე საჰაერო, საზღვაო, ეროვნული გვარდიის, სახმელეთო ჯარების საბრძოლო დროშები აკურთხა.

საზეიმო ცერემონიალს ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ესწრებოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



საქართველოს ნაკურთხი სეფე დროშა.

ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და ქართული ყვავილოვანი რევოლუცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №122

ვახტანგ ძაბირაძე

პირველი კომპონენტის, სახელისუფლებო ბლოკის ჩამოყალიბება ე. შევარდნაძის ლიდერობით დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან, ბუნებრივია, თუ შევარდნაძე ამგვარ სურვილს გამოთქვამდა, მას არა თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, არამედ დიდი სიხარულითაც დათანხმდებოდნენ. გაცილებით რთული იყო მეორე კომპონენტის - ერთიანი ოპოზიციური ფრონტის ფორმირება. შუამავლის როლი ამ საქმეში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა იკისრა და სწორედ ამ ფრონტის შექმნისათვის იქნა გამოყენებული მთელი ის რესურსი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ; ოპოზიციურ ფრონტში, რომლის ლიდერად ჟვანია-სააკაშვილის ტანდემი მოიაზრებოდა (სწორედ ამ მიმდევრობით და არა სხვაგვარად), უნდა გაერთიანებულიყვნენ ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უარს ამბობდნენ ამგვარ ოპოზიციურ ბლოკში მონაწილეობაზე, მყისვე ექცეოდნენ პროპაგანდისტულ-ფსიქოლოგიური პრესის ქვეშ, თუმცა, სიმართლე ითქვას, ძალიან ხშირად ამ პარტიათა მიერ გადადგმული მცდარი პოლიტიკური ნაბიჯებიც ხდებოდა მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის საბაბი.

გაგრძელება B6 გვერდზე

პატიმრები მწვანილს მოიყვანენ

იუსტიციის მინისტრის სტუმრობა იმერეთში

გუშინ ქუთაისში იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი იმყოფებოდა. მან პრეზიდენტის რწმუნებულთან დათო მუმლაძესთან ერთად, მხარეში არსებული ყველა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება მოინახულა.

ვიზიტის ფარგლებში ყველაზე საყურადღებო გახლდათ გიორგი პაპუაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ქუთაისში მალე ევროპული სტანდარტების საპყრობილე გაკეთდება. არადა, აქამდე ქალაქში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სრულიად მოშლილი კომუნიკაციების მქონე ციხე ფუნქციონირებს, სადაც ეჭვმიტანილის განთავსება მისი უფლებების დარღვევასთან ავტომატურად ასოცირდება.

იუსტიციის მინისტრი თავდაპირველად გეგუთის კოლონიას ესტუმრა. დაათვალიერა იქ არსებული შენობა-ნაგებობები და შეხვდა პატიმრებს. შემდეგ იუსტიციის მინისტრმა და პრეზიდენტის რწმუნებულმა ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთი დაუმთავრებელი შენობა მოინახულეს. პაპუაშვილის განმარტებით, უკვე გადაწყვეტილია, რომ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნულ ნაგებობას პენიტენციალურ სისტემას გადასცემს. შენობა ევროსტანდარტების შესაბამისად

გაგრძელება A2 გვერდზე

ქებათა ქება სამშობლოს

B1

ახალი სახელმწიფო გერბი პარლამენტში "გაიჭედა"

გიორგი ასანიშვილი

ელდარ შენგელაიას კინოგმირ ვაჟა ზაზაევიჩისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, რატომ ჰქონდა სოსოს ნაწარმოებს ორი სათაური. ზოგიერთი ქართველი პარლამენტარისთვის ასევე გაუგებარია, ელდარ შენგელაიას ხელმძღვანელობით არსებულმა სახელმწიფო კომისიამ რატომ გამოაცხადა კონკურსში გამარჯვებულად ის გერბი, რომელზეც წმინდა გიორგი ორჯერ არის გამოსახული. თუმცა, გერბთან დაკავშირებული გაუგებრობები ამით არ მთავრდება: დეპუტატები ოქროს საწმისისა და ე.წ "ცეცხლოვანი მთის" ჰერალდიკურ გადაწყვეტასაც ეჭვის ქვეშ აყენებენ. ასეთ ვითარებაში პარლამენტი ორკვირიან ტაიმ-აუტს იღებს და დღევანდელ სახელმწიფო გერბს დროებით ძალაში ტოვებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სავალუტო ფონდის პროგრამის აღსადგენად უკანასკნელი ბარიერი მოიხსნა

ზურაბ ჟვანიას ვიზიტი მოსკოვში

ნიკა იმნაიშვილი

გუშინ, გვიან ღამით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მოსკოვში ორდღიანი სამუშაო ვიზიტის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ვიზიტის უმთავრეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმება რუსეთის მთავრობის თავმჯდომარესთან და ფინანსთა მინისტრთან ამ ქვეყნისადმი საქართველოს სუვერენული ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე. გუშინდელ დღემდე რუსეთი რჩებოდა ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელიც პარიზის კრედიტორთა კლუბში უარს აცხადებდა ვალის რესტრუქტურიზაციაზე და ამით ხელს უშლიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობის და პროგრამის აღდგენის საკითხთა გატანას.

გაგრძელება A3 გვერდზე

პირველი 100 დღე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

ნინო ცინცაძე

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საზოგადოებას პირველი 100 დღის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა წარუდგინა. სხვა ქვეყნებში ასი დღის განმავლობაში მთავრობას აცლიან - მას ხმამაღლა არც პრესა აკრიტიკებს და არც საზოგადოება. საქართველოში ასი დღე დაცდა არავის უფიქრია - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდმივი კრიტიკის საგანი იყო. თუმცა, ეს დიდად გასაკვირი არც არის. ის, რასაც სამინისტრო აკეთებს, ან გააკეთებს, თითოეული ჩვენგანის ოჯახს, პირდაპირ თუ ირიბად, აუცილებლად ეხება.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რაკურსი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

პატიმრები მწვანილს მოიყვანენ

პირველი გვერდიდან

შეკეთდება, იქნება სრულად კომპიუტერიზირებული და იქ ქუთაისის ამჟამინდელი მეორე საპყრობილე განთავსდება. ცნობისათვის: აღნიშნული საპყრობილე დღეს ქუთაისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მდებარეობს და ავარიულ მდგომარეობაშია. ერთი წლის წინ, იქ ეგრეთ წოდებული "სინკარი" ჩამოვარდა და რამდენიმე პატიმარი სასწაულებრივად გადარჩა. ციხეში დაზიანებულია და პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო და წყლით მომარაგების სისტემები. აღნიშნული საპყრობილე ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროსაა აშენებული. თავდაპირველად იგი სურსათის საწყობად გამოიყენებოდა, შედეგ კი საპყრობილედ გადაკეთდა. ახალ საპყრობილეში 1000 მსჯავრდებულზე მეტი განთავსდება. აღნიშნულის თაობაზე კმაყოფილება რწმუნებულმა დათო მუმლაძემაც გამოხატა, რადგანაც გადაწყდა, რომ ციხე, ძირითადად, ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება, რაც ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ავტოქარხნის დასახლებისათვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება.

მინისტრმა ქუთაისის საპყრობილეში რამდენიმე საკანი, სამზარეულო და სამლოცველო მოინახულა. პაპუაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ქალებისა და არასრულწლოვანთა საკნებზე გაამახვილა. ქუთაისის საპყრობილეში ამჟამად რვა ქალბატონი იხდის სასჯელს. სანამ საპყრობილე ადგილმდებარეობას შეიცვლის, გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში მედპუნქტს შეაკეთებენ. ამავე დროს მინისტრმა საპყრობილეში ახალი ხელმძღვანელი შოთა ტორაძეც წარადგინა. იგი მანამდე ადგილობრივი საგამოძიებო დეპარტამენტის უფროს გამომძიებლად მუშაობდა. ხონისა და გეგუთის კოლონიის ხელმძღვანელებმა კი იუსტიციის მინისტრს პატიმრების დასაქმებაში დახმარება სთხოვეს. გადაწყდა, რომ აღნიშნული კოლონიების ტერიტორიაზე მწვანილის სასათბურე მეურნეობებს გააშენებენ.

ბექა სისაური, ქუთაისიდან

პრეზიდენტს აზერბაიჯანის ელჩმა რწმუნებათა სიგელი გადასცა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტს აზერბაიჯანის ელჩმა რამიზ ჰასანოვმა რწმუნებათა სიგელი გადასცა. დახურული შეხვედრის შემდეგ ჰასანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ქართული ენის შესწავლა დაიწყო და მალე, ალბათ, ქართულად ისაუბრებს.

ჰასანოვის ინფორმაციით, ივლისის შუა რიცხვებში თბილისში დაგეგმილია აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტი. ალიევი ასევე მონაწილეობას მიიღებს სუუამ-ის სამიტში, რომელიც ბათუმში გაიმართება.

24 საათი

საქველმოქმედო საღამო "მეტეხში"

მიუსაფარი, შეჭირვებული ქართველი ბავშვების ბედით შეწუხებულმა თბილისელმა ქალბატონებმა 2003 წლის 5 ნოემბერს კიდევ ერთი, ალბათ, ხუთიათას მეერთე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს, უცხოური სახელწოდებით - "ლიბერთი ჰოუმ" და განიზრახეს ქართველი მზრუნველობამოკლებული ბავშვების პატრონობა. გუშინ ორგანიზაციამ საქველმოქმედო საღამო გამართა.

"დღევანდელი საქველმოქმედო საღამო პირველი ნაბიჯია ჩვენთვის. ბავშვებზე ზრუნვა საჭირო და კეთილშობილი საქმეა. განვიზრახეთ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებზე ზრუნვა. ყურადღება კოჯრის ბავშვთა სახლზე შევაჩერეთ. მართალია, მათ მატერიალურად არაფერი უჭირთ, მაგრამ სულიერი თანადგომა სჭირდებათ," - გვითხრა საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რუსუდან დათუკაშვილმა.

საქველმოქმედო საღამოს საშუალებით შეგროვებული თანხით კოჯრის ბავშვთა სახლის ორმოცდაათი აღსაზრდელი ივნისის დასაწყისში ლაგოდეხში გაემგზავრება. გზად თელავში შეივლიან, ერეკლეს სასახლეს და თელავის ღირსშესანიშნავ სხვა ადგილებსაც მოინახულებენ. შემდეგ სამი დღის განმავლობაში ბავშვები ლაგოდეხის ნაკრძალში იცხოვრებენ და ნაკრძალის მშვენიერებით დატკბებიან.

ლელა მარგიანი

დააკავეს ჯემალ გოგიტიძის ბიძა

ქობულეთის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სხვისი ქონების განზრახ დაზიანებაში ეჭვმიტანილი ორი პირი - ქობულეთელი თენგიზ გოგოლიშვილი და აჭარის შს ყოფილი მინისტრის, ჯემალ გოგიტიძის ბიძა თამაზ შამილიშვილი.

აჭარის შს საგამოძიებო დეპარტამენტის ქობულეთის სამმართველოს უფროსის გოჩა ჯაშის განცხადებით, აღნიშნული პირები ბათუმში განხორციელებული რევოლუციის დღეებში ერთ-ერთი მოქალაქის ავტომანქანის დაზიანებაში არიან ეჭვმიტანილნი. ამასთან, არსებობს გარკვეული ინფორმაციები იმის თაობაზეც, რომ ისინი "აღორძინების" დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია "ქობულეთელის" წევრები იყვნენ, რომლებიც ბათუმში მიტინგების დარბევებში მონაწილეობდნენ. თუმცა, როგორც ჯაში აღნიშნავს, ჯერჯერობით, ეს ინფორმაციები გამოძიებით დაუზუსტებელია. ამასთან, გასარკვევია, ოფიციალურად იყო თუ არა რეგისტრირებული თავად საზოგადოება "ქობულეთელი".

ჯაშის განცხადებით, თამაზ შამილიშვილი ხელწერილის საფუძველზეა გათავისუფლებული, რადგან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში იგი დაზარალებულმა მხარემ ვერ ამოიცნო. რაც შეეხება გოგოლიშვილს, იგი ისევ პატიმრობაში იმყოფება და ოფიციალურად წარედგინება ბრალი, რის შემდეგ სასამართლო მისი აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის საკითხზეც იმსჯელებს.

პრაიმ-ნიუსი

"გამტაცებლებმა" კანონი აღასრულეს

გუშინ საოლქო სასამართლოში გაუგებრობა მოხდა. სოფელ დიღმის მიწათმომწყობს ნოდარ ლასურაშვილს, რომელსაც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პროკურატურა უფლებამოსილების გადაჭარბებას ედავება (რაც შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს) და რომელიც აქამდე დაკავებულიც არ იყო, თბილისის საოლქო სასამართლომ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ნოდარ ლასურაშვილი, რომელიც მცხეთის საკრებულოში "ნაციონალური მოძრაობის" სიით არის არჩეული, 15 წლის გამავლობაში, 2002 წლამდე, სოფელ დიღმის მიწათმომწყობი იყო. ბოლო პერიოდში გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში მიწის კადასტრის მსოფლიო ბანკის პროექტის განხორციელების ჩაშლა სწორედ ლასურაშვილს უკავშირდება. როგორც ამბობენ, მიწათმომწყობმა პროექტის თანამშრომლებს დიღმაში შესვლისა და მიწების აზომვის უფლება არ მისცა, რის გამოც დიღმის ტერიტორიაზე პროექტის განხორციელება ჩაიშალა.

ლასურაშვილის ადვოკატის თემურ გოგსაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საოლქო სასამართლოს შენობიდან გამოსული მიწათმომწყობი დაუდგენელმა პირებმა "BMW"-ს მარკის ავტომობილში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. გაუგებრობა სწორედ აქედან დაიწყო. არადა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოსამართლემ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დადგენილება ბრალდებულის და მისი დაცვის მხარის დაუსწრებლად გამოიტანა, რაც ბრალდებულისთვის არავის შეუტყობინებია. ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ლასურაშვილი ახალი მტკიცებულებების მოსატანად ქალაქში მიდიოდა, რა დროსაც პოლიციელებმა დააკავეს კიდეც. კანონის შესაბამისად, ლასურაშვილი ამჟამად სასჯელაღსრულების დაწესებულების №1 საპყრობილეშია მოთავსებული.

24 საათი

ტერაქტი რკინიგზაზე

სამართალდამცველებმა საქართველოს რკინიგზაზე, ბოლო თვეებში, რიგით მესამე ტერაქტის მცდელობა აღკვეთეს. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ავჭალის სადგურთან მდებარე სარკინიგზო ხიდთან 800 გრამი ტროტილის შემცველი ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. რის გამოც, სარკინიგზო მიმოსვლა, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში შეჩერებული იყო. უშიშროების სამინისტროს განცხადებით, მათთვის ცნობილია სავარაუდო ეჭვმიტანილთა ვინაობა, ერთ-ერთი მათგანი - ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელია. თუმცა, ეჭვმიტანილები, ჯერჯერობით, დაკავებულები არ არიან. მიმდინარეობს მათი ძებნა.

უშიშროების სამინისტროს ექსპერტთა განცხადებით, მოსალოდნელ აფეთქებას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა, რადგან აღნიშნულ მაგისტრალზე სამგზავრო მატარებლები მოძრაობენ, ხოლო დამონტაჟებული ტროტილის რაოდენობა იმ ხიდის მთლიანად დანგრევას გამოიწვევდა, რომელზეც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. აფხაზეთის მკვიდრი, ყოფილი მფრინავი, ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ზაურ ბედია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ღია წერილით მიმართავს, რომელშიც ნათქვამია: "გთხოვთ, საფუძვლიანად შეისწავლოთ და გამოამზეუროთ ირინა სარიშვილის პიროვნება, ვინაიდან გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს ემსახურება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" ბოიკოტს უცხადებს 20 ივნისს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნულ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, თუმცა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში "ახლებთან" ერთად ბლოკში მყოფი პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩინეს საქართველოს" ამ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, პარლამენტარ დავით გამყრელიძის თქმით, ეს არის სრულიად უკანონო არჩევნები, რადგან კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული არ არის, თუ როგორი იქნება აჭარის უმაღლესი საბჭო - ერთპალატიანი თუ ორპალატიანი, და რა უფლებები ექნება მას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა, წარმოებაში მიეღო "ლეიბორისტული პარტიის" წევრების სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მხარე 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების ანტიკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ "ლეიბორისტული პარტიის" წევრები არასათანადო მოსარჩელედ ცნო და განმარტა, რომ შესაბამისი სარჩელი პარლამენტის წევრებს უნდა წარედგინათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი ელენე თევდორაძე "სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტის პრინციპულ განხილვას მოითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ პარლამენტში შესული პროექტი ძირეულად განსხვავდება ძველისგან. "სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტი პირველი მოსმენით 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა მიიღო, თუმცა მისი დასრულება და ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ არის მომზადებული. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, პარლამენტი აღნიშნული კანონპროექტის რომელი მოსმენით განხილვას მიუბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დეპუტატები საზოგადოებრივ მისაღებში სამი კომპეტენტური პირის დასმას აპირებენ, რომლებმაც მოქალაქეთა წერილები უნდა ჩაიბარონ. პარლამენტარი ბესო ჯუღელი სერიოზულად არის შეშფოთებული მოქალაქეთა წერილების კატასტროფულად დიდი რაოდენობითა და მათი შინაარსით. "თითქმის ყოველ მეორე წერილში მოქალაქეები სამსახურსა და დასაქმებას მთხოვენ, მე როგორ შემიძლია მათ დავეხმარო?" - კითხულობს ბესო ჯუღელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. პარლამენტარები კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური, აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით, ბათუმში ხელმოწერების შესაგროვებლად ჩავიდნენ. კობა დავითაშვილის განცხადებით, ავტონომიის გაუქმების სურვილი სწორედ მოსახლეობისგან უნდა მოდიოდეს და უახლოეს პერიოდში ამ მიზნით პლებისციტი უნდა ჩატარდეს. დავითაშვილი და ძიძიგური აჭარაში ერთი კვირით დარჩებიან. კულუარული ინფორმაციით, მათი ბათუმში ჩასვლა კობა ხაბაზის წინასაარჩევნო კამპანიასაც უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №435

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

გიორგი მახარაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში, ღვინის წარმოების ტექნოლოგიის პროცესების სრულყოფაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მევენახეობისა და მებაღეობის დარგში ნაყოფიერი საქმიანობისა და სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის მენეჯმენტისა და აგრობიზნესის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი მახარაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №436

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

იური დიაჩკოვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოში მძლეოსნობის სახეობათა განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის რომის XVII ოლიმპიური თამაშების მონაწილე, 1965-67 წლების საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ათჭიდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ღვაწლმოსილი პედაგოგი, დოცენტი იური დიაჩკოვი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №437

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეიარაღებულ ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლები:

ლევან არქანია - პოლიციის ზემდეგი, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ)

ბესიკ ფიფია - პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პროფილაქტიკის ქვეგანყოფილების პოლიციის უბნის უფროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ)

ვალერი შანავა - პოლიციის კაპიტანი, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სოფელ ლიას პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფის უფროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ)

ანთიმოზ ძაძამია - პოლიციის ზემდეგი, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უზრუნველყოფის ქვედანაყოფის მძღოლ-პოლიციელი (სიკვდილის შემდეგ).

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №438

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა მედლით "მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

1994 წლის 27 ივლისს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან გატაცებული განსაკუთრებული ისტორიული და მატერიალური ფასეულობის მქონე ფერწერული ტილოების - XVI საუკუნის ლუკას კრანახ უფროსის "მაჭანკალი", XVII საუკუნის იაკობ ვან რეიზდალის "პეიზაჟი" და XVIII საუკუნის ჟან ბატისტ შარდენის "ნატიურმორტი" - ამოლებაში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით "მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლები:

ვლადიმერ ბადაგაძე - პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი

თამაზ ვასაძე - პოლიციის პოლკოვნიკი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსი

დავით კეკუა - პოლიციის გენერალ-მაიორი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ლე კრიმინალური პოლიციის ხაზით

ლევან მაისურაძე - პოლიციის გენერალ-მაიორი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი

გიორგი ფერაძე - პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსი

კახაბერ ჩინჩალაძე - პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსი.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №439

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა საქართველოს ორდენითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, სვანეთის რეგიონში ანტიკრიმინალური და სამეგრელოს რეგიონში ოპერატიული ღონისძიებების დროს გამოვლენილი მამაცობის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს ორდენითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლები:

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

ბახვა ჩიქობავა - პოლიციის კაპიტანი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის მეთაური.

მედლით "მხედრული მამაცობისათვის":

კობა ბებია - პოლიციის სერჟანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის პოლიციელი

პაატა გაბუნია - პოლიციის კაპიტანი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ინსპექტორი

ჯონი დარასელია - პოლიციის ლეიტენანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ძებნის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი

ალბერტ კილასონია - პოლიციის უფროსი სერჟანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის პოლიციელი

ბადრი პაჭკორია - პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი

აკაკი საჯაია - პოლიციის სერჟანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის პოლიციელი

გია ფაჩულია - პოლიციის ლეიტენანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის მეთაურის მოადგილე საბრძოლო მომზადების დარგში

სოსო ფიფია - პოლიციის კაპიტანი, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ხაზით

ფელიქს ცანავა - პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი

კახა ხუნწარია - პოლიციის სერჟანტი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის პოლიციელი.

მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის":

თორნიკე საჯაია - პოლიციის პოლკოვნიკი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ადმინისტრაციული პოლიციის ხაზით.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №179

2004 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემიების შესახებ.

I. მიენიჭოთ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემიები და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში:

1. ლეონიდე გაბუნიას - (გარდაცვალების შემდეგ); აბესალომ ვეკუას - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს; დავით ლორთქიფანიძეს - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს; მედეა ნიორაძეს - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგეს - 1992-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის - "დმანისელი ადამიანის ადგილი ადრეულ ჰომინიდებს შორის, მისი მატერიალური კულტურა და ბუნებრივი გარემო".

2. ეთერ ქემერტელიძეს (ხელმძღვანელი) - ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორს; მერი ალანიას - ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; ეთერ ბაბაკაძეს - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების ფარმაკოლოგიის ცენტრის დირექტორს; ალექსანდრე ალადაშვილს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორს; ალექსანდრე ალადაშვილს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ფიტოქიმიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს; დურმიშხან ტურაბელიძეს - ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს - 1960-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის - "ბიოლოგიურად აქტიურ მცენარეულ ნივთიერებათა შესწავლა და ახალი სამკურნალო პრეპარატები".

მედიცინის მეცნიერებათა დარგში:

1. ლავრენტი მანაგაძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელს; დავით გოცაძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიური ეროვნული ცენტრის უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს; აკაკი ნადარეიშვილს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის და სისხლძარღვთა დოპლეროგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს; თეიმურაზ ჩიგოგიძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვან სპეციალისტს; გიორგი ხვადაგიანს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვან სპეციალისტს - 1988-2000 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის - "შარდის დერივაციისა და ენტეროცისტოპლასტიკის ახალი მიმართულებები - ხელოვნური შარდის ბუშტის ფორმირება ნაწლავის დეტუბულირებული სეგმენტით".

2. გულნარა ჩაფიძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორს; ალექსანდრე ალადაშვილს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გულსისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; სიმონ კაპანაძეს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორს სამკურნალო დარგში - 1988-2000 წლებში შესრულებული ნაშრომისათვის - "საქართველოში გულის იშემიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური (ინვაზიური და ინტერვენციული) მეთოდების დანერგვა".

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში:

1. იური ანანიაშვილს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის პროფესორს; კლიმენტი აჩელაშვილს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის გამგეს; იაკობ მესხიას - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს; ვლადიმერ პაპავას - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგეს, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; ავთანდილ სილაგაძეს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგეს; გიორგი წერეთელს - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს - 1965-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის - "მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები".

2. გიორგი ჩიტაიას (გარდაცვალების შემდეგ); თამილა ცაგარეიშვილს - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის პროფესორს; ზურაბ წერეთელს - პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს - 1977-2001 წლებში გამოცემული - "შრომების" (5 ტომი) და "ეთნოგრაფიული ალბომისათვის".

ტექნიკის დარგში:

1. ჯუმბერ იოსებიძეს - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის გამგეს; თორნიკე აფაქიძეს - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის პროფესორს; ალექსანდრე ჩხეიძეს - ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანს; ელ

სავალუტო ფონდის პროგრამის აღსადგენად უკანასკნელი ბარიერი მოიხსნა

პირველი გვერდიდან

უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს ხანში სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ფონდის პროგრამის აღდგენის შესახებ, რითაც მწვანე შუქს აუნთებს ყველა სხვა დონორს. მათ შორის მსოფლიო ბანკსა და ევროკავშირს.

მოსკოვში მიღწეული წარმატება მით უფრო თვალსაჩინოა, რომ რუსეთი ვალების რესტრუქტურიზაციის თანხმობის სანაცვლოდ ითხოვდა, ქართულ მხარეს მოეხსნა ყველა წინაპირობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განევრიანებისათვის, მაგრამ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქართველო მხოლოდ მაშინ დაეთანხმება მსო-ში რუსეთის ფედერაციის მიღებას, თუ მოსკოვი თავის მხრივ გააუქმებს საბაჟო ბარიერებს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრების შეხვედრას რუსეთის მხრიდან მთავრობის ყველაზე გავლენიანი წევრები ესწრებოდნენ, მათ შორის ეკონომიკური განვითარების მინისტრი გერმან გრეფი, ფინანსთა მინისტრი კუპრინი, ენერგეტიკის მინისტრი ხრისტენკო და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შტატს-მდივანი, საგანგებო დავალებათა ელჩი, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური ნარმომადგენელი ლოშჩინინი, რომელიც, როგორც ჩანს, უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს მიმართულებას კურირებს.

უახლოეს მომავალში გერმან გრეფი თბილისში ჩამოუძღვება გავლენიანი რუსი ბიზნესმენების დელეგაციას, რათა მონაწილეობა მიიღოს რუსეთ-საქართველოს ბიზნესკონფერენციაში. რუსები მზად არიან სერიოზულ ინვესტიციათა დაბანდებისათვის; მაგალითად, თითქმის გადაწყვეტილია კავკასიაში და მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში უდიდესი ელმავალმშენებელი ქარხნის მოდერნიზაციის საკითხი. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის სარკინიგზო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გენადი ფადეევი უკვე სთავაზობს ქართველ კოლეგებს შესაბამის პროექტს. საქართველო კი მზად არის, მოიზიდოს რუსული ინვესტიციები აჭარაში, კერძოდ, ბათუმის პორტში, ფოთში, რუსთავის კომპლექსსა და ენგურჰესში, მაგრამ ეს ენერგეტიკული პროექტი განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების პირობით. არ არის დავიწყებული, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიის გავლით ნოვოროსიისკიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე ახალი ნავთობსადენის მშენებლობის იდეა. მართალია, პრემიერ-მინისტრების შეხვედრისას კონკრეტული გადაწყვეტილება ამის თაობაზე არ მიუღიათ, მაგრამ

ზურაბ ჟვანია და მიხაილ ფრადკოვი.

მიხაილ ფრადკოვის თქმით, პროექტი განხილვას იმსახურებს.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ანატოლი ჩუბაისთან. რუსეთის "ერთიანი ენერგოსისტემების" გამგეობის თავმჯდომარემ პრემიერს განუცხადა, რომ რთული სტარტის შემდეგ იგი კმაყოფილია მიღწეული შედეგით და მზად არის ახალი ინვესტიციებისთვის. ანატოლი ჩუბაისის განწყობით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პროექტი მას ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად მიაჩნია არსებული პრობლემების მიუხედავად, ამიტომ მზად არის, ასეულობით მილიონი დოლარი დააბანდოს ენგურჰესის რეაბილიტაციის, ხრამჰესის აღდგენისა და თბილსრესის მეათე ბლოკის აღდგენისათვის. თუმცა, ქართულ მხარეს ჯერჯერობით სერიოზული პრეტენზიები აქვს. კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა მკაცრი ტონით განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას არარეალურად ეჩვენება ელექტროენერგიის მოხმარების ის მაჩვენებლები, რომლებიც აფხაზეთში ფიქსირდება. როგორც ცნობილია, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ქართულმა მხარემ თავის თავზე აიღო აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მაგრამ სეპარატისტები ზოგიერთ რუს ენერგომაფიოზთან ერთად ამით ოსტატურად სარგებლობენ და მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, გასულ წელს, მაგალითად, აფხაზეთმა დღეში 200 მეგავატი მოიხმარა, რაც აშკარა სიცრუეა, ვინაიდან, მაგალითად, კახეთის სრული მომარაგებისთვის 50-60 მეგავატი სავსებით საკმარისია და მეტიც კი არის. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ასკვნის, რომ სეპარატისტები ელექტროენერგიის რეექსპორტს ახორციელებენ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში. საქართველოს ხელისუფლება კი არ აპირებს ამგვარი ცრუპენტელობა კვლავაც მოითმინოს. ანატოლი ჩუბაისმა ზურაბ ჟვანიას აღუთქვა, რომ დეტალურად გაერკვევა ვითარებაში, თუმცა, გამორიცხავს რეექსპორტის შესაძლებლობას.

ჩუბაისის თქმით, იგი საქართველოს სთავაზობს, მუშაობა განაგრძოს რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში და მოსკოვთან ერთად იმუშაოს ევროკავშირთან ენერგოსისტემების სინქრონიზაციისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოსა და საქართველოში ელექტროენერგიის სიხშირის იდენტური პარამეტრები იქნება. პრემიერ ჟვანიას რეაქცია ამ წინადადებებზე აშკარად მეტყველებდა: ოფიციალურ თბილისს რუსეთის მიმართ არავითარი ფობია აღარ აქვს და მზად არის თანამშრომლობისათვის, თუ ეს თანამშრომლობა ქვეყნისთვის პრაგმატულად სასარგებლო შედეგს მოიტანს.

ს.ს. თელასი გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:

უქსოვადი ქსოვილი - 1950მ

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 ივნისი.

ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:

ძრავის ზეთი სხვადასხვა ხარისხის - 600ლიტ

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 27 მაისი.

ს.ს. "თელასი"ANაცხადებს ტენდერს სპეც ფეხსაცმლის, რეზინის ჩექმების და საწვიმარი ლაბადის მოწოდებაზე:

ფეხსაცმელი და რეზინის სამუშაო ჩექმები უნდა იყოს აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა იყოს ტყავის, არ უნდა იყოს ლურსმებით შემოჭედილი და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს MyMnCJK

1. თითების დაცვა მექანიკური დარტყმისაგან (პლასტმასის) - My-100
2. დაცვა გახვრეტისა და გაჭრისგან - Mn
3. დაცვა გაჭუჭყიანებულ ზედაპირზე დაცურებისაგან - Cж

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება

შეუძლიათ 2004 წლის 28 მაისამდე; მისამართი:

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ივნისი

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

28 მაისს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:
სოფლების: კიკეთის, ბეთანიის და დიდების მაცხოვრებლებს.
28 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
კელაპტრიშვილის, მიხეილ მესხის, სტურუას, ხუდადოვის, აბაშის, არგვეთის, გივიშვილის, მანგლისის, ღუდუშაურის, სამშვილდის, სამურზაყანოს, სენაკის, ტაშირის, ჭალადიდის ქუჩების მაცხოვრებლებს.
28 მაისს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:
თეთრიხევის დასახლების, აბზიანიძის, ახვლედიანის, მუხაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ზურაბ ჟვანიას კონფიდენციალური შეხვედრები

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვური შეხვედრების შედეგებზე კომენტარი თავად პრემიერმა გააკეთა საღამოს, ზურაბ წერეთლის სახელოსნოში, სადაც რუს ბიზნესმენებთან არაფორმალური შეხვედრა მიმდინარეობდა. საქართველოსათვის ამ მეტად მნიშვნელოვანმა შეხვედრამ საქართველოს პრემიერს მოსკოვის დემოკრატიულ წრეში ესოდენ პოპულარულ რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში გამოსვლაც კი დაათმობინა, რითიც რადიოსადგურის რედაქტორატი, "ქართველების სიძე" - პოპულარული წამყვანი მატვეი განაპოლსკი სრულიად დაუმსახურებელ მსუბუქ შოკში ჩააგდო. ღია ეთერში უკვე რეკავდნენ მოსკოველები ჟვანიასათვის მისაცემი მეტად საინტერესო შეკითხვებით. რუსეთის სინამდვილეში საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ერთადერთ საინფორმაციო საშუალებაში ანონსირებული და შეთანხმებული ღია ეთერი კი ჩაიშალა. საქართველოს დელეგაციამ ჩვეულებრივი "თბილისური ნომერი" გაითამაშა: ჯერ ეთერში დაგვიანა, მერე საერთოდ არ მივიდა. ან იქნებ პრემიერმა ფართე პიარის თვალსაზრისით შემდეგი არჩევანი გააკეთა: მას წერეთლის სახელოსნოში ნტვ-სთან "სტრანა ი მირში" პირდაპირი ეთერი ელოდა.

წერეთელთან გაშლილ მდიდრულ პურმარილზე რუსეთის ბიზნესის თვლსაჩინო წარმომადგენლები შეიყარენ. მათი სრული შემადგენლობა 27 მაისს თბილისში პირველ რუსულ-ქართულ ბიზნეს-ფორუმზე მიფრინავს. წერეთელი კი, როგორც წესი, ყველა ხელისუფლების ხელში რუსეთის გავლენიან წრეებთან გადასასვლელი ხიდია, რომელსაც ვერავინ ააფეთქებს. ოლიგარქებთან "საიდუმლო სერობიდან" ჟურნალისტებთან სასაუბროდ ზურაბ ჟვანია სულ რამდენიმე წუთით გამოდის და ამბობს:

"მოსკოვში ჩემი ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მოგვარებაში სწორედ იმ სიბრტყეზე, რომელიც პრეზიდენტებმა სააკაშვილმა და პუტინმა შექმნეს. რუსულ მხარეს შევთავაზე კონკრეტული გეგმა გალის რაიონში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებაზე. ალბათ, რუსი კოლეგები განიხილავენ ჩვენს წინადადებებს. ერთ- ერთი ასეთი წინადადებაა, რომ სარკინიგზო მიმოსლვის აღდგენა გალში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების დასრულების შემდეგაა შესაძლებელი. ჩვენ გვინდა რკინიგზის გახსნა, დაინტერესებულნი ვართ ამით."

მთავარი შეხვედრა ჟურნალისტებთან კი ჟვანიას გვიან საღამოს, "რუსეთის ჟურნალისტთა ქარტიასთან" ელოდა. ეს დახურული შეხვედრა მოსკოვის ჟურნალისტთა სახლის გვერდით მდებარე ერთ-ერთი ცნობილი რუსი ჟურნალისტის საცხოვრებელ კერძო ბინაში შედგა, სადაც მოსკოველი ჟურნალისტების ნაღები და ცნობილი რუსი ნიუსმეიკერები მივიდნენ. იქ, სრულიად კონფიდენციალურ გარემოში ითქვა მთელი სიმართლე საქართველო-რუსეთის დღევანდელ ურთიერთობებზე. დაუჯერეს თუ არა რუსმა ჟურნალისტებმა ზურაბ ჟვანიას, ვიზიტის დამთავრების შემდეგ რუსული პრესის პირველი პუბლიკაციებიდან გამოჩნდება.

ეს დროშა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფრიალდება

პირველი გვერდიდან

"ემოციური კაცი არ ვარ, მაგრამ დროშების კურთხევა ძალიან ემოციური მომენტი იყო საქართველოს ისტორიაში. ჩვენს ქვეყანაში დადგა დრო აღმავლობისა," - განაცხადა გუშინ გელა ბეჟუაშვილმა.

შეკითხვაზე - **"აფრიალდება თუ არა ეს დროშა აფხაზეთში?"** - თავდაცვის მინისტრმა უპასუხა: **"დიახ, ეს დროშა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფრიალდება."**

მსგავსი განწყობილება გამოხატა ნინო ბურჯანაძემაც: **"დღევანდელი დღე ნებისმიერი ქართველისთვის ამაღელვებელია"**... რაც შეეხება პარლამენტის მიერ გერბის დაწუნების ფაქტს, ბურჯანაძემ ბრძანა, რომ **"მოკლე დროში მაქსიმუმი გაკეთდა და ყველაფერი ერთბაშად ვერ მოესწრება."**

ცერემონიალის "ჩრდილში" იდგა ქართული საბრძოლო დროშების ავტორი მამუკა გონგაძე. როგორც "24 საათს" გონგაძემ განუცხადა, **"ეს დროშები გაკეთებულია 1999 წელს. მაშინ დიდი ბრძოლა გადავიტანე და დროშები ვერ დამტკიცდა."** მამუკა გონგაძის განმარტებით, დროშების შექმნისას იგი ხელმძღვანელობდა ჰერალდიკური კანონების მიხედვით და იმ რეალობიდან გამომდინარე, **"თუ რა გვეკუთვნის, რისი ღირსნი ვართ."** გონგაძის მიერ დამზადებული სეფე დროშა (წითელ ფონზე თეთრი ნიშანი) ეს არის ამოტრიალებული ფერები დღევანდელი სახელმწიფო დროშისა.

ბატონი გონგაძე ასევე არის ავტორი გერბისა, რომელიც გუშინ პარლამენტმა დაიწუნა. ჯერ კიდევ პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დაწყებამდე მამუკა გონგაძემ "24 საათს" განუცხადა: **"არაკომპეტენტურმა, თუმცა ძალიან კარგად "გაპიარებულმა" ადამიანებმა, ჩემი აზრით, ზედმეტის უფლება მისცეს თავიანთ თავს და ისეთი რამ თქვეს, რომელიც, უპირველესად, საკუთარი თავისთვის არ უნდა ეკადრებინათ. შიდა კულუარული მუშაობები იმდენად ძლიერია, წინასწარვე ვიცი, რომ პარლამენტი გერბს არ მიიღებს... რა ყოფილა ეს პოლიტიკა... მემუშავა ჩემთვის..."**

დროშების კურთხევის ცერემონიალზე პრეზიდენტის სტუმრობის ანონსი არ გამართლდა. ცერემონიალის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს პრეზიდენტის დაცვა გამოჩნდა, მაგრამ თავად პრეზიდენტმა, როგორც აღმოჩნდა, ბოლო წუთში გადაიფიქრა. **"პრეზიდენტს გულით უნდოდა მოსულიყო, მაგრამ ბოლო წუთში რეალობა შეიცვალა,"** - განაცხადა პრესასთან კომენტარისას ნინო ბურჯანაძემ.

დღეს, დამოუკიდებლობის დღის საზეიმო აღლუმზე, ნაკურთხ საბრძოლო დროშებს საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი შეიარაღებული ძალების სარდლებს გადასცემს.

ახალი სახელმწიფო გერბი პარლამენტში "გაიჭედა"

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ **"დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე პრეზიდენტი სააკაშვილი 50-მეტრიან ახალ გერბს მთელ ქართველ ხალხს მაინც გაუშლის."**

იმას, რომ ჰერალდიკოს მამუკა გონგაძის მიერ შექმნილ გერბს დეპუტატები მხარს არ უჭერენ, ლევან ბერძენიშვილი ორი რამით ხსნის: უმეცრებით და პროტექციით.

"ზოგიერთი პარლამენტარი ორ-ოსან პირველკლასელს მაგონებს. გაუნათლებლობას კი ოსანას ვერ ვუმღერებ და ოდას ვერ მივუძღვნი," - აცხადებს საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი, რომელსაც მტკიცედ სჯერა, რომ **"ის ხალხი, ვინც დღეს გერბს იწუნებს, ორი კვირის შემდეგ მას ხმას მისცემს."**

ამასთან, ლევან ბერძენიშვილი სახელმწიფო კომისიის მიერ დაწუნებული პროექტების ლობირებაზეც საუბრობს და ამ კონტექსტში კონკრეტულ გვარ-სახელს, კერძოდ, ჯუნა მიქატაძეს ასახელებს.

"დაწუნებულ პროექტებს ავტორები ჰყავთ, ამ ავტორებს - მეგობრები, ახლობლები და მეზობლები. მე კი კარგად ვიცი, ვინ ვისი მეზობელია," - საიდუმლო იარაღს ბოლომდე მაინც არ აჩენს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე. იგი დარწმუნებულია, რომ ორი კვირის განმავლობაში ექსპერტები და სპეციალისტები სათანადო განმარტებებს გააკეთებენ და პრობლემა სამართლიანად გადაწყდება, ანუ მამუკა გონგაძის მიერ შექმნილ გერბს პარლამენტი დაამტკიცებს.

ლევან ბერძენიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს იმასაც შეახსენებს, რომ ახალი გერბი დასამტკიცებლად პრეზიდენტმა წარმოადგინა. **"ამიტომ, ეს თამაშები პრეზიდენტის პოზიციისთვის გვერდის ავლაა,"** - პარტიული სასჯელითაც ემუქრება კომიტეტის თავმჯდომარე ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციების წარმომადგენლებს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლებოდა ადვილად მოძებნილიყო, რომ არა ერთი გარემობა. თითქმის ყველა პარლამენტარი აცხადებს, რომ სახელმწიფო სიმბოლიკად ე.წ "კვართიან-დავითიანი" გერბის დამტკიცება მისაღებად მიაჩნია. მით უმეტეს, 1999 წელს პარლამენტს მიღებული აქვს დადგენილება, რომ სახელმწიფო გერბის საფუძვლად სწორედ "კვართიან-დავითიანი" გერბი უნდა იქნას აღებული. მაგრამ ამ შემთხვევაში, დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები, იმ მოტივით, რომ "კვართიან-დავითიანი" მათი საგვარეულო გერბია, ამის ნებას არ იძლევიან.

თითქმის სამსაათიანი მწვავე პოლემიკის შემდეგ, გუშინ დეპუტატები კონსენსუსამდე მაინც ვერ მივიდნენ. ამიტომ, ნინო ბურჯანაძემ აღარ გარისკა და პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, პირველი მოსმენით, კენჭისყრაზე აღარ დააყენა. დეპუტატების მიერ აღებული ორკვირიანი ტაიმ-აუტი პრეზიდენტთან, ექსპერტებთან და ერთმანეთთან კონსულტაციისთვის იქნება გამოყენებული. ამასთან, ნავარაუდევია სახელმწიფო კომისიის გაფართოება და მასში საპატრიარქოს წარმომადგენლების შეყვანა.

გარდა ამისა, კონკურსში გამარჯვებული გერბი შესასწავლად გადაეგზავნება ჰერალდიკოსთა მსოფლიო საბჭოს, საფრანგეთისა და რუსეთის ჰერალდიკურ აკადემიებს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, მათი რეკომენდაციებიც იქნება გათვალისწინებული.

რას გვპირდება ტურიზმის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე

კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ის ტურისტული კომპანიის "კავკასუს-თრეველის" უკვე ყოფილი ხელმძღვანელი, 44 წლის საბა კიკნაძეა, რომელსაც სახელმწიფო სექტორში დღემდე არ უმუშავია.

ეთერ მამულაშვილი

ტურიზმის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა გუშინ თანამშრომლებს ოფიციალურად წარუდგინა. პრეზენტაციას დეპარტამენტის ყოფილი შეფი ვაჟა შუბლაძეც ესწრებოდა, რომელიც დღეიდან ეკონომიკის მინისტრის მრჩევლად დაიწყებს მუშაობას.

პროფესიით არქიტექტორი საბა კიკნაძე წლების განმავლობაში სხვადასხვა არქიტექტურულ სახელოსნოებში მუშაობდა. ბოლო დროს ის ცნობილი ტურისტული კომპანიის "კავკასუს- თრეველის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის თქმით, თავდაპირველად იგი სამსახურში არსებულ სიტუაციას დეტალურად გაეცნობა. ხოლო რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, ის ამ მხრივ ცვლილებებს, ჯერჯერობით, არ გეგმავს. კიკნაძის თქმით, ყველა პროფესიონალი დეპარტამენტში თანამდებობას შეინარჩუნებს. **"სამსახურს მხოლოდ არაპროფესიონალი კადრები გამოეთხოვებიან,"** - აღნიშნა საბა კიკნაძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

ქვეყნის იმიჯის გამოსწორება, საგარეო ხელშეწყობა და საკანონმდებლო ბაზის ტრანსფორმაცია - ეს არის ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელთა მიღწევასაც დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე უახლოეს ერთ-ორ წელიწადში გვპირდება. **"საჭიროა ქვეყანაში**

თეგი სუხიშვილის ფოტო

"სამსახურს მხოლოდ არაპროფესიონალი კადრები გამოეთხოვებიან".

არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის - საგადასახადო სისტემა, რომელიც ტურიზმის განვითარებას ხელს მაქსიმალურად შეუწყობს. არსებობს ძალიან კარგი მაგალითები იმისა, თუ რა წარმატებას მიაღწია ტურიზმმა ზოგიერთ ქვეყანაში, ეს კი სწორედ სწორი საგადასახადო პოლიტიკის წყალობით მოხდა," - ამბობს დეპარტამენტის ახალი შეფი.

კიკნაძე გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს იმ საგადასახადო შეღავათებზე, რომელიც ტურიზმის სფეროს განვითარებას უკავშირდება. ასეთი შეღავათები დღეს მოქმედ საგადასახადო კოდექსში რამდენიმეა. ყველაზე "მსხვილი" შეღავათი სასტუმროების მშენებლობას ეხება. კერძოდ, 250 ათას ამერიკულ დოლარზე მეტი ღირებულების მშენებლობა ქონების, მოგებისა და დღგ-ს გადასახადებისგან გარკვეული დროის განმავლობაში თავისუფლდება. ეს საგადასახადო შეღავათი წინა ხელისუფლებამ სწორედ ტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად მონათლა. თუმცა, დღეს ახალ საგადასახადო კოდექსზე მომუშავე სამთავრობო კომისია ნებისმიერი შეღავათის წინააღმდეგია. **"დღეს ტურიზმი საქართველოს შესაბამისი კანონით აღიარებულია, როგორც მომსახურების ექსპორტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა საჭიროა, რომ ამას ფრთხილი, მაგრამ ადეკვატური ასახვა მოჰყვეს საგადასახადო სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარგის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია,"** - აღნიშნა კიკნაძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

კიკნაძის შემდგომი ნაბიჯები ტურიზმის სფეროში აბსოლუტური გამჭვირვალობის დანერგვას უკავშირდება, რაც, მისი თქმით, დარგის ეფექტურად განვითარებას შეუწყობს ხელს. ეკონომიკის მინისტრი ირაკლი რეხვიაშილი იმედოვნებს, რომ ტურიზმის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე, დარგის განვითარების მხრივ, ქვეყანას ისეთივე წარმატებას მოუტანს, როგორიც მან თავის კომპანიებს მოუტანა. **"საბა კიკნაძეზე არჩევანის გაკეთება მისმა პროფესიონალიზმმა და კერძო სექტორში წარმოებულმა წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა"** - აღნიშნა მინისტრმა.

ორი სიტყვით

თბილისი. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინვესტორი, იტალიური კომპანია "მეტალ ჯგუფის" ხელმძღვანელი ჯან კარლო ონჯისი საქართველოში ჩამოსვლას და პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას გეგმავს. კომპანიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ჯან კარლო ონჯისი მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში შექმნილი არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოსა და ბიზნესში ქართველ ჩინოვნიკთა კერძო ინტერესების ჩარევის შესახებ ესაუბრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ფასმა 25 მაისს ახალ რეკორდულ მაჩვენებელს - 41.72 აშშ დოლარს მიაღწია. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნავთობის ფასი 43, ხოლო ბენზინის - 61 პროცენტით გაიზარდა. ექსპერტები ნავთობის ფასის მკვეთრ მატებას იმით ხსნიან, რომ ნავთობმომპოვებელი ქვეყნები ნავთობის მოპოვებას არ ზრდიან, რის გამოც ბაზარზე ენერგომატარებლებზე გაზრდილი მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვში მყოფმა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და მისმა რუსმა კოლეგამ ალექსეი კუდრინმა რუსეთთან საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება გააფორმეს. ეს შეთანხმება საქართველოს საშუალებას მისცემს, "პარიზის კლუბში" წარმატებით წარმართოს მოლაპარაკებები სხვა დანარჩენ კრედიტორებთან. "პარიზის კლუბში" ამ საკითხს, სავარაუდოდ, 6-7 ივნისს განიხილავენ. 2004 წლის 30 აპრილისთვის რუსეთის მიმართ საქართველოს 156 მილიონ 858 ათასი ლარის დავალიანება ერიცხება. **ინტერ-პრესი**

"კოკა-კოლას" კონკურენტი გამოუჩნდა

საქართველოში "პეპსის" პირველი ქარხანა გაიხსნა

დიანა ჩაჩუა

თითქმის ერთი თვეა, რაც ქართულ სარეალიზაციო ქსელში ქართული შეფუთვით გამოვიდა გამაგრილებელი სასმელების პოპულარული ბრენდი "პეპსი". ქართული "პეპსის" ჩამომსხმელი ქარხნის პრეზენტაცია გუშინ მოეწყო. ორხევის რაიონში მდებარე ქარხნის გამშვებ ღილაკს თითი თავად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჭირა.

გიგიჩა ბაზარაძის ფოტო

ქარხნის გამშვებ ღილაკს თითი თავად მიხეილ სააკაშვილმა დააჭირა.

"ეს ბიზნესი ხელს შეუწყობს ხალხის დასაქმებას. პირობას ვდებ, რომ ხელს შევუწყობ ბიზნესის განვითარებას. მე თქვენი ერთ-ერთი მომხმარებელი ვიქნები, მაგრამ, რა თქმა უნდა, "კოკა-კოლასაც" არ დავივიწყებ," - წონასწორობა არ დაარღვია სააკაშვილმა. "პეპსი-კოლამ" მას სიმბოლური საჩუქარი - "პეპსის" ბოთლში მოთავსებული ვარდი მიართვა.

საქართველოში "პეპსის" წარმოება "იბერია ჯგუფის" ვიცე პრეზიდენტმა დავით ლომჯარიამ ითავა. პროდუქციის ჩამოსასხმელი ქარხანაც "იბერია ჯგუფის" კუთვნილებაა, რომელიც "იბერია რეფრეშმენტის" სამარკო ნიშნით "პეპსის", "პეპსი ლაითის", "მირინდას" და "სევენ აპის" აწარმოებს. ის პეპსის საქართველოში და სომხეთში წარმოების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. "პეპსი-კოლას" გენერალურმა დირექტორის დავით ლომჯარიას თქმით, პირველ ეტაპზე "პეპსი-კოლას" პროდუქცია, "კოკა-კოლასთან" შედარებით, იაფი იქნება. სამომავლოდ კი ჩიპსების, ბურღულეულის და წვენების გამოშვება იგეგმება. მისივე ცნობით, კომპანია ადგილობრივ ბაზარს "პეპსის" პროდუქციით მთლიანად დაფარავს და ივლისიდან სომხეთში ექსპორტის განხორციელებას დაიწყებს. რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, ლომჯარიას თქმით, მათი ნაწარმი პერიოდულად ირლანდიაში მოწმდება. **"საკმარისია, რომ ორმა ბოთლმა ვერ დააკმაყოფილოს ხარისხის დამადასტურებელი კრიტერიუმები, ქარხანა დაიხურება,"** - აცხადებს ის.

პროექტის ღირებულებამ, ლომჯარიას ინფორმაციით, შვიდი მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან ორი მილიონი საქართველოს ბანკის კრედიტია, ხოლო დანარჩენი ხუთი მილიონი სააქციო საზოგადოების კაპიტალია, საიდანაც 25 პროცენტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებაა. **"ასევე, პროექტში მონაწილეობდნენ "იბერია ჯგუფი" და ბიზნესმენები - ქიბარ ხალვაში და გურამ გოგუა,"** - განაცხადა ლომჯარიამ.

კონკურენტის პრეზენტაციას კომპანია "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი თემურ ჭყონიაც ესწრებოდა, რაც პრეზიდენტს არ გამოჰპარვია. **"მივესალმები ჭყონიას გამძლეობას. არა მგონია, რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში კონკურენტი კომპანიის გახსნაზე მეორე კომპანიის ხელმძღვანელი გამოცხადებულიყოს, მიელოცოს მისთვის ეს ფაქტი და თან, ასე მშვიდად,"** - განაცხადა სააკაშვილმა. თავად ჭყონია მიიჩნევს, რომ **"ყველა ახალი კომპანიის გახსნა მტრობა არ არის. გამარჯვებული, ჩვენს შემთხვევაში, მომხმარებელი დარჩება."**

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY
ახალი ფორმატის ბარათი
პირველი საკრედიტო ბარათი საქართველოში
„საქართველოს ბანკის" საიუბილეო VISA და MasterCard - უნიკალური პლასტიკური ბარათი - ანაბარი
ბარათით შეგიძლიათ
ბანკში მიუსვლელად ავტომატურად მიიღოთ სესხი (ოვერდრაფტი) და დახარჯოთ საკრედიტო ბარათზე განთავსებულ თანხაზე მეტი - 200-500 აშშ დოლარის ოდენობით
და
სანაქრად მიიღოთ პირველი საკლუბო ბარათი საქართველოში - ფასდაკლების ბარათი "ხუბრა", რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ 10%-იანი ფასდაკლებით 40-ზე მეტ პრესტიჟულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტზე
კრედიტის რეჟიმი
ბონუს რეჟიმი
ონლაინ რეჟიმი
დეპოზიტის რეჟიმი
VISA
MasterCard
სპეციალური პროექტები:
კინოთეატრი "ამირანი"
კინოთეატრი "რუსთაველი"
კინოთეატრი "რიტონი"
"ბიგ ბენი"
"VIP 777"
"ბიგ ბენი"
"ბიგ ბენი"
"ბიგ ბენი

ჯორჯ ბუში: წინ რთული დღეებია

აშშ-ს მოქალაქეებს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა. მისი გამოსვლა პენსილვანიის შტატში, ქალაქ კარლაილის სამხედრო კოლეჯში შედგა. დამკვირვებელთა პროგნოზი და წინასწარი ვარაუდი გამართლდა - ბუშის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, ერაყში კვლავ ძველებურად გაგრძელდება. მისი თქმით, შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ერაყში იმდენხანს დაჰყოფენ, ვიდრე ერაყი თავისუფალი და დემოკრატიული არ გახდება. ამასთანავე, მან არ უარყო ის საშიშროება, რაც ერაყის ტერიტორიაზე უკვე რეალური გახდა. ჯორჯ ბუშის განცხადებით, ერაყელი და სხვა დაქირავებული მებრძოლების მოქმედება ამერიკელების წინააღმდეგ უფრო აქტიური და სასტიკი გახდება.

რაც შეეხება ამერიკელების სამხედრო დანაყოფების რაოდენობის საკითხს, პრეზიდენტი ამჟამად იქ არსებულ დონეს - 138 ათას ჯარისკაცს სრულიად დამაკმაყოფილებელ ძალად მიიჩნევს. თუმცა, **"თუკი სარდლობას უფრო მეტი ჯარისკაცი დასჭირდება, მე მზად ვარ, კიდევ გავაგზავნო იქ დამატებითი ძალები,"** - აღნიშნა ბუშმა.

პრეზიდენტს არც აბუ ღრაიბის სკანდალური ციხე დავიწყებია, რომელიც ერაყში აშშ-ს ოკუპაციის სახედ იქცა. ბუში ამ ციხის დანგრევას აპირებს. მისი განცხადებით, საბოლოო გადაწყვეტილება ციხის დანგრევის შესახებ ერაყის დროებით მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ იქნება მიღებული. აბუ ღრაიბის დანგრევაში კი ჯორჯ ბუში ერაყში ახალი ეპოქის დაწყების სიმბოლოს ხედავს. მის ნაცვლად პრეზიდენტი ბუში ახალი, თანამედროვე და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი საპყრობილის აგებას გეგმავს.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ბუში თავის ერაყულ პოლიტიკაში იოტისოდენა ცვლილების შეტანასაც არ აპირებს, ის მაინც აფრთხილებს თავის ერს, რომ აშშ-ს ამ არაბულ ქვეყანაში კიდევ მეტი სირთულეები ელოდება. **"წინ რთული დღეებია და მომავლის გზა ზოგჯერ შეიძლება ქაოტურიც იყოს,"** - აცხადებს ჯორჯ ბუში.

"ამერიკის ამოცანა ერაყში მხოლოდ მტრის დამარცხება არ არის. ჩვენი ამოცანაა, გავაძლიეროთ ჩვენი მეგობარი სახელმწიფო, გავხადოთ თავისუფალი და შევქმნათ იქ წარმომადგენლობითი ხელისუფლება, რომელიც ემსახურება ხალხს და იბრძოლებს ხალხის სახელით," - განსაზღვრა თეთრი სახლის მესვეურმა შეერთებული შტატების მისია.

ამის მიღწევა კი ჯორჯ ბუშს შემდეგნაირად ესახება:

- ხელისუფლების გადაცემა სუვერენული ერაყის მთავრობისათვის;
- უსაფრთხოების სისტემის შექმნა;
- ერაყის ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის ხელშეწყობა;
- ერაყში საერთაშორისო დახმარებისათვის ხელშეწყობა;
- საყოველთაო არჩევნებისათვის ნიადაგის შემზადება, რომლის შემდეგაც ხელისუფლებაში ერაყელი ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მოვა.

ჯორჯ ბუში ერს მიმართავს.

ჯორჯ ბუში ერაყელი ხალხის მხარდაჭერაში დარწმუნებულია და აცხადებს: **"ერაყის პროგრესს მტრის ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს."** იქვე, ის მტრის ვინაობასაც აკონკრეტებს. ბუშის განცხადებით, ერაყის პროგრესს ებრძვიან ტერორისტები, დაქირავებული უცხოელი მებრძოლები და სადამ ჰუსეინის ერთგული ძალები. პრეზიდენტი ბუში მათ დამარცხებაში დარწმუნებულია. **"ერთად მუშაობით ჩვენ შევძლებთ მტრის განადგურებას და ერაყის დაცვას,"** - განაცხადა ბუშმა თავისი გამოსვლის დასასრულს. ამდენად, მის გამოსვლაში ახალი არაფერი თქმულა, გარდა იმისა, რომ აბუ ღრაიბის ციხე ახლო მომავალში ისტორიის კუთვნილება გახდება. თუ რამდენად სწორია პრეზიდენტ ბუშის მიერ არჩეული სტრატეგია, ამას თავად ამერიკელი ხალხი ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაწყვეტს.

ეგვიპტე "დიდი რვიანის" სამიტს არ დაესწრება

ეგვიპტემ უარი თქვა, შეერთებულ შტატებში რვა ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს სამიტს დასწრებოდა. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ მაჰერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს "სხვა ვალდებულებები" აქვს. სამიტი დანიშნულია 10 ივნისს, ჯორჯიის შტატში.

"დიდი რვიანი" მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისაგან შედგება: ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, რუსეთი და შეერთებული შტატები.

ამ შეხვედრაზე უნდა განიხილონ ვაშინგტონის გეგმა, რომელიც არაბული სამყაროს დემოკრატიზაციას ისახავს მიზნად. შეერთებული შტატების მტკიცებით, ეს ინიციატივა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების გზით დაუპირისპირდება რადიკალიზმს ახლო აღმოსავლეთში.

არაბულმა ქვეყნებმა ვაშინგტონის აღნიშნული გეგმა მკაცრად გააკრიტიკეს. მათი აზრით, რეფორმების გარედან თავს მოხვევა დაუშვებელია. ზოგიერთმა არაბმა ლიდერმა ისიც განაცხადა, რომ ამერიკის გეგმა რეგიონის მთავარი საკითხის - არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებას საერთოდ არ ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ არაბული ლიგის სამიტზე, რომელიც კვირას დამთავრდა, წევრმა სახელმწიფოებმა უარყვეს კაიროს წინადადება, რომ ახლო აღმოსავლეთის რეფორმირების ამერიკული გეგმის თაობაზე საერთო მიდგომა ჩამოეყალიბებინათ. არაბმა ლიდერებმა, აგრეთვე, უარყვეს მოსაზრება დამკვირვებლის პოსტის შექმნაზე, რომელიც ვაშინგტონის მიერ ინიცირებულ რეფორმებს მონიტორინგს გაუწევს.

არაბული ლიგის სამიტზე არაბული სახელმწიფოების ლიდერებმა თავად გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომ ისინი დემოკრატიული რეფორმების გატარებასა და ქალთა უფლებების დაცვას ხელს შეუწყობენ.

იტალიური სასამართლოები გაიფიცნენ

გუშინ იტალიურმა სასამართლოებმა მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების წინააღმდეგ სამდღიანი გაფიცვა დაიწყეს. მოსამართლეების თქმით, მთავრობის გეგმა მათ დამოუკიდებლობას საფუძველს გამოაცლის და სასამართლო პროცესების წარმართვას ვერ გააუმჯობესებს.

პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ხშირად აკრიტიკებს სასამართლო სისტემას და მათ მემარცხენეობაში ადანაშაულებს. მისი თქმით, მოსამართლეებს მისი გადაყენება აქვთ მიზნად დასახული.

მოსამართლეების მტკიცებით, რეფორმების ახალი პაკეტი იტალიის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. მათი აზრით, არაფერია შემოთავაზებული სასამართლოს მთავარი ნაკლის - გაწელილი პროცედურების შესაცვლელად. იტალიაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას ხშირად რამდენიმე წელიწადი სჭირდება.

მთავრობა ამტკიცებს, რომ უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო და სასამართლო სტრუქტურები, რათა სასამართლო პროცესი უფრო სამართლიანი იყოს. ხელისუფლების აზრით, სასამართლოებს ძალიან დიდი უფლებები გააჩნიათ, რომელსაც ხშირად ბოროტად იყენებენ.

სასამართლოები და აღმასრულებელი ხელისუფლება, უკვე სამი წელია, ერთმანეთთან ღიად არიან დაპირისპირებულნი. ამ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს პრემიერ-მინისტრის უკომპრომისო დამოკიდებულება, რომელმაც სასამართლოები არაერთხელ დაადანაშაულა მიკერძოებასა და პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში. ბერლუსკონის ინიციატივით, პარლამენტმა პრემიერ-მინისტრს იმუნიტეტი მიანიჭა, რაც ცოტა ხნის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა.

ხორვატია და იუგოსლავია მეგობრობენ

გუშინ ზაგრებს, ოფიციალური ვიზიტით, იუგოსლავიის (სერბეთისა და ჩერნიგორიის შემადგენლობით) პრეზიდენტი სვეტოზარ მაროვიჩი ესტუმრა. ეს მეზობელ ქვეყანაში სერბი ლიდერის პირველი ვიზიტია მას შემდეგ, რაც 1991 წელს ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სერბი პრეზიდენტი მოლაპარაკებებზე ხორვატიის ევროკავშირში მოსალოდნელ გაერთიანებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ 2007 წელს ხორვატიის დაგეგმილი გაწევრიანება ევროპულ ოჯახში მთელი რეგიონის წარმატება იქნება. ეს, ალბათ, იმის გამო, რომ მაროზევიჩს იმედი აქვს, შემდგომში სერბეთის ჯერიც დადგება. შეგახსენებთ, ყოფილი იუგოსლავიის ერთი რესპუბლიკა - სლოვენია 1 მაისს უკვე ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

პრეზიდენტებს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე კიდევ ერთხელ დაისვა ლტოლვილების, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და საზღვრის საკითხი. 1991-1995 წლების ომის პერიოდში 280 ათასი სერბი ლტოლვილის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომისშემდგომ პერიოდში მათგან 100 ათასი დაუბრუნდა სახლს, თუმცა დანარჩენებს ისევ გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება.

შარშან, ხორვატიის პრეზიდენტი სტიპე მესიჩი ბელგრადს ეწვია. მაშინ ორივე ლიდერმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში თავიანთი ხალხის წინაშე. ხორვატიის ომში 10 ათას ადამიანზე მეტი დაიღუპა.

წარსულში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობებმა მხოლოდ მაშინ დაიწყო განვითარება, როცა ომის უშუალო მონაწილეები, ხორვატიისა და სერბეთის ლიდერები პოლიტიკური სცენიდან წავიდნენ. ხორვატიის პრეზიდენტ ტუჯმანის სიკვდილისა და სერბი მილოშევიჩის ჩამოგდებისა და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის კონტაქტების დამყარების პერსპექტივები გამოჩნდა.

რონალდას პაკსასს პრეზიდენტობა აუკრძალეს

ასეთი აღმოჩნდა ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენი - იმპიჩმენტით გადაყენებულ პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ხელახლა იქნეს არჩეული. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ამგვარად, 47 წლის რონალდას პაკსასი 13 ივნისს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. მასში მონაწილეობისთვის კი, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 5 კანდიდატი რეგისტრაციაში უკვე გაატარა. ჯერჯერობით, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი საკმაოდ ხანდაზმულ (77 წლის) ადამუსკასს აქვს. წინასწარი გამოკითხვებით, მას ამომრჩეველთა დაახლოებით 30 პროცენტი უჭერს მხარს.

გასული თვის ბოლოს სერიოზული გაურკვევლობა წარმოიშვა პაკსასის გარშემო. შეგახსენებთ, ადრინდელი კანონმდებლობით, ყოფილ პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, ხელახლა ეყარა კენჭი ქვეყნის პირველი პირის თანამდებობაზე. რონალდას პაკსასი ასეც მოიქცა და კანდიდატურა წამოაყენა. თუმცა მალევე, ლიტვის სეიმმა კონსტიტუციაში შესწორება შეიტანა, რომლის თანახმადაც იმპიჩმენტით გადაყენებულ პირს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კანდიდატურის ხელახლა წამოყენება აეკრძალა. მართალია, პაკსასის მხარდამჭერები იმედს არ კარგავდნენ და საკონსტიტუციო სასამართლოშიც შეიტანეს სარჩელი, მაგრამ მათი ძალისხმევა ამაო გამოდგა. ასე რომ, სავარაუდოდ, თუ არაფერი შეიცვალა, პაკსასს ხუთი წელი ლოდინი მოუწევს.

ისტორია

პატარა ქვეყნის ძალა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა - ფინეთი ბევრი რამით ჰგავს საქართველოს. ისევე, როგორც საქართველო, ფინეთიც რუსეთის მეზობელია და იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდა. ფინელებიც მცირერიცხოვანი ერია, რომელიც წიაღისეულით მდიდარი არ არის. ფინელებიც განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი ისტორიით. მათ ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს 1939-40წწ. ომს საბჭოთა კავშირთან, რომელიც საქართველოსთვის ძალზე საყურადღებო მაგალითია. ჩვენმა ქვეყანამ ხომ მხოლოდ ახლახან დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტებისა და არმიის მშენებლობა.

1939 წელს საბჭოთა კავშირმა მეზობელ ფინეთთან ომი დაიწყო. მაშინ ფინელებმა მამაცობისა და პატრიოტიზმის საოცარი მაგალითი უჩვენეს მსოფლიოს. წითელმა არმიამ ძალიან დიდი დანაკარგი იწვნია: ბრძოლის ველზე 200 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, სტალინს უთქვამს: "ამ ხალხმა (ფინელებმა) დაიმსახურა დამოუკიდებლობა!" მართალია, ფინეთმა საკუთარი ტერიტორიის მცირე ნაწილი დათმო, მაგრამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ყველას დაუმტკიცა, რომ მცირე, მაგრამ მამაც და გაერთიანებულ ერს ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია.

გთავაზობთ ფინელი მხედართმთავრის კარლ გუსტავ ემილ მანერჰაიმის მიერ 1940 წლის 13 მარტს ფინეთის შეიარაღებული ძალებისადმი გაცემულ ბრძანებას, როდესაც 105 დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად პატარა ფინეთი იძულებული გახდა, საბჭოთა აგრესორების მძიმე პირობებზე დათანხმებულიყო.

კარლ გუსტავ ემილ მანერჰაიმი (1867-1951) გამოჩენილი ფინელი მხედართმთავარი იყო. თავიდან იგი რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, სადაც გენერლის ჩინს მიაღწია. ჯერ რუსეთის მხარეზე იომა რუსეთ-იაპონიის (1903-1904) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში, შემდეგ ფინელებს წინამძღოლობდა დამოუკიდებლობისთვის ომში 1918 წელს (ბოლშევიკების წინააღმდეგ), ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომში (1939-1940) და მეორე მსოფლიო ომში, ასევე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბრძოლისგან თავისუფალ დროს, მანერჰაიმი თავისი პატარა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაზე ზრუნავდა. ე.წ. "მანერჰაიმის ხაზი" 1939-1940 წლებში საბჭოთა აგრესორებისთვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცა.

მარშალი მანერჰაიმი თავისი პატარა ქვეყნის ეროვნული გმირია.

კარლ გუსტავ ემილ მანერჰაიმი

"ფინეთის დიდებული არმიის ჯარისკაცებო!

ჩვენს სამშობლოსა და საბჭოთა რუსეთს შორის საშინელი შეთანხმება დაიდო. ამ შეთანხმების მიხედვით, საბჭოთა კავშირს გადაეცა თითქმის ყველა ბრძოლის ველი, სადაც თქვენ საკუთარი სისხლი დაღვარეთ იმის დასაცავად, რაც თქვენთვის წმინდა და ძვირფასი იყო.

თქვენ არ გინდოდათ ომი. თქვენ გსურდათ მშვიდობა, შრომა და პროგრესი, მაგრამ თქვენ გაიძულეს გეომათ. თქვენს მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლი ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში.

საბრძოლველად წასული 15 000-ზე მეტი მეომარი ვეღარ იხილავს თავის სახლს. რამდენია ისეთიც, რომელმაც სამუდამოდ დაკარგა შრომის უნარი! თუმცა, თქვენც არაერთი ძლიერი დარტყმა მიაყენეთ მტერს. თუ დღეს ორასი ათასზე მეტ თქვენს მოწინააღმდეგეს სამუდამო ძილით სძინავს ყინულის საბურველქვეშ, ან კიდევ უხილავი მზერით შესცქერის ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას, თქვენ არ მიგიძღვით ამაში ბრალი. თქვენ არ განიცდიდით სიძულვილს მათ მიმართ, მათთვის ცუდი არ გინდოდათ. თქვენ მხოლოდ ომის სასტიკი კანონების შესაბამისად მოქმედებდით: შენ თუ არ მოკლავ, შენ მოგკლავენ.

ჯარისკაცებო! მე ბევრგან მიბრძოლია, მაგრამ თქვენისთანა მამაც მეომრებს არსად შევხვედრივარ. საკუთარი შვილების მსგავსად, ვამაყობ თქვენით. ვამაყობ ჩრდილოეთი ტუნდრის მეომრებითა და პოჰიანმაას პროვინციის დაბლობების მებრძოლებით. ვამაყობ კარელიის ტყეებში, სავოს მომღიმარ კომუნებში, ჰიამესა და სატაკუნტას ნაყოფიერ ყანებსა და უსიმასა და ვარსინაის-სუომის ხმაურიან ჭალებში გამოზრდილი მეომრებით. ზუსტად ასევე ვამაყობ უბრალო გლეხის, ქარხნის მუშისა თუ მდიდარი ადამიანის მიერ სამშობლოს საკურთხეველზე შეწირული მსხვერპლით.

მადლობას გიხდით ყველას: ოფიცრებს, უნტეროფიცრებსა და რიგითებს. მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რეზერვის ოფიცრების ის სიმამაცე, მოვალეობის გრძნობა და ნიჭი, რომლითაც ისინი თავს ართმევდნენ მათთვის უჩვეულო მისიას. ომის დროს ამ ადამიანებმა სიხარულითა და ურყევი მზაობით უდიდესი მსხვერპლი გაიღეს.

მადლობას ვუხდი შტაბის ოფიცრებს მათ მიერ გაწეული შრომისა და გამოვლენილი ოსტატობისთვის. და ბოლოს, მადლობას ვწირავ ჩემს უახლოეს დამხმარე პირებს: გენერალური შტაბის უფროსსა და მთავარ კვარტირმაისტერს, არმიების, კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებს, რომლებიც ხშირად შეუძლებელს შესაძლებლად აქცევდნენ.

ქედს ვიხრი ფინეთის არმიისა და მისი ყველა სახის საჯარისო ნაწილის წინაშე, რომელიც ამ კეთილშობილურ მისიაში გმირულ საქმეებს ჩადიოდა ომის დაწყების პირველივე დღიდან. მადლობას ვუხდი მათ იმ სიმამაცისთვის, რომელიც უცნობი იარაღით აღჭურვილ და რიცხობრივად აღმატებულ მტერთან ბრძოლაში გამოავლინეს. მადლიერი ვარ ასევე მათი იმ შეუპოვრობისთვის, რომლითაც ისინი მშობლიური მიწის ყოველ გოჯს იცავდნენ. 1 500-ზე მეტი რუსული ტანკისა და 700-ზე მეტი თვითმფრინავის განადგურება სწორედ იმ გმირულ საქმეებს მოწმობს, რომელთაც ხშირად ცალკეული ადამიანები ჩადიოდნენ.

გული სიხარულითა და სიამაყით მევსება, როდესაც ლოტტასვიარდის სახელგანთქმულ ქალებზე ვფიქრობ, მათ ღვაწლზე, თავდადებასა და დაუღალავ შრომაზე, რისი წყალობითაც ფრონტს უამრავი მეომარი გამოუთავისუფლდა. ამ ქალების კეთილშობილი სული ძალას მატებდა არმიას, რომლის მადლიერებასა და პატივისცემას ნამდვილად იმსახურებდნენ ისინი.

პატივი და ღირსება მივაგოთ იმ მუშებს, რომლებიც ომის ურთულეს მომენტებშიც კი დაზგებთან იდგნენ და თვით საჰაერო თავდასხმების დროს ჯარისთვის აუცილებელ აღჭურვილობას ქმნიდნენ. პატივი და ღირსება მივაგოთ მათ, ვინც მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ჩვენი ქვეყნის პოზიციების გამყარებაზე ზრუნავდა. სამშობლოს სახელით, ყველას მადლობას გიხდით.

მეომრების სიმამაცისა და თავგანწირვის მიუხედავად, მთავრობა იძულებული შეიქნა, მტერს მეტად მკაცრი პირობებით დაზავებოდა. თუმცა, ამ ნაბიჯს მარტივი ახსნა მოეძებნება.

ჩვენი მცირერიცხოვანი არმია რეზერვებისა და კადრების უკმარისობას განიცდიდა. ძლიერ ზესახელმწიფოსთან ბრძოლისთვის საკმარისი სამხედრო აღჭურვილობაც არ გაგვაჩნდა. სახელმწიფო საზღვრების დამცველი ჯარისკაცები მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად ღებულობდნენ გადაუდებელ დახმარებას და აგებდნენ თავდაცვის ხაზებს. მაშინ, როდესაც დანარჩენი სახელმწიფოები მოახლოებული ქარიშხლისთვის ემზადებოდნენ, ჩვენ იძულებულნი ვიყავით, იარაღი და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა მოგვეძიებინა. ჩვენი საგმირო საქმეები დღემდე აღფრთოვანებას იწვევს მთელ მსოფლიოში, მაგრამ დღესაც, თითქმის სამთვენახევრიანი ომის შემდეგ, მაინც ეულად ვართ დარჩენილი. საზღვარგარეთიდან შემოსული დახმარება არტილერიითა და ავიაციით გაძლიერებულ ორ ბატალიონს წარმოადგენდა მხოლოდ. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს უცვლელ არმიას ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვა უხდებოდა, რათა მოწინააღმდეგის ახალ-ახალ შენაერთებს გამკლავებოდა.

როდესაც ამ ომის ისტორია დაიწერება, მსოფლიო დაინახავს, თუ რაოდენ დიდი შრომა გავწიეთ.

შვედეთისა და სხვა დასავლური სახელმწიფოების მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი იარაღის გარეშე, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებთან და მის არტილერიასთან დიდხანს გამკლავებას ვერ შევძლებდით.

სამწუხაროდ, დასავლეთის მიერ აღთქმულმა ფართომასშტაბიანმა დახმარებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. საკუთარ უსაფრთხოებაზე მზრუნველმა მეზობელმა სახელმწიფოებმა ჩვენს დასახმარებლად მომავალი უცხოური ჯარები არ გამოატარეს.

ჩვენი არმია, რომელმაც თექვსმეტკვირიან სისხლიან შეტაკებას გაუძლო, დღესაც უდრეკად დგას მოწინააღმდეგის პირისპირ, რომელიც, უდიდესი დანაკარგის მიუხედავად, რიცხობრივად კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენი შიდა ფრონტი, რომლის გაუთავებელი საჰაერო თავდასხმებიც შიშსა და სიკვდილს თესავდნენ ქალებსა და ბავშვებში, მაინც არ შედრკა მტრის წინაშე. ჩვენი გადამწვარი ქალაქები და ნანგრევებად ქცეული სოფლები, რომლებიც ფრონტის ხაზიდან შორს მდებარეობენ, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა გადაიტანა ჩვენმა ხალხმა გასულ თვეებში.

ბედი მკაცრად მოგვექცა, რადგან ჩვენ მოგვიხდა განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ღირებულებების მქონე რასისთვის დაგვეთმო ის მიწა, რომელსაც ასწლეულების მანძილზე საკუთარი შრომითა და ოფლით ვაპოხიერებდით.

მაგრამ დღეს სამშენებლო სამუშაოებს უნდა მივყოთ ხელი, რათა დარჩენილ ტერიტორიაზე უსახლკაროდ დარჩენილთათვის სახლები აღვმართოთ და ყველას ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ. ჩვენ, წარსულის მსგავსად, ახლაც მზად უნდა ვიყოთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად ისეთივე შეუპოვრობითა და ძლიერებით, როგორითაც ადრე ვიცავდით მას.

ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ ჩვენს ისტორიულ მისიას - დავიცვათ დასავლური ცივილიზაცია, რომელსაც დაუღალავად ვასრულებთ, მისიას, რომელიც ჩვენი მემკვიდრეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ დასავლეთის მიერ მოცემული კრედიტის საფასური ჩვენ სრულად გადავიხადეთ."

პირველი 100 დღე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

პირველი გვერდიდან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ ასი დღის განმავლობაში სამინისტროს საქმიანობაში რაიმენაირი მონაწილეობა მიიღო. ამის შემდეგ მინისტრმა სტუმრებს თავისი გუნდი, მათ შორის, რამდენიმე ახალი სახე წარუდგინა: ბატონებთან - სანდრო დიდებულიძესთან და თემურ სამადაშვილთან ერთად კახა ლომაიას მოადგილე ქალბატონი ბელა წიფურიაც გახდება. მას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე - შვედეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოღვაწეობდა როგორც თსუ-ში, ასევე, სასულიერო აკადემიაში. გუნდის ახალი სახეა ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ცინცაძეც, რომელიც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს უხელმძღვანელებს. "უმწიკვლო სამოქალაქო და პოლიტიკური რეპუტაციის მქონე ადამიანი", - ასე დაახასიათა მინისტრმა ბატონი ბეჟან ჯავახია, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამას ჩაუდგება სათავეში. თავისი გუნდის წევრებად "ძველ, უცვლელ და საჭირო სახეებად" მინისტრმა ბატონები - მიშა მინდაძე, ირაკლი მაჩაბელი და ალექსანდრე აბაშიძე დაასახელა. ბოლოსთვის კი განათლებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილისა და სასკოლო განათლების რეფორმის დირექტორის გიგი თევზაძის წარდგენა შემოინახა.

პრეზენტაციაზე წარადგინეს კონკურსის საფუძველზე შერჩეული სამინისტროს ახალი ლოგო, რომელიც სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა მარიამ სანადირაძემ დაამზადა. წარმოდგენილი იქნა მეორე ლოგოც - "პროექტი ილია ჭავჭავაძე" - სასკოლო განათლების რეფორმის პროექტს ახლა უკვე ილია ჭავჭავაძის სახელი დაერქმევა. **"ჩვენ ამ პროექტს ხშირად მსოფლიო ბანკის პროექტად მოვიხსენიებთ, ამას უნდა გადავეჩვიოთ. ამ პროექტს ჩვენ ვახორციელებთ - ჩვენი სახელმწიფო, მსოფლიო ბანკი კი ამაში გვეხმარება"**, - განაცხადა კახა ლომაიამ. დღეიდან სამინისტროს თავისი ვებ-გვერდიც ექნება: www.mes.gov.ge ამ საიტზე ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება, გაეცნოს სამინისტროს სტრუქტურას, ნახოს ყველა ახალი კანონ-პროექტის სრული ტექსტი და აკონტროლოს სამინისტროს ბიუჯეტი.

ზალიკო სამადაშვილი და კახა ლომაია

ფოტო: ალეკო ალფოროვი/ფოტო

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა სამინისტროს წარმატება და მეათასე დღისათვის ყველა დასახული მიზნის ასრულება უსურვა. სიტყვით გამოვიდა თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც: **"მე აქ მოვედი როგორც თქვენი თანამოაზრე, როგორც მშობელი და, როგორც ქალაქის მერი. ჩვენი ამოცანაა, ყოველი ნაბიჯი, რომელსაც მუნიციპალიტეტი განათლების სფეროში გადადგამს, შესაბამისობაში იყოს სამინისტროსთან"**, - განაცხადა მან.

რა გაკეთდა:

შეიცვალა სამინისტროს სტრუქტურა, მისი კანონმდებლობითი ფუნქციები გაიზარდა, ხოლო მმართველობითი რგოლი შემცირდა;

შეიქმნა სამინისტროს საკონსულტაციო საბჭო, რომლის მიზანიც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებაა;

5 მარტიდან სახელმწიფო დროშის აღმართვისა და ჰიმნის შესრულების ცერემონიალი ტარდებოდა 100 სკოლაში. 1 სექტემბრამდე საზეიმო ცერემონიალი საქართველოს ყველა სკოლაში დამკვიდრდება;

მე-9 კლასში გადასაყვანი გამოცდების გაუქმებით მნიშვნელობა მიენიჭა მოსწავლეთა წლიურ შეფასებას და არა კონკრეტული ტესტისთვის მზადებას. მოისპო გადასაყვანი გამოცდების დროს კორუფციული დაინტერესების შესაძლებლობა;

მე-6, მე-9 და მე-11 კლასელთა ატესტატის შეძენა მშობლებს, საშუალოდ, 4 ლარი "უჯდებოდათ", ეს თანხა მთლიანად განათლების სისტემის კორუმპირებულ მოხელეთა ჯიბეებში ილექებოდა. ამიერიდან მთლიანად გაუქმდა ნიშნების ფურცლის ფორმა - მას სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით დადასტურებულ ქაღალდზე უფასოდ გასცემენ; მთლიანად გაუქმდა ატესტატი მე-6 კლასში. მე-9 კლასელი მოსწავლეები ატესტატს საჭიროებისამებრ მიიღებენ. ყველა მე-11 კლასელი ატესტატს წელს უფასოდ მიიღებს. სამინისტროს ბიუჯეტი ამ მიზნისათვის 30 000 ლარს გაიღებს.

აზერბაიჯანის ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონების ყველა ქართულენოვანი სკოლისთვის შეძენილია ძირითადი ქართული სახელმძღვანელოების 100%.

დაიწყო ქართული სახელმძღვანელოების შეძენა არაქართულენოვანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის.

შეიქმნა ახალი კანონპროექტები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც სამინისტროს მთავარ პრიორიტეტებს განსაზღვრავს; ესენია: სკოლის ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა; ერთ სულ მოსწავლეზე გათვლილი ბიუჯეტის შემოღება; სასოფლო და მაღალმთიანი რეგიონების სკოლების უპირატესი ფინანსური მხარდაჭერა, ასევე - უმაღლეს განთალებაში ისეთი სალიცენზიო და საკრედიტაციო პოლიტიკის გატარება, რომელიც საშუალებს მოგვცემს, საქართველო გახდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრი;

წელს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სპეციალურად კონფლიქტური რეგიონების ეროვნული უმცირესობებისათვის გამოყოფილი ლიმიტებით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე ჩაირიცხნენ ოსური წარმოშობის აბიტურიენტები ცხინვალიდან და ჯავიდან;

გამოქვეყნდა საქართველოს მასშტაბით მე-5 კლასში "გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის" მიერ ჩატარებული ტესტირების შედეგები;

მომზადდა ერთიანი სახელმწიფო მისაღები გამოცდის სქემა. სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2005 წლისათვის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს ერთიანი სახელმწიფო გამოცდებით ჩაანაცვლებს;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული განათლების სისტემის აღორძინება იქნება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა - მიმდინარეობს სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სრული ინვენტარიზაცია;

18 მაისს სტრასბურგში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროსაბჭოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის დირექტორატთან. ამ შეთანხმებით საქართველომ განათლების სისტემის ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება აიღო. ეს პირველი ნაბიჯია ე.წ. ბოლონიის პროცესში საქართველოს ჩართვისკენ, რაც ევროპის საგანმანათლებლო სტანადარტებთან მიახლოებას და ჩვენი უმაღლესი სკოლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების ევროპაში ცნობას გულისხმობს.

"ფრანცია" ვაკელების საყვარელი ადგილი იყო...

ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია არქმშენინსპექციის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან ერთად გუშინ ვაკეში მიმდინარე უკანონო მშენებლობას ესტუმრა. მინისტრის გამოჩენამ ვაკელების ერთი ნაწილი ძალზე გაახარა - "ფრანცია" თბილისელებისთვის და, მითუმეტეს, ვაკელებისთვის განსაკუთრებული ადგილი იყო. ხომ არ შეიძლება ყველაფერი გავაუფასუროთ და ასეთი კოლორიტული შენობები დიდი საცხოვრებელი სახლებით შევცვალოთ... მოხარული ვიქნებით, თუკი ამ ადგილს ძველი სახე დაუბრუნდება. ხეების გაჩეხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს "მახინა" მზიურის ხედს ჩრდილავს", - მსჯელობდნენ "ფრანციასთან" შეკრებილი ვაკელები.

თამარ დვალი

ბავშვთა ქალაქად წოდებული "მზიურის" შესასვლელთან, სადაც ადრე ცნობილი კაფე "ფრანცია" მდებარეობდა, დღეს 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი შენდება. ქალაქის არქმშენინსპექციის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ნესტან თათარაშვილის ინფორმაციით, სახლის მშენებლობის ნებართვა ქალაქის ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა უამრავი კანონდარღვევით გასცა. **"ამ მიწის ფართობზე ამხელა სახლის მშენებლობის ნებართვა არ შეიძლებოდა გაცემულიყო. გარდა ამისა, მენაშენეს არ გააჩნია სახელმწიფო საექსპერტო დასკვნა. როდესაც გასულ წელს არქმშენინსპექციამ არაკანონიერად წარმართული მშენებლობა გაასაჩივრა, მათ ყალბი დასკვნები წარმოადგინეს და მშენებლობა გააგრძელეს. ამა წლის 10 მაისს მენაშენეს ხელმეორედ შევუდგინეთ ოქმი, რომელსაც ვადა დღეს გაუვიდა და საქმეს სასამართლოს გადავცემთ"**, - განაცხადა თათარაშვილმა.

"ფრანცია" აღარ არის.

ფოტო: ალეკო ალფოროვი/ფოტო

როგორც გაირკვა, სახლის მეპატრონე არჩილ კონცელიძეა, ხოლო მშენებლობას ახორციელებს "არქსტუდიო", რომლის დირექტორიც თეიმურაზ დიასამიძეა. სახლის დამპროექტებლები ამავე ფირმის მუშაკები არიან: თეიმურაზ ხოჯავა, ლევან ბოკერია და დავით აფშილავა.

ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრ თამარ სულუხიას სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების იმედი აქვს. **"დღეს ამოიწურა გაფრთხილების ვადა, რომელიც მენაშენეს რამდენიმე დღის წინათ მივეცით. მას უნდა შეეწყვიტა მშენებლობა და მიეღო გამოსასწორებელი ზომები, თუმცა ეს არ გააკეთა. 27 მაისს ჩვენ სარჩელს შევიტანთ სასამართლოში და იმედი გვაქვს, რომ მოსამართლე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ სასამართლოებიც ვერაფერს შეცვლიან, მაშინ ჩვენს მუშაობას აზრი არ აქვს"**, - აღნიშნა სულუხიამ.

მისი აზრით, სასამართლომ მენაშენეს უნდა დააკისროს შესაბამისი სანქცია - მოსთხოვოს ზედა სართულების დემონტაჟი. **"არიან მენაშენეები, რომლებიც თავის ნებით ახორციელებენ დემონტაჟს. მათ დაინახეს, რომ მთავრობასთან თანამშრომლობის გარეშე, არაფერი გამოუვათ. მინდა, გაიგონ მენაშენეებმა, რომ დრო შეიცვალა და არანაირი დარღვევები აღარ ეპატიებათ"**, - აცხადებს მინისტრი. იგი ურჩ მშენებლებს ურჩევს, ტყუილად ნუღარ დაიხარჯებიან, რადგან უკანონოდ აშენებულის დანგრევა მაინც მოუწევთ.

რაც შეეხება ქალაქის ყოფილ მთავარ არქიტექტორს, იგი აცხადებს, რომ ამ სახლის მშენებლობა არქიტექტურის სამსახურში მის მისვლამდე იყო შეთანხმებული.

საზოგადოებრივი რევიზია

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სოციალური აღორძინების ფონდის" მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო პროგრამის პრეზენტაცია შედგა. ფონდი თბილისის რაიონულ გამგეობებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის გამოყოფილი თანხების მონიტორინგს ახორციელებს.

ნინო ბერელიძე

"საქართველოს სოციალური აღორძინების ფონდის" დამფუძნებლები არიან მრავალშვილიანი დედები, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საკუთარი უფლებების დასაცავად საპროტესტო აქციებს ატარებდნენ. ფონდის წევრებმა 25-კაციანი მონიტორინგის ჯგუფი ჩამოაყალიბეს. სამუშაო პროგრამა სამთვიანია და, უკვე ხუთი კვირაა, მიმდინარეობს. პირველი ეტაპზე საჭიროა, დაზუსტდეს სიები. საჭიროა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველმა ადამიანებმა იცოდნენ თავიანთი უფლებები. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა 96-მა პროცენტმა ამის შესახებ არაფერი იცის.

"რამდენიმე კვირაა, რაც მუშაობა დაიწყო მონიტორინგის ჯგუფმა, მაგრამ უკვე გამოჩნდა, რომ, გამგეობებში თანხების არამიზნობრივად ხარჯვის მხრივ, კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, დიდუბის რაიონის გამგეობამ სამი მილიონო ლარი დახარჯა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისათვის, 100 000 ლარია დახარჯული უფასო სასადილოებისათვის - ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება", - განაცხადა ფონდის დირექტორმა მამუკა მეტრეველმა.

მონიტორინგის ჯგუფი რაიონის გამგეობებში სიძნელეებს წააწყდა, რადგან ის მასალა, რაც საჯარო უნდა ყოფილიყო, გასაიდუმლოებულია. წინააღმდეგობას ჯგუფს, ძირითადად, ძველი ჩინოვნიკები უწევდნენ. ამ მხრივ, მონიტორინგის ჯგუფს დახმარება თბილისის მერიამ აღუთქვა. პროექტის პრეზენტაციას მერის პირადი მრჩეველი შალვა ცხაკაია ესწრებოდა.

"მე მჭიდრო კავშირი მაქვს ამ საქმესთან და ყოველნაირად ვეცდები, ჯგუფს დახმარება გავუწიო. მეტსაც გეტყვით - მკაცრად დაისჯება ყველა ის პიროვნება, რომელიც შეაფერხებს პროგრამის წარმატებით მიმდინარეობას. ჩვენი პრიორიტეტია სტრუქტურების საქმიანობის საჯაროობა", - განაცხადა მან.

პროექტის მხარდაჭერას ფონდს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ლომიძეც დაჰპირდა.

რამდენიმე დღეში "საქართველოს სოციალური აღორძინების ფონდი" წარმოადგენს მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებულ მასალებს, სადაც მოცემული იქნება რაიონული გამგეობების მიერ მიზნობრივად და არამიზნობრივად დახარჯული თანხების რაოდენობა და ყველა კორუმპირებული ჩინოვნიკის გვარი დასახელდება.

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

ტენდერი ნომერი GICMP-NCB-03

საზღვაო მონიტორინგის ქიმიური ლაბორატორიის (ბათუმი) და ორი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის (ბათუმი, ფოთი) რეკონსტრუქციის სამუშაოები

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიიღო კრედიტი ნომერი 3156-GE "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" განსახორციელებლად და აპირებს გამოიყენოს კრედიტის სახსრების ნაწილი შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საზღვაო მონიტორინგის ქიმიური ლაბორატორიის (ბათუმი), აჭარის ა.რ. სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის (ბათუმი) და ფოთის სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის (ფოთი) რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასრულებლად.

პროექტის განმახორციელებელი სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი) იწვევს დალუქულ საკონკურსო წინადადებებს სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად:

ლაბორატორიების სათავსებში სადემონტაჟო სამუშაოები;
სამშენებლო და მოპირკეთების სამუშაოები;
წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების, ვენტილაცია-კონდიცირების სისტემების, საკაბელო ხაზების და შიდა ელექტრომომარაგების, განათების მოწყობა.

სამუშაოების განხორციელების დაგეგმილი ვადაა ოთხი თვე, ხოლო დაწყება 2004 წლის ივლისშია ნავარაუდევი.

ტენდერი ჩატარდება ეროვნული კონკურსის წესით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით: „შესყიდვები მსოფლიო ბანკის სესხითა და კრედიტით" (მიმდინარე გამოცემა) და ღიაა ყველა მონაწილისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სახელმძღვანელო დოკუმენტის მოთხოვნებს.

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი, ქართულ ენაზე, ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ს.ზ.ი.მ. ცენტრში, თბილისი, ფალიაშვილის 87, მე-2 სართული (ტელ/ფაქსი: +995 (32) 25-20-50, მობილური: +995 (99) 54-66-16,: ელექტრონული ფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge, ინტერნეტი: www.ICZM.org.ge). სატენდერო დოკუმენტაციის არაანაზღაურებადი ღირებულებაა 75 ლარი საქართველოს ორგანიზაციებისათვის და 50 აშშ დოლარი უცხოური ორგანიზაციებისათვის. სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი გაგზავნილი იქნება კურიერით. კონკურსით დაინტერესებულ მონაწილეებს დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე შეუძლიათ მიიღონ.

გადახდის მეთოდი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის - გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:
მიმღები: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი
ანგარიში: 2700854 (სალარე)
კოდი: 220101830
ბანკი: თიბისი-ბანკი, ჭავჭავაძის გამზირი 11, 380079 თბილისი, საქართველო

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში წინადადებების გახსნის დღიდან, თან უნდა ახლდეს საბანკო გარანტია 5,000 ლარის ან ექვივალენტური ოდენობით სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ს.ზ.ი.მ. ცენტრში, თბილისი, ფალიაშვილის 87, მე-2 სართული, არაუგვიანეს 2004 წლის 21 ივნისის 18 საათისა ადგილობრივი დროით, როდესაც ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ გახსნის პროცედურას.

დაგვიანებული წინადადება დაწუნებული იქნება და გაუხსნელად დაუბრუნდება მონაწილეს.
ს.ზ.ი.მ. ცენტრი
მამუკა გვილავა, დირექტორი
მე-2 სართული, ფალიაშვილის 87
თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 25-20-50
მობილური: +995 (99) 54-66-16
ელფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge

არასამთავრობოები და ადვოკატები სამართალდამცველებს უკანონობაში ამხელენ

ბუზალაძე, გაფრინდაშვილი, სართალია, გვასალია, კაკაურიძე და სამარღანიშვილები - ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ის თანამშრომლები არიან, ვისმა გვარებმაც გუშინ სახალხო დამცველის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გაიჟღერა.

თამარ კაკიტაძე

"ჩვენმა ჯგუფმა მოიკვლია კონკრეტული მასალები იმ სამართალდამცველებზე, ვინც აქტიურად არიან ჩართულნი კანონდარღვევებში. კერძოდ, საუბარია ნარკოტიკების ჩადებით უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებაზე", - განაცხადა "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავჯდომარემ მზია ალავიძემ.

ალავიძის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის ჯგუფმა, ერთი კვირის განმავლობაში, ნარკოტიკების მოხმარებისთვის თუ რეალიზაციისთვის დაპატიმრებულთა ათობით საქმე შეისწავლა და დაადგინა, რომ თითოეული მათგანის დაპატიმრებაში ზემოთ დასახელებული პოლიციელების გვარები ფიგურირებს.

"უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დანაშაულში "ეჭვმიტანილ" პოლიციელთა ვინაობას უფრო კონკრეტულად არ ვასახელებთ. მოპოვებული მასალები შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას უნდა გადავცეთ. მოვითხოვთ, აღნიშნული პიროვნებების საქმიანობასთან ერთად, შეამოწმონ, არიან თუ არა ისინი თავად ნარკოტიკების მომხმარებლები", - აღნიშნა პრესკონფერენციაზე ალავიძემ.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით, შემოწმდეს ყველა პოლიციელი, დაწყებული შს მინისტრის აპარატიდან, და ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს, რადგან "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავმჯდომარის სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართალდამცველებს, პირველ რიგში, საზოგადოების აზრის უნდა ეშინოდეთ.

პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკებით "მუშაობის" პრობლემას არასამთავრობო ორგანიზაციები საკანონმდებლო ხარვეზშიც ხედავენ. კერძოდ, საუბარია ნარჩემაშვილის დროს მიღებულ დადგენილებაზე, რომელიც, ალავიძის თქმით, პოლიციის სისტემაში კორუფციის მანქანაა.

"კანონმდებლობაში მკაცრი გამიჯვნა უნდა მოხდეს ნარკოტიკების მომხმარებელსა და რეალიზატორს შორის. ნარკომანს, ანუ ავადმყოფს სასჯელი მინიმუმამდე უნდა შეუმცირდეს, ხოლო რეალიზატორს - გაეზარდოს. თუ ოფიციალურად დაკანონდება, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მცირე რაოდენობით აღმოჩენა მხოლოდ ჯარიმით ისჯება, ამით პოლიციელებს ფულის კეთების დიდი შანსი მოესპობათ", - ამბობს მონიტორინგის წევრი მანანა მარტყოფიშვილი.

პოლიციელების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების სამიზნე მთაწმინდა-კრწანისის და ისანი-სამგორის რაიონების პროკურორებიც აღმოჩნდნენ.

ლევან სპონტულიანის ფოტო

მზია ალავიძე

როგორც "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავმჯდომარე ამტკიცებს, კონკრეტულ საქმეზე დაყრდნობით, მათ გააჩნიათ საკმარისი მტკიცებულებები იმის დასამტკიცებლად, რომ ისანი-სამგორის პროკურორი "შავ სამყაროსთან" არის დაკავშირებული, რაც საბოლოოდ დაზარალებულის დაშანტაჟებით და მისი საქმის არაობიექტური გამოძიებით დასრულდა. ხოლო მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორს ალავიძე პროკურორისთვის შეუფერებელ "უსუსურობაში ადანაშაულებს", რის გამოც ასევე დაზარალებული მხარის ინტერესები შეილახა.

"ორივე საქმე შესასწავლად გენერალურ პროკურატურაში უნდა გადავგზავნოთ და შეფასებას მათგან მოველით", - განაცხადა მზია ალავიძემ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე სამართალდამცველების მიმართ საყვედურები მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არ გაისმოდა. ადვოკატები მალხაზ ჯანგირაშვილი და ლადო ნორაკიძე იმ კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობდნენ, სადაც კანონდამცველთა უკანონო ქმედების გამო ადამიანის უფლებები აშკარად ილახება.

მალხაზ ჯანგირაშვილის ინფორმაციით, უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი გოჩა აფრასიძე დღემდე №7 საპყრობილეში იმყოფება და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მის გადაყვანაზე არავინ ფიქრობს. არადა, ორივე ფილტვში დანით დაჭრილი აფრასიძის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რაც იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააფიქსირა, მაგრამ რეაგირება დღემდე არ მოჰყოლია. მეტიც, სვანეთის სპეციოპერაციის დროს დაჭრილი გოჩა აფრასიძის საქმეს მესტიის პროკურატურა იძიებს და, კანონმდებლობით, იგი ზუგდიდის იზოლატორში უნდა იყოს მოთავსებული.

"როგორც ჩანს, სამართალდამცველებს პატიმართან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესი გააჩნიათ და მის სიცოცხლეს შეგნებულად ხელყოფენ", - აცხადებს ჯანგირაშვილი და დასძენს: **"ჩვენი მოთხოვნაა, აფრასიძის ბედით იუსტიციის სამინისტრო დაინტერესდეს და იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ სამკურნალო დაწესებულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სწორედ მათ დაეკისრებათ".**

გუშინვე, ადვოკატებმა - მალხაზ ჯანგირაშვილმა და ლადო ნორაკიძემ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა კობა გიგუაშვილის უკანონო პატიმრობაში დაადანაშაულეს. ადვოკატების განცხადებით, გიგუაშვილი თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გასული წლის დეკემბერში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ბრალდებით დააპატიმრეს (დაცვის მხარის მტკიცებით, მას "ჰეროინი" ჩაუდეს) და სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. სამი თვის გასვლის შემდეგ კი გიგუაშვილს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ ყაჩაღობა და მკვლელობის მცდელობის ბრალდება წარუდგინა და ორი თვით წინასწარი პატიმრობაც გაუგრძელა.

"მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას დავუმტკიცეთ გიგუაშვილის უდანაშაულობა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც პროკურატურაში არსებობს, მის გათავისუფლებაზე არავინ ფიქრობს. მეტიც, 12 მაისს გიგუაშვილს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუვიდა და ამ ხნის განმავლობაში იგი უკანონო პატიმარია", - ამბობს ნორაკიძე.

ერთი სიტყვით, ეს იმ პრობლემათა ნაწილია, რაზეც გუშინდელ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ადვოკატებმა ისაუბრეს და რაც სამართალდამცველთა მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს. თუმცა, დასახელებული კანონდარღვევების საზოგადოების სააშკარაოზე გამოტანა რა შედეგს გამოიღებს, მომავალი გვიჩვენებს.

კენჭაძის საქმეზე დაკავებულთა რიცხვი იზრდება

ვიდრე გენერალური პროკურატურა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის ბრალეულობას საბოლოოდ დაამტკიცებს და საქმეს საბოლოო განხილვისათვის სასამართლოში გადაგზავნის, უშიშროების გენერალ-მაიორის საქმეში თანამონაწილეთა და დაკავებულთა რიცხვი მატულობს.

თამარ კაკიტაძე

როგორც უკვე ცნობილია, ლევან კენჭაძეს გამოძიება ანტიტერორისტული ცენტრის კუთვნილი იარაღის უკანონო ჩამოწერისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებაში ედავება. თუმცა, თავად უშიშროების გენერალ-მაიორი წარდგენილ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და, როგორც მისი ადვოკატი ირწმუნება, კანონიერად ჩამოწერილი იარაღი რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე კანონიერად განადგურდა კიდეც.

მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინ გენერალურმა პროკურატურამ იმ ფირმის მეპატრონე დაკავა, ვისთანაც, გამოძიების მტკიცებით, ანტიტერორისტული ცენტრიდან უკანონოდ ჩამოწერილი იარაღის კვალი მიდიოდა. საუბარია შპს "კავკასიონი - 1"-ის დირექტორზე ევგენი ხარბედიაზე, რომელსაც ბრალი ედება სახელმწიფო ქონების მითვისებაში, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებასა და იარაღის უნებართვოდ შენახვაში.

გენპროკურატურაში არსებული მასალების თანახმად, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლევან კენჭაძემ 1999-2000 წლებში უშიშროების სამინისტროს ბალანსზე არსებული რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი სწორედ შპს "კავკასიონი - 1"-ს გადასცა.

როგორც უკვე ვნერდით, აღნიშნული იარაღის ჩამოწერის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სამხედრო პროკურატურაში ჯერ კიდევ ორი წლის წინ აღიძრა. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის პაატა ტყეშელაშვილის თქმით, სწორედ იმ დროს "კავკასიონ 1"-ის დამფუძნებლებმა კონჭარიამ და ევგენი ხარბედიამ ფირმა ლიკვიდურად გამოაცხადეს და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გაანადგურეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჩვენება მისცა დღევანდელ გამოძიებას ჯერ კიდევ მოწმის სახით დაკითხულმა ხარბედიამ, რომელიც წარსულში გამომძიებელი იყო და რომელმაც კარგად იცის, რას ნიშნავს გამოძიებისთვის დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ კენჭაძის მიერ ჩამოწერილი იარაღის შპს "კაკვკასიონი - 1"-სთვის გადაცემის დოკუმენტები, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, როგორც ტყეშელაშვილი ირწმუნება, გამოძიებას საკმარისი მტკიცებულება გააჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ უშიშროების გენერალ-მაიორსა და ფირმის დირექტორს შორის სერიოზული ალიანსი არსებობდა.

"სხვა მტკიცებულებებს რომ თავი დავანებოთ, ხარბედიას ჩხრეკისას ანტიტერორისტული ცენტრიდან ჩამოწერილი ოთხი ავტომატი აღმოვუჩინეთ, რომელიც ამოღებულია. ამასთან, გაგვაჩნია მტკიცებულებები, რომ მან 30 დანა გაყიდა, ხოლო 15 ჩაფხუტის ასავალ-დასავალი ამ ეტაპზე უცნობია", - განაცხადა ჩვენთან საუბარში პაატა ტყეშელაშვილმა.

იმ შემთხვევაში, თუ ევგენი ხარბედიას წარდგენილი ბრალდება საბოლოოდ დაუმტკიცდება, მას მაქსიმუმ შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თუმცა, როგორც პაატა ტყეშელაშვილი ირწმუნება, ანტიტერორისტული ცენტრის კუთვნილი იარაღის "გაქრობასთან" დაკავშირებით დასაჭერთა სია ამით არ ამოიწურება და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში კენჭაძის და ხარბედიას ბედი უშიშროების სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებმაც გაიზიარონ.

"კრიტიდან" დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთები ამოიღეს

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა მოულოდნელმა ჩხრეკამ, უკვე კარგა ხანია, სისტემატური ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, საკნებში პატიმართათვის აკრძალული ნივთების რაოდენობა არ შემცირებულა. ყოველი ჩხრეკისას, იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წევრები პატიმრებთან საკმაოდ დიდი რაოდენობის აკრძალულ ნივთებს პოულობენ.

№1 საპყრობილის დახურული ტიპის კორპუსი (ე.წ. "კრიტი"), სადაც ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გუშინ არაგეგმურად გაიჩხრიკა. ჩხრეკის შედეგად დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთებია ამოღებული.

ჩხრეკა ჩაატარეს იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და №1 საპყრობილის თანამშრომლებმა.

ღონისძიებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე ხელმძღვანელობდა. მან ჩხრეკის დასრულების შემდეგ სასწრაფოდ საგანგებო თათბირი მოიწვია. "იმ შემთხვევაში, თუ საპყრობილის თანამშრომლებს აკრძალული ნივთების პატიმრებთან შეტანა დაუმტკიცდებათ, ნებისმიერი მათგანი არა მხოლოდ გათავისუფლდება სამსახურიდან, მკაცრად, სამაგალითოდ დაისჯება", - ასეთი გაფრთხილება მისცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქვეშევრდომებს.

ეგრეთ წოდებულ "კრიტში" გუშინ ჩხრეკა სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამ სართულზე განლაგებულ საკნებსა და 400-ზე მეტი პატიმრის გაჩხრეკის შემდეგ ამოღებულია 21 ცალი მობილური ტელეფონი, 44 ცალი მობილური ტელეფონის დამტენი, 65 ცალი ერთჯერადი შპრიცი, 20 ცალი მაკრატელი, 14 ლიტრი საფუარისაგან დამზადებული სპირტიანი სასმელი ე.წ. "ბრაგა" და სხვა ნივთები.

ამ ფაქტზე მოკვლევა უკვე დაიწყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურმა.

24 საათი

მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP)
არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა
SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენისათვის (SCP)

ოპერატორი - კომპანია BP

გამოქვეყნების თარიღი: 24 **მაისი 2004**
დახურვის თარიღი და დრო: **12 ივლისი 2004, დღის 12 საათი თბილისის დროით**

BTC, მოქმედებს რა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით და წარმოადგენს მათ, ეძებს განაცხადებს საქართველოში დარეგისტრირებული კვალიფიცირებული ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რათა განსაზღვროს და დანერგოს პროექტები BTC-სა და SCP-ს მიერ დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების განსახორციელებლად, რომელიც პროექტების "გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის" (EIP) ნაწილს წარმოადგენს.

გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის უმთავრესი მიზანია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულარიზაციას. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებად, რომლებიც განისაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო "ინტერესის მქონე ჯგუფებთან" საკონსულტაციო პროცესში.

"გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის/სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების მიერ საქართველოში განხორციელებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამათა პაკეტში შემავალ ძირითად გარემოსდაცვით პროგრამას წარმოადგენს. სხვა პროგრამებში შედის "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა" (CIP), რომლის ფარგლებში მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტები ხორციელდება და ასევე ახალი პროგრამა, რომელიც ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის მონიტორინგის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებს დამოუკიდებელი დაფინანსების მეშვეობით აუდიტის და ანგარიშგების აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება. აღნიშნულ პროგრამათა პაკეტს დროთა განმავლობაში შეიძლება სხვა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები დაემატოს. თითოეულ პროგრამას თავისი საკუთარი თემატიკა და ამოცანები აქვს, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ, კერძოდ კი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

ამჟამად განიხილება შემოთავაზებები პროექტებზე, რომლებიც ეხება მხოლოდ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას - *არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მართვა SCP და BTC მილსადენის მარშრუტებზე.* ამას მოჰყვება იმ შვიდ რაიონში, რომლებშიც გადის მილსადენი, მომუშავე NGO/CBO-ების მუშაობის მოცულობის მოთხოვნების, სპექტრის დიზაინისა და პროგრამის საოპერაციო მექანიზმების შეფასება და მისი შემდგომი მართვა ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია "BP", როგორც აღნიშნული პროექტების ოპერატორი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ / რაიონულ ორგანიზაციებს შორის ალიანსების შექმნას ეკოლოგიური ინვესტირების პროგრამების პროექტების განსახორციელებლად.

წინადადებების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ ორგანიზაციებს:

- არაკომერციული, კერძო მოხალისეთა ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული არიან საქართველოში და გააჩნიათ საქმიანობის განხორციელების ნებართვა.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის საქმიანობას განახორციელებენ ხარჯების ანაზღაურების საფუძველზე (ე.ი. შემოსავალსა და მოგებაზე უარის თქმის პირობით).
- საქართველოში არარეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (ე.ი. რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოში საქმიანობის განხორციელების ნებართვა) ეროვნულ ორგანიზაციებთან დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.
- ზემოაღნიშნულის ნებისმიერი კომბინაცია დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა დაასაბუთონ, რომ გააჩნიათ შემდეგი სახის კომპეტენცია:

- გრანტის ტიპის პროექტის ან ანალოგიური ინიციატის მართვის და / ან განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 50 000 აშშ დოლარზე პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
- მცირე გრანტების/შესაძლებლობების განვითარების დარგში პროექტების მართვისა და განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება.
- შემოთავაზებული პროექტის სფეროში დასაბუთებული კომპეტენცია.
- სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- ანგარიშების არსებობა, რომელთა აუდიტიც შესაძლებელია.

აპლიკანტებს შეუძლიათ წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2004 წლის 24 მაისიდან 5 ივნისამდე შემდეგი პუნქტიდან:

BTC მილსადენის კომპანია / შპს SCP
კომპანია "BP"-ის საქართველოს პროექტების ოფისი
საქართველო, თბილისი 380094
საბურთალოს ქ. N38

წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდებზე:
www.caspiandevelopmentandexport.com
www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.org

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

მშვიდობის ბაირაღები

დიალოგი სოხუმის შემდეგ

20 მაისს სოხუმში იმყოფებოდნენ სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა და პროექტის - "თქვენი აფხაზეთი" კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი. ახლა გთავაზობთ დიალოგს, რომელიც მათი სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ ჩავწერეთ. ჩვენ მხოლოდ ერთი კითხვა დავსვით, - აქვს თუ არა აზრი მშვიდობიან მოლაპარაკებებს? - და პასუხად წინამდებარე დიალოგი მივიღეთ.

ზაზა ფაჩუაშვილი

ლევან ხარიტონიშვილის ფოტო

თორნიკე ბერიშვილი და გოგა ხაინდრავა.

გოგა ხანდრავა - რა თქმა უნდა, მოალაპარაკებებს აზრი აქვს. სხვა საკითხია, რომ დღეს აფხაზეთში საქართველოს შემადგენლობაში რაიმენაირი სტატუსით ყოფნა იმდენად არაპოპულარული თემაა, რომ ამაზე საერთოდ არ საუბრობენ. უფრო მეტიც, თბილისსა და ბათუმის მოვლენების ფონზე სეპარატისტულად განწყობილი რეგიონები იმდენად შეშფოთებულები არიან, რომ საქართველოსადმი უბრალოდ ლოიალური პოზიციის გამოხატვაც კი შეიძლება თვითმკვლელობის ტოლფასი იყოს. დღეს აფხაზეთში მიმდინარეობს არძინბას ეპოქის დასასრულისათვის მზადება. რაღაც ახლის შეგრძნება ნამდვილად არის. ამავე დროს არის შეშფოთება საქართველოში განვითარებული მოვლენების გამოც, რასაც მოსდევს შესაბამისი განცხადებები.

თუ გვინდა კონფლიქტის მოგვარება და არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ასეთ ვითარებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ და მოთმინებით მივუდგეთ. ხაზს ვუსვამ კონფლიქტის მოგვარებას. კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ორი სხვადასხვა ამოცანაა, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ტერმინებს ერთმანეთში ძალიან ხშირად ვურევთ. ამას აკეთებდა ნინა ხელისუფლება და ამასვე შეეჩვია საზოგადოება. თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალის გამოყენებას გულისხმობს, კონფლიქტის მოგვარება ძალისმიერ მეთოდს სრულიად გამორიცხავს. ამიტომ ამ ტერმინების ერთმანეთში არევა დაუშვებელია. პირველ რიგში ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მერე მთლიანად საზოგადოებამ.

თორნიკე ბერიშვილი - ჩვენს განცხადებებს მთელი ქვეყანა უსმენს. ხდება ინფორმაციის შეკრება, მისი დამუშავება, ანალიზი და ყალიბდება სრულიად ნეგატიური აზრი, რომელიც მიეწოდება აფხაზურ საზოგადოებას. ეს ყველაფერი კი ამწვავებს კონფლიქტს. ყურადღება ექცევა მხოლოდ აგრესიულ გამონათქვამებს. აფხაზეთში იციან ყველაფერი, ვინ სად იბრძოდა, როგორ იბრძოდა. შესწავლილი აქვთ ომის შემდეგ, ვინ რა განცხადება გააკეთა და ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გოგა ხაინდრავა - 1993 წელს ფრანგულ გაზეთს მივეცი პატარა ინტერვიუ აფხაზეთის საკითხზე. სოხუმში ჩავედი თუ არა ის ინტერვიუ შემახსენეს.

საბოლოოდ გამოდის, რომ 12 წლის მანძილზე აფხაზებს ქართველების მხრიდან ესმით მხოლოდ მუქარა, გაუთავებელი ლაპარაკი აფხაზთა წარმომავლობაზე, თითქოს დღეს ვინც იქ ცხოვრობენ აფხაზები არ არიან და არიან ვიღაც სხვები, ჩამოთრეულები, ნამდვილი აფხაზები კი ჩვენ ვართ და ათასი სხვა სისულელე, რაც ქართველებსა და აფხაზებს კიდევ უფრო გვაუცხოებს ერთმანეთთან.

ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ვართ 21-ე საუკუნეში. ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ცხოვრების წესები, რომელიც ეწინააღმდეგება შუასაუკუნეობრივ მსოფლმხედველობას. ბუნებრივია, პოლემიკას ვერავის ავუკრძალავთ, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების ქვაკუთხედად უნდა იქცეს დღევანდელი რეალიების გათვალისწინება, რომ 12 წლის განმავლობაში აფხაზეთში კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება, ჩვენს საწინააღმდეგოდ.

თორნიკე ბერიშვილი - პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთში პროქართული განწყობა არ შეინიშნება. თუ ასეთი რამ მაინც არსებობს, მაშინ ისეა მიჩქმალული, რომ ვერავინ ამჩნევს და ხმის ამოღებასაც ვერავინ ბედავს.

გოგა ხაინდრავა - საქართველომ სიტყვის თავისუფლების მხრივ წინ დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ აფხაზეთში ეს არ მომხდარა. აფხაზები ისევ წარსულში ცხოვრობენ. ამაზე მეტყველებს აფხაზეთის ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება.

თავის დროზე ასე იყო მთელ საქართველოში. ჩვენ არაფერს ვაკეთებდით და ვსაუბრობდით მხოლოდ ჩვენს სახელოვან წარსულზე. მერე იყო ნიჰილიზმით გაჯერებული შევარდნაძის ეპოქა, მაგრამ დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველო ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობს. გვაქვს მიზანი, გზა და იმედი იმისა, რომ ამ გზას აუცილებლად გავივლით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შევარდნაძის გარემოცვამ აფხაზეთისკენ ნაბიჯი ვერ გადადგა. ის ძველი მეთოდით მოქმედებდა და ამიტომ სასტიკად დავმარცხდით.

ოპონენტები გვეკითხებიან, რა მოგვცა შერიგებაზე საუბარმა და მოლაპარაკებამო. რა უნდა მოეცა, როცა მიზანი არ გვქონდა? ეს იყო ლაპარაკი ლაპარაკისთვის, პასუხისმგებლობას არავინ კისრულობდა, რეალობას თვალს არავინ უსწორებდა და ყველა იმაზე საუბრობდა, რა იყო ომამდე. ომამდე რაც იყო, ცუდიც და კარგიც, მორჩა, აღარ არის და აღარც განმეორდება.

თორნიკე ბერიშვილი - ომამდე იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაგვიტოვა უმძიმესი მემკვიდრეობა, სეპარატიზმი და 300 ათასი ლტოლვილი.

გოგა ხაინდრავა - დღეს აფხაზეთს რუსეთი აკონტროლებს და სწორედ რუსეთი გახდა აფხაზების დასაყრდნობი. აფხაზები ევროპულ სტრუქტურებსაც კი ეჭვის თვალით უყურებენ, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა, დავარწმუნოთ აფხაზური საზოგადოება, რომ ჩვენი და მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა მიმართულია არა აფხაზი ერის უფლებების შელახვისაკენ, არამედ პირიქით მისი კეთილდღეობისაკენ. იმისაკენ, რომ აფხაზ ერს ჰქონდეს გარანტირებული მომავალი და პატივცემული წარსული. ეს არის ძალიან მცირერიცხოვანი და ორიგინალური ერი, რომელსაც მტკიცედ შეუძლია დგომა და საკუთარი ინტერესების დაცვა.

გადაჭარბებული ნათქვამია, რომ ჩვენ ომი რუსეთმა მოგვიგო. აფხაზებმა იბრძოლეს თავგანწირვით და არ მოერიდნენ უამრავ მსხვერპლს, რითიც დღეს ამაყობენ. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ვითარება მათი გადმოსახედიდანაც შევაფასოთ. ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დავთმოთ სახელმწიფოებრივი ინტერესები და დევნილი მოსახლეობის პოზიციები. აფხაზებმა ძალიან კარგად იციან, რომ არც ქართველები დათმობენ აფხაზურ მიწას.

სხვათაშორის ქართველების გამოდევნა პირველ რიგში ჩვენი ბრალია. იმიტომ, რომ აფხაზეთში ჩვენ დავმარცხდით. გამარჯვებული კი არავინაა.

თორნიკე ბერიშვილი - შეიძლება ითქვას, რომ გაიმარჯვა ბნელმა ძალამ, თუმცა აქ აფხაზებს არ ვგულისხმობთ. აფხაზები ჩვენთვის ბნელი ძალები არ არიან.

გოგა ხაინდრავა - და არა მარტო ჩვენთვის, დევნილებისთვისაც ასეა. მე არ მინახავს დევნილი, რომელიც ამბობს, რომ აფხაზები უნდა მოვსპოთ. მათი ერთადერთი მიზანია სახლში დაბრუნება და მშვიდობიანი ცხოვრება.

თორნიკე ბერიშვილი - აფხაზებსაც მშვიდობიანი ცხოვრება სურთ და ამიტომ ეშინიათ ქართველების დაბრუნების, ფიქრობენ, რომ იქნება შურისძიების მცდელობა, რაც სავსებით გასაგებია.

გოგა ხაინდრავა - რა თქმა უნდა, ერთი რომ იტყოდა, კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოვაგვაროთო, მეორე ძალისმიერ გზას ქადაგებდა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ამ 12 წლის განმავლობაში აფხაზებისთვის არაფერი შეგვითავაზებია.

პირველ რიგში ჩვენ უნდა გავერკვეთ და ვთქვათ, როგორ ვაპირებთ აფხაზეთის საკითხისადმი მიდგომას. თუ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება გვინდა, მაშინ უნდა შევრიგდეთ. შერიგებისთვის კი საჭიროა საკუთარი შეცდომების გააზრება და აღიარება. სხვანაირად შერიგება არ მოხდება. აფხაზები თბილისში ტანკებით არ შემოსულან.

ბევრი იტყვის საქართველოა... კი, მაგრამ აფხაზეთიცაა და რატომ გვინდა წავართვათ აფხაზებს იმის შეგრძნების უფლება, რომ ის მიწა მათიცაა, მათი სამშობლოცაა.

როგორც ჩვენ ვართ დარწმუნებულები, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ასევე ისინი არიან დარწმუნებულები, რომ აფხაზეთი არის მათი. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ აფხაზებს ასე ფიქრის უფლება აქვთ.

თორნიკე ბერიშვილი - სინანული უნდა იყოს გულწრფელი და ეს არ დაიმალება, თორემ საქმე დიპლომატიურად ბოდიშის მოხდაში კი არ არის.

გოგა ხაინდრავა - სინანულისკენ პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ ძლიერები და პირველები ბევრ სასიკეთო წამოწყებაში, რატომ არ უნდა ვიყოთ პირველები სინანულში? რატომ მენდობიან აფხაზები, იმიტომ, რომ ისინი ხედავენ ჩემს გულწრფელ სინანულს იმის გამო, რაც აფხაზეთში მოხდა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ბევრი გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვით და მე ამას ძალიან განვიცდი. უფლება არ გვქონდა, საქმე აქამდე მიგვეყვანა. ამ შეცდომის გულისთვის ისჯებიან აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები.

აფხაზეთში არის დიდი მოლოდინი. მათ სურთ, დაინახონ, რომ ჩვენ არა ვართ მტრები, რომ ჩვენ არ ვაპირებთ შურისძიებას და გვინდა მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრება.

ჩვენი ბაირაღი რევანშიზმი არ უნდა იყოს, ისე, როგორც დღემდე. წარსულს უნდა ჩაბარდეს განცხადებები, რომ ჩვენ შევალთ აფხაზეთში, აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთ. ერთადერთი, რაც ჩვენ უნდა აღვადგინოთ, არის ურთიერთობები. თუ ურთიერთობებს აღვადგენთ, ტერიტორიული მთლიანობა თავისთავად აღდგება. სხვანაირად, როგორ, ვერ წარმომიდგენია. ვთქვათ შევიყვანეთ ტანკები და ყველგან დავაყენეთ. რა გამოვა, როცა ვხედავთ, რომ აფხაზს ტანკის არ ეშინია. ანდა, ტანკი მოარიგებს ორ მეზობელს?

ამიტომ ჩვენ ხელისუფლება და მთელი საზოგადოება უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა და დადავწყვიტოთ, რა ვუთხრათ, რა შევთავაზოთ აფხაზებს.

თორნიკე ბერიშვილი - ქუჩაში ერთმა გოგომ მკითხა, დევნილები რომ არ გყავდეთ, თქვენთვის აფხაზეთის პრობლემა აღარ იარსებებდაო?

გოგა ხაინდრავა - ძალიან სასარგებლო კითხვაა და მოდი ჩვენ ქართველებმა საკუთარ თავს ვკითხოთ, რა არის ჩვენი პრობლემა - ის, რომ გვაწუხებენ დევნილები, თუ ის, რომ დავკარგეთ საკუთარი სისხლი და ხორცი, რომელიც გაუთავებლად გვტკივა. და თუ გვტკივა ეს ჭრილობა, რატომ არ გვინდა მალამოთი მკურნალობა და რატომ ვფიქრობთ პირდაპირ ქირურგიულ ჩარევაზე. არ ჯობია, მალამოთი, სიყვარულით დავიწყოთ ჭრილობების მოშუშება? ჩვენი ამოცანაა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ მოხდეს დევნილების დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. პირობები კი უნდა შეიქმნას აფხაზებთან ადამიანური მოლაპარაკების საფუძველზე.

თორნიკე ბერიშვილი - ამ საქმეში, სხვათაშორის, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასმედიას, მაგრამ სამწუხაროდ საინფორმაციო საშუალებები ძალიან ხშირად ნეგატიურ როლს ასრულებენ.

გოგა ხაინდრავა - მაგალითად, გამოაცხადეს, რომ "კმარა" მიდის ცხინვალში და აპირებს აქციის ჩატარებას. მეორე დღეს ცხინვალში დაიწყო ძალისმიერი სტრუქტურებისა და საზოგადოების მობილიზება. მე კი მირეკავენ მოსკოვიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ცხინვალიდან და მახსენებენ, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი და ა.შ.

რისი გულისთვის? იმისთვის, რომ სხვებს დაასწრო? კი, მაგრამ ხომ იცი, რომ შენი ინფორმაციის მერე ეს აქცია, თუ მართლა დაგეგმილია, ჩაიშლება? მე ბევრგან მხვდება წინ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული დაუფიქრებელი ინფორმაციები, რაც მიქმნის უხერხულ გარემოს და ხელს მიშლის მუშაობაში.

თორნიკე ბერიშვილი - იმისათვის, რომ აფხაზების თვალით გადავხედოთ მოვლენებს, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ აფხაზები დაგვთანხმდებოდნენ და მოგვაწვდიდნენ თავიანთ მოსაზრებებს, გულისტკივილს, რასაც ჩვენ უცვლელად გამოვაქვეყნებდით ყველა სახის საინფორმაციო საშუალებით.

გოგა ხაინდრავა - რა თქმა უნდა. თანაც, აფხაზებს იმდენი სათქმელი დაუგროვდათ, რომ ნიაღვარი წამოვა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ და მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ეს არ იქნება თაფლი. თუ ჩვენ გვინდა, "ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს", აფხაზებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ ამის უფლება?

ამიტომ ეს მიწა, რომელიც ღმერთმა მოგვცა, აფხაზებთან ერთად უნდა შემოვღობოთ, სხვას არ უნდა გავუყოთ და აქ ერთად ვიცხოვროთ. ოღონდ აფხაზმა თავისი ჭკუით იცხოვროს, ჩვენ ჩვენი ჭკუით. მით უმეტეს, რომ ჩვენ ჩვენი ჭკუით ჯერ ბევრი ვერაფერი შევქმენით და ცუდი ცხოვრება გვაქვს.

თორნიკე ბერიშვილი - ვის რად უნდა ჩვენი ცუდი ცხოვრება, როცა თავისი ცუდიც ეყოფა.

გოგა ხაინდრავა - მე მზად ვარ ჩავიდე აფხაზეთში, ჩავატარო დიდი პრესკონფერენცია და ყველა კითხვას გავცე პასუხი. აფხაზები დამთანხმდნენ. ამჟამად აფხაზეთიდან ოფიციალურ პასუხს ველოდები.

აფხაზური დღიური

ღორების მომვლელი

კვლავ ჩემს საყვარელ სოფელში ვარ. წვიმამ უკვე გადაიღო. ირგვლივ საოცარი სიჩუმე და სიწყნარეა.. ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი. საერთოდ, მიყვარს შაბათ-კვირა, როდესაც ქალაქის ხმაურს გამოვექცევი ხოლმე და სოფელში ჩამოვდივარ.

ყოველთვის ასეა: კვირის ბოლოს აქ, სოფელში, ჩამოვდივარ, კვირის დასაწყისში - უკან ქალაქში ვბრუნდები. ყოველი კვირის ბოლოს, თითქოს ვიღაც, უხილავი მექაჩება, მეძახის აქეთ.

გასაოცარია, ასე რომ მემართება, რადგან ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქალაქში მაქვს გატარებული - იქ ვსწავლობდი, ამჟამად იქ ვმუშაობ, ჩემი ყველა ნათესავი იქ, სოხუმში ცხოვრობს, მაგრამ მე მაინც სოფელი უფრო მიყვარს, აქ ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. აქ არიან ჩემი საყვარელი მეზობლები, ჩემი სახლი, ბაღი...აქ მაქვს ჩემი არცთუ პატარა მეურნეობა -ხეხილის ბაღი, სახლის წინ, დიდი მწვანე ეზო, ბოსტანი. მყავს ქათმები, გოჭები, ძროხები, ინდაურები თავისი ჭუკებით.

უნდა ვთქვა, რომ სახლში ყველას ჩვენ- ჩვენი მოვალეობა გვაკისრია. მე ორი და მყავს და ყველა საოჯახო საქმე განაწილებული გვაქვს: შუათანას საჭმლის კეთება უყვარს და ამიტომ ის ყოველთვის სამზარეულოში ტრიალებს, (მე საჭმელების კეთება არ ვიცი და მეჯავრება სამზარეულო), უმცროსი და - შინაურ ცხოველებს უვლის - გოჭებს, ძროხებს. პატარა დამ ყველაფერი იცის მათ შესახებ: როდის უნდა შედენოს სადგომში, როდის უნდა გამოდენოს, როდის აჭამოს, წყალი როდის დაალევინოს...

ჩემი მოვალეობა ყოველთვის ჩემთვის საინტერესო საქმეების კეთება იყო: ბოსტანში მუშაობა, სხვადასხვა სახის "შავი" სამუშაოს შესრულება, შეშის შეგროვება. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მიყვარს ...შეშის დაპობა - ზოგ მეზობელ კაცზე უკეთესადაც შემიძლია დავჩეხო შეშა. რატომღაც, ბავშვობიდან მიყვარდა ეს საქმე - შეშის დაჩეხვა და მერე დაჩეხილის ლამაზად დაწყობა. დიდი ხანია, რაც ამ საქმეს ოჯახში მხოლოდ მე ვაკეთებ, ალბათ იმიტომაც, რომ დებში უფროსი ვარ და კიდევ იმიტომ, რომ მამაკაცი დიდი ხანია ოჯახში აღარა გვყავს. მოკლედ, კაცებზე უკეთესად ვჩეხავ შეშას, ამ საქმეში საკმაოდ გამობრძმედილი ვარ. ისე, სოფლის გოგომ, ალბათ, ყველაფრის კეთება უნდა იცოდეს.

ერთი სასაცილო ამბავი მინდა გავიხსენო, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, გასულ კვირას შემემთხვა.(თუმცა, მაშინ სულაც არ მეცინებოდა): იმ დღეს ჩემი უმცროსი და სახლში არ იყო და მის ნაცვლად, მე უნდა გამეკეთებინა მისი სამუშაო, ანუ მომევლო მშიერი გოჭებისთვის - შემერეკა ისინი საღორეში და დამეპურებინა. იმ დღეს ცუდ ხასიათზე ვიყავი, რადგან ჩემმა დებმა გამაბრაზეს, ასე მითხრეს უდარდელი და უსაქმური ხარო. მე მათი ნათქვამი ძალიან მეწყინა..სინამდვილეში, მე ძალიან ბევრს ვშრომობ, მონასავით ვმუშაობ, ხელებზე ყოველთვის "მაზოლები" მაქვს. მათ კი, უსაქმური მიწოდეს...

ავიღე გოჭების საჭმელი და გაბრაზებული გავემართე საღორისაკენ. ყველა გოჭი იქ იყო, შიოდათ და საშინლად ჭყვიტინებდნენ. ჩვენს გოჭებს საჭმელი დავუყარე და შევრეკე საღორეში. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა, რომ ვაჭამე და შევრეკე ჩვენი გოჭები. სინამდვილეში კი იციო, რა მოხდა? თურმე, მეზობლის ღორები და გოჭები დამიპურებია და შემიყრია ჩვენს საღორეში (ჩემი უმცროსი დისგან განსახვავებით, მე ჩვენს გოჭებს და ღორებს სხვისებისგან ვერ ვარჩევდი, რადგან მათ "სახეზე ვერ ვცნობდი").

გავიდა ცოტა ხანი, მოსაღამოვდა, სახლში ვართ, დასაძინებლად ვემზადებით და უცებ გარედან საშინელი ხმა გვესმის: ჩვენ სახლთან ტრიალებენ გოჭები, მშიერი გოჭები და საშინლად ჭყვიტინებენ, ყურთასმენა წაგვართვეს. ყველანი ძალიან შეეწუხდით, განსაკუთრებით უმცროსი და, რომელიც გოჭებს ყოველთვის კარგად უვლიდა და რომელმაც ერთადერთხელ დამიტოვა ისინი მოსავლელად და მე მაშინაც ვერ ვუპატრონე მათ.

ჩემი და გარეთ გავიდა და მალე მიხვდა, რომ ჩვენი გოჭების ნაცვლად მეზობლის გოჭები შემიყრია საღორეში. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს გოჭებს ვუპატრონე, დავაპურე და საღორეში დავაბინავე...მეზობლის გოჭების "პატრონობისთვის" ჩემმა დებმა კინაღამ მომკლეს...

უკვე კარგად ბნელოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი კვლავ ჩამეცვა ჩემი "კალოშები", ამეღო საჭმლით სავსე "ვედრო", და წავსულიყავი საღორეში, ახლა უკვე ნამდვილად ჩვენი გოჭების დასაპურებლად...გარეთ საშინელი ამინდი იდგა: თოვლჭყაპი, სიბნელე...

მე კი ასეთ საშინელ ამინდში, იძულებული ვიყავი გოჭებისთვის მიმეხედა...რას იზამ, ჩვენს ცხოვრებაში, ასეც ხდება ხოლმე.

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი, რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია

ეს წერილი გამოაგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციის "საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს" წარმომადგენელმა ჟურნალისტმა ელგუჯა მარღიამ, რომელსაც საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს ანტიკრიზისული კომუნიკაციური პროექტის კონცეფცია. გთავაზობთ შესავლის შემოკლებულ ვარიანტს და პროექტის მთლიან კონცეფციას.

ეს იდეა 2003 წლის 23 აპრილს ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ მისი განხორციელება, სხვადასხვა მიზეზთა გამო მაშინ ვერ მოხერხდა. ამჟამად აქციის ჩატარების აქტუალობა უფრო იგრძნობა და შესაბამისად სურვილი და განწყობაც მეტია. იმის მიუხედავად, რომ ჩიხში ვართ და გამოსავალი არც ისე მკაფიოდ ჩანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ზნეობრივი და ჯანსაღი ტექნოლოგიების მაქსიმალური ამუშავება და გამოყენება ყოველთვის იძლევა გარკვეულ დადებით შედეგს. ვგულისხმობთ კეთილმოსურნისა და მოკეთის პოზიციიდან დანახულ და მაღალპროფესიულ დონეზე გათვლილ ღონისძიებებს, აქციებსა და ა.შ. საზოგადოებასთან ურთიერთობა თანმიმდევრული, აწონილ-დაწონილი და ხანგრძლივი პროცესია. ბეწვის ხიდზე სიარულსაც ნიშნავს და ფაქიზი დიპლომატიაცაა, რაც თანდათან, წვეთ-წვეთად და ეტაპობრივად იძლევა სასურველ შედეგს.

ვფიქრობთ, სახელმწიფო მინისტრი ბატონი გოგა ხაინდრავა და კულტურისა და სპორტის მინისტრი ბატონი გოკა გაბაშვილი გულისყურით გაეცნობიან ჩვენს ინიციატივას. მათ ხომ სხვაზე უკეთ მოეხსენებათ მნერლობის, ხელოვნების, კულტურისა და მასმედიის მნიშვნელობა.

იმის იმედიც გვაქვს, რომ წარმოდგენილი პროექტის კონცეფცია ზოგადად ხელისუფლებისა და საზოგადოების მონონებას დაიმსახურებს. ეს იქნება ანტიკრიზისული კომუნიკაციური პროგრამის ერთგვარი გვირგვინი. თუ ასეთი პროგრამა არ არსებობს, ჩვენ საამისო გარკვეული მონახაზის წარდგენაც შეგვიძლია. რაც შეეხება კონკრეტულ ნიუანსებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, შემდგომი განსჯის საკითხია.

პროექტის კონცეფცია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნებას, მნერლობას, კულტურას და მასმედიას დაპირისპირებულ მხარეთა დაახლოების, ურთიერთპატივისცემის, სიკეთის გაღვივების და გაერთიანების ჯადოსნური ძალა გააჩნია; მით უმეტეს, როცა ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს შორის სისხლხორცეული კავშირის მყარი ისტორიული წინაპირობაც არსებობს.

ამ ათი წლის მანძილზე არაერთი თვალსაჩინო მხატვრულ-პუბლიცისტური და სხვა ჟანრის ნაწარმოები შეიქმნა. რა თქმა უნდა, როგორც ქართულ, ასევე ოსურ და აფხაზურ მხარესაც აქვს თავისი სიმართლე; შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე და, საერთოდ, ხელოვნებას, მნერლობას, კულტურასა და მასმედიას მედიატორის - შემრიგებლის ფუნქცია უნდა დაეკისროს; ეს ღვთით ბოძებული მისიაა. თუ არა ხელოვნების, კულტურის, მნერლობისა და მედიის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, ვინ უნდა იზრუნოს სათნოებისა და სიკეთის დასამკვიდრებლად; უკეთ ვის ესმის უაზროდ დაღვრილი სისხლის ფასი. ამ სფეროს ქართული, აფხაზური და ოსური მხარის ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა მშვენივრად იციან, რომ თავსმოხვეულ ომში საბოლოოდ გამარჯვებული არავინ არის, არც ის მხარე, ვინც ფარულად თუ ღიად ხელს უწყობდა, ახალისებდა კონფლიქტის დაძაბვა-გაჭიანურებას. ჩვენ ვემიჯნებით ძალადობრივ პოლიტიკას და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეფექტური იქნება შეიქმნას "ანტიკრიზისული კომუნიკაციური პროგრამა" რომ თანდათან ქართულმა, აფხაზურმა და ოსურმა (მათ შორის რუსულმა) მედიამ შეწყვიტოს "მტრის ხატის" შექმნა და ურთიერთშეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელება.

"ტელევიზია, რადიო, პრესა ხშირად გვახსენებს კონფლიქტის დროს მომხდარ უარყოფით მოვლენებს და ამით განგვიახლებს ჯერ კიდევ ბოლომდე მოუშუშებელ ჭრილობებს. დროა, დავივიწყოთ ის საზარელი დღეები. ჩვენ უნდა გავიხსენოთ და დავინახოთ ის დადებითი მოვლენები, ის პიროვნული ღირსებები, რომლებიც გვაერთიანებდა საუკუნეების მანძილზე, რომელიც, მიუხედავად მრავალი სიმწარისა, არ დაგვიკარგავს საომარი მოქმედებების დროს და რომელიც დღესაც ცოცხალია ჩვენში," - ბრძანა თავის სააღდგომო მილოცვაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა. მედიამ კიდევ ერთხელ უნდა გაიაზროს თავისი უპირატესი დანიშნულება და კულტურის, ხელოვნებისა და მნერლობის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად უნდა გადადგას ურთიერთდაახლოების სასურველი ნაბიჯი, ეძებოს ერთმანეთის გულებამდე მისასვლელი გზები.

რუსთაველი ბრძანებს: **"გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი".**

განვლილმა ათმა წელიწადმა ყველას დაანახა და დაადასტურა, რომ საქართველოს მომავალი წარმოუდგენელია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, ხოლო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კეთილდღეობა საქართველოსგან მოწყვეტით ილუზიაა და სხვა არაფერი. ამას ფიქრობს ქართველების, აფხაზებისა და ოსების ჯანსაღი ნაწილი; აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი და ფსიქოლოგიურად გამართლებული იქნება, ქართულმა მხარემ გადადგას დროული ნაბიჯი (ვგულისხმობთ მედიის, კულტურის, ხელოვნებისა და მნერლობის სფეროს) და მოაწყოს ფართომასშტაბიანი აქცია. ამ აქციაზე ქართველი, აფხაზი და ოსი ხელოვნების, კულტურის, მნერლობისა და მედიის ღვაწლმოსილი წარმომადგენლების გვერდით უცხოეთის ის პროფესიონალებიც იქნებიან წარმოდგენილნი, ვინც თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხის დაახლოებას; ჰუმანიზმის პოზიციიდან აფასებდა შექმნილ მდგომარეობას. დროა, წარმოჩინდეს ყველა ის გამოჩენილი ავტორი - ხელოვანი, კულტურის მოღვაწე, მნერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ვინც ქმნიდა ურთიერთმონატრების, სიკეთისა და შერიგების სურვილით გამთბარ ნაწარმოებებს; ვინც მთელი კაცობრიობის გასაგონად ხმას იმაღლებდა ძმათამკვლელი ომის წინააღმდეგ. კერძოდ, ავტორიტეტული ჟიური სააშკარაოზე გამოიტანს საუკეთესოთა შორის საუკეთესო 1) რომანს, 2) პიესას, 3) მოთხრობას, მოთხრობების კრებულს; 4) პოეტურ ციკლს (კრებულს), 5) პუბლიცისტურ-დოკუმენტურ წიგნს, 6) ჟურნალისტურ რეპორტაჟს (პრესა), 7) ფოტორეპორტაჟს, 8) ტელეგადაცემას, 9) დოკუმენტურ ფილმს, 10) სიმღერას, 11) ფერწერულ ტილოს, 12) სპექტაკლს.

კიდევ ერთხელ პატივს მივაგებთ ომში დაღუპულებს, შევეხებით ისტორიის სიმებს და კიდევ ერთხელ გავახსენებთ ერთმანეთს: **"რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"**. ეს აქცია ხელს შეუწყობს, ჩვენ შორის დაჩქარდეს ურთიერთნდობის აღდგენა და დაახლოება. ამ აქციის არსი და მიმართულება მისაღები იქნება ყველა იმ ჯანსაღი ძალისათვის, ვინც თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარებას, ცდილობს ქართველ, აფხაზ და ოს ხალხთან ერთად, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები ყველა ერისა და ეთნოსის დაახლოებას. დადგა დრო, ყველამ რეალურად უნდა შეაფასოს ომის გამომწვევი მიზეზები, თვალი გაუსწოროს სინამდვილეს, იფიქროს მომავალზე, დადგეს საკუთარ ამბიციაზე მაღლა და მეგობრობის ხელი გაუწოდოს ერთმანეთს. კულტურის, ხელოვნების, მნერლობის და მასმედიის მოღვაწეთა ბრძნული და დროული ინიციატივა უნდა გახდეს მისაბაძი მაგალითი ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც იმედი არ გადაუწურავს ერთიანი საქართველოს ძლიერებაში, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის სამარადისო ერთობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, შთამომავლობა და პირუთვნელი მემატიანე არ გვაპატიებს იმ შეცდომებს, რაც ნებსით თუ უნებლიეთ დღემდე იქნა დაშვებული.

ელგუჯა მარღია
ჟურნალისტი

რადიო "მწვანე ტალღა"

ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.

FM 107,4

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

www.24hours.ge 24 B

ქებათა ქება სამშობლოს

ლუკიანე სამოსატელი

(120 – 180, 190, 200)

გვიანი ანტიკური პერიოდის რომის იმპერია ლუკიანეს სახელით რამდენიმე დიდ მოაზროვნეს იცნობს. ამათგან მწერალი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ლუკიანე სამოსატელია. წარმოშობით სირიელი, მისი ჩრდილო პროვინციის კომაგენას დედაქალაქის, სამოსატას მკვიდრი, განათლებით ბერძენი, პოლიტიკური მრწამსით კოსმოპოლიტი, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, უტოპისტი და რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თავისი სირიელობით უაღრესად მოჯადული. შინაგანი ბუნებით განმანათლებელი, რეალისტი. ფილოსოფიური სატირის პირველშემოქმედი მწერლობაში, ანტონინების "ბედნიერი ეპოქის" (II ს) მოღვაწე. თანამედროვეობის ულმობელი კრიტიკოსი და განმაქიქებელი, იმავე თანამედროვეთაგან აბსოლუტურად უგულებელყოფილი. ქრისტიან მამათაგან არაერთგზის გაკიცხული. აღორძინების ეპოქაში რეაბილიტირებული ჰუმანისტებისა და განმანათლებელთათვის მისაბაძი მაგალითი, მარქსიზმის კლასიკოსების მიერ "კლასიკური ეპოქის ვოლტერად წოდებული", მასავით კეთილდღეობის მოყვარე და მედროვე. მის შემოქმედებას რომ თავი დავანებოთ, ლუკიანეს სახელთანაა დაკავშირებული ლიტერატურული ფიქსაცია ისეთი სიტყვისა, როგორიცაა "ზეკაცი" (ჩვენი ჰაგიოკსაკიის მიხედვით "ზეცისა კაცი"), რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა ევროპის ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნების განვითარების პროცესში. მასვე ეკუთვნის მაცხოვრის მიმართ თქმული სიტყვები: "ჯვარზე გაკრული სოფისტი", რაც იმდენად შეურაცხყოფა როდია, რამდენადაც ელინიზირებული კაცის მიერ ჩვენი უფლის პირველაღქმა და მისი რაობის ხატოვანი განმარტება, მისივე წრის ადამიანებისათვის განკუთვნილი...

გიორგი ბაბაურის ფოტოები

1. სამშობლოზე უტკბესი არაფერიაო – გვსმენია მრავალგზის. მართლაც, არსებობს განა რაიმე სამშობლოზე უამესი, უდიადესი და უღვთაებრივესი? ყოველივე იმის მიზეზი და მასწავლებელი, რასაც ადამიანები წმიდად და საღვთოდ მიიჩნევენ, ხომ სამშობლოა! ვინაიდან იგია მათთვის სიცოცხლის მომცემელი, გამომკვებელი და მზრდელი. მართალია სხვათა ქალაქების სიდიადესა და ბრწყინვალებას მათი შენობების ქმნულკეთილობას ბევრი მოჰყავს გაოცებაში, მაგრამ სიყვარულით კი მაინც ყველას სამშობლო უყვარს. მრავალნი დამტკბარან, თანაც ძალიან, სხვათა ქვეყნებში სანახაობათაგან მიღებული სიამოვნებით, მაგრამ იმდენად არვინ ძლეულა მათი სიმდიდრით სამშობლო რომ დავიწყებოდეს.

2. ყოველი კაცი, ვინც ამაყობს მდიდარი ქვეყნის მოქალაქეობით, მან, ასე მგონია, არ იცის სამშობლოს ჭეშმარიტი ფასი. ამისთანა, ცხადია, იმტკივნეულებს თუ მას ბედისწერით პაწია სამშობლო ერგო. ჩვენში კი თვით სიტყვა სამშობლო იწვევს მოწიწებას. ვინც შეეცდება ქალაქების შეპირისპირებას, მან, დაე, შეუდაროს ერთმანეთს მათი სიმდიდრე, სილამაზე და სიდიდე. მაგრამ არჩევანზე რომ მიდგება საქმე, არავინ აირჩევს უბრწყინვალესს ქალაქთა შორის, არც სამშობლოს უგულებელყოფს არავინ. პირიქით, დღენიადაგ ღმერთებს შეევედრება მისი სამშობლოც სიმდიდრით სხვებს რომ გაუთანაბრდეს, არჩევით კი მასვე აირჩევს, როგორიც არ უნდა იყოს იგი.

3. ასე იქცევიან შვილთაგან სამართლიანნი და მამათაგან კეთილშობილნი. მშვენიერი და ზნეკეთილი ჭაბუკი მამაზე წინ უცხო კაცს არ დააყენებს, ისევე როგორც მამა არ უგულებელყოფს თავის შვილს და არ შეიყვარებს სხვას ძეზე მეტად. სიყვარულით ძლეული მამები გამორჩეულ თვისებებს მიაწერენ საკუთარ შვილებს და ეჩვენებათ, რომ ისინი აღემატებიან სხვებს სილამაზით, ახოვანებითა და სრულყოფილებით. ხოლო ვინც ამგვარად არ ფიქრობს თავის შვილზე, არა მგონია, მას მამებრი თვალები ჰქონდეს.

4. ამიტომ სიტყვა სამშობლოზე უპირველესი და "უმშობლიურესიც" არაფერია. თუკი ახალგაზრდა მამას საკადრის პატივს მიაგებს, ისეთს, როგორსაც ბუნება და კანონები ბრძანებს, მაშინ ის ამით სამშობლოსაც მიაგებს პატივს. ვინაიდან მამაც სამშობლოს ნაწილია, მამის მამაც. შინაურთაგან ყველა და შემდეგ თვით ღმერთნიც, მამაპაპათა ჩვენთანი, რომელთა სახელებსაც ვადიდებთ ხოლმე.

5. ღმერთებსაც კი უყვართ საკუთარი სამშობლო და კაცებრივ საქმეთ, ვით მათ შეშვენით, ზე დაჰყურებენ. მართალია, მათ მთელი ზღვა და ხმელი თავიანთ სამფლობელოდ მიაჩნიათ, მაგრამ თითოეული იმათგანი ქალაქთა შორის უპირატეს პატივს მაინც იმ ქალაქს ანიჭებს, სადაც პირველად იშვა.

ცხადია, ღმერთთა მშობელი ქალაქებში და ღვთივკურთხეული კუნძულები, სადაც ღმერთთა წარმოშობა დღენიადაგ იგალობება, განსაკუთრებით წმინდაა, ასე რომ, შესაწირს, რომელსაც კაცი ამა თუ იმ ღმერთის საბრძანისში ჩასვლისთანავე გაიღებს, ზეცის მკვიდრნი სათნოდ მიიჩნევენ. თუ ღმერთებისთვისაა თვით სიტყვა სამშობლო უპატიოსნესი, მაშ, ადამიანებს კიდევ უფრო მეტად რატომ არ უნდა უყვარდეთ იგი?

6. მზეც ხომ საკუთარი სამშობლოდან იხილა ყოველმა კაცმა? მართალია, ის ყველასთვის საერთო ღმერთია, მაგრამ ყველას თავის მამა-პაპათა ღმერთად მიაჩნია იგი, ვინაიდან ყოველმა თავისი მიწა-ნყლიდან დაინახა იგი პირველად. ენაც მშობლიურ კუთხეში ამოიდგა პირველად, ტიტინიც აქვე დაიწყო მშობლიურ ენაზე და ღმერთებიც აქ შეიცნო პირველად სწორედ.

თუ ვინმეს ასეთი სამშობლო ერგო, რომ იძულებული გახდა უკეთესი განათლებისათვის სხვათა ქვეყნებში წასულიყო, ის მაინც სამშობლოს მადლიერი უნდა იყოს იმისათვის, რაც იცის, რადგან რომ არა სამშობლო მას არც ქალაქთა კანონები ეცოდინებოდა და არც თვით სიტყვა ქალაქი.

7. ყოველგვარ მეცნიერებასა და ცოდნას, ჩემი აზრით, ადამიანები იმისთვის ეძებენ, რათა გამოადგნენ თავიანთ ქვეყნებს. ქონებასაც იმ ღირსების გრძნობით შეიკრებენ, რათა იგი სამშობლოს საკეთილდღეოდ დახარჯონ, რაც სამართლიანად მიმაჩნია მე. უდიდეს სიკეთეს მიწევნილნი უმადურნი როდი უნდა იყვნენ. თუკი ჩვენ მადლიერნი ვრჩებით ვიღაც ერთის მიმართ, მას შემდეგ რაც მან სიკეთე მოგვაგო, რაც სამართლიანია, მაშ, მით უფრო მეტად უნდა მივაგოთ ღირსეული სიყვარული სამშობლოს.

ქალაქებში მშობლების შეურაცხმყოფელთა მიმართ დამსჯელი კანონები მოქმედებს. სამშობლო კი ჩვენი საერთო დედაა და მას სამადლობელი საჩუქრები უნდა მივუძღვნათ, რადგან მან მისცა საზრდო და თვით კანონების ცოდნაც ადამიანებს.

8. ჯერ არავის უნახავს ისეთი ვინმე, უცხო მხარეში დამკვიდრებულს სამშობლო გაუხსენებლად რომ დავიწყებოდეს. ისინი, ვინც მარცხი იწვნია უცხოეთში, ერთხმად აღნიშნავენ, რომ არ არსებობს სამშობლოზე დიდი სიკეთე, ამასვე აღნიშნავენ წარმატებულნიც, რომ კეთილდღეობა მიღწეულთ აკლიათ უმთავრესი რამ, ის, რომ სამშობლოში კი არ ცხოვრობენ, არამედ სტუმრად არიან სხვაგან. უცხოთა ქვეყანაში ცხოვრება შეიცავს უღირსებობის რაღაც ნაწილს. ვინც დროთა განმავლობაში სხვათა ქვეყანაში მაღალ მდგომარეობას მიაღწია ქონების შეძენით, საპატიო სახელის მოპოვებით, ღრმა განსწავლულობითა და სანაქებო ვაჟკაცობით, ჩანს, რომ ისინი სამშობლოსკენ მოისწრაფიან მაინც, თითქოს იქ საკუთარ წარმატებათა ღირსეულ დამფასებლებს ვერ პოულობდნენ, და რამდენადაც დიდია სხვათა ქვეყანაში მოპოვებული წარმატება, იმდენად მეტად ჩქარობენ ისინი ჩაეკრან სამშობლოს გულში.

9. სამშობლო სასურველია ახალგაზრდებისთვისაც და მოხუცებისთვისაც. რამდენადაც აღემატებიან მხცოვანნი სიბრძნით ახალგზარდებს, იმდენად მეტად ეწევა მათ სამშობლო თავისკენ. ცხადია, ყოველ მოხუცს სურს და ლოცულობს კიდეც ცხოვრება სამშობლოში დაასრულოს. იქ, სადაც საძირკველი ჩაეყარა მის სიცოცხლეს, იქვე, მზრდელ მიწაში ჩაყაროს თავისი ძვლები, ეზიაროს წინაპართა საძვალეს. ყოველ მათგანს ეშინია, სიკვდილის შემდგომ უცხოობაში არ დარჩეს, სხვათა მიწაში მწოლარე.

10. ადგილობრივნი მცხოვრებნი როგორი კეთილმოსურნეობით არიან სამშობლოსადმი გამსჭვალულნი, ამას მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობის მაგალითით თუ მიხვდება კაცი, სხვით მოსულნი კი უკანონოდ შობილებივით იოლად იცვლიან საცხოვრისს, თითქოს არც სამშობლო უყვარდეთ და არც სიტყვა სამშობლო სმენოდეთ ოდესმე. ისინი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, რომ ყველგან დაიდებენ ქონებას, ყველგან ნახავენ სარგებელს. ასეთი ადამიანები კეთილდღეობას კუჭით ზომავენ. ხოლო ვისთვისაც სამშობლო დედაა, მათ თვით ის მიწაც უყვართ, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, თუნდაც იგი პატარა იყოს, ქვაღორღიანი, უგემური და მეტად მქისი. საკუთარი სამშობლოსათვის ღირსების გამოძებნა რომც უჭირდეთ, ხოტბის შესხმა მაინც ეადვილებათ მისთვის.

ადგილობრივ მკვიდრთ, როცა ესმით, გადამთიელნი როგორ იწონებენ თავს ნაირგვარი მცენარეებით შემკობილი და უხვმოსავლიანი ველ-მინდვრებით, მაინც არ ელევათ სიტყვა საკუთარი ქვეყნის საქებრად, ისინი არად დაგიდევენ, იმ მიწებს ცხენთა რემის გამოკვება რომ ძალუძთ და შვილთა ლამაზად აღმზრდელ მიწას განადიდებენ.

11. სამშობლოს ესწრაფვის ყოველი კაცი, თუნდაც ის კუნძულელი იყოს და სხვათა მხარეში სამუდამო ნეტარებაც რომ ელოდეს მას, უკვდავებაც რომ შეაძლიონ, უარს იტყვის ამაზე და სამშობლოში დამარხვას არჩევს. ასეთ ადამიანს სამშობლოს კვამლიც კი უკეთეს სინათლედ მოეჩვენება, ვიდრე ცეცხლი სხვათა ქვეყნისა.

12. ამრიგად, სამშობლო, როგორც ჩანს, იმდენად ძვირფასია ყოველი კაცისათვის, რომ კანონმდებლებმა უდიდესი დანაშაულის უმაღლეს სასჯელად სამშობლოდან გაძევება დააწესეს ყველგან. კანონმდებელთა მსგავსად ფიქრობენ სარდალნიც, როცა ისინი ჯარს ამხნევებენ. და მართლაც, ბრძოლად გამზადებულთათვის ხომ ყველაზე დიდი მოწოდება სამშობლოსთვის ბრძოლის მოწოდებაა და აბა, ვინ მოისურვებს ღირსება წარხოცილი აღმოჩნდეს მაშინ, როცა თვით სიტყვა სამშობლო მხდალსაც კი გაამამაცებს!?

ძველი ბერძნულიდან
თარგმნა ქეთევან ჯერვალიძემ



ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
“ქართული სული”
სცენაზეა ანსამბლი “რუსთავი”
დას: 19:00 სთ.

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი
ბავშვთა ქართული სიმღერის მერვე ფესტივალი
გახსნა: 18 საათზე

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი
ნინო ბასილია
“თაგვი”
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
უილიამ შექსპირი
“ვენეციელი ვაჭარი”
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
“ქვრივთა ნუგეშისმცემელი”
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

კინოს სახლი
გერმანული ფილმების მესამე კვირეული

“მასხარები”
დას: 15:00 სთ.

“ზასი”
დას: 18:00 სთ.

“ბატონი ლემანი”
დას: 21:00 სთ.
დასწრება თავისუფალია

ამირანი
“ტროა”
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის 70 წელს
სურათების ეროვნული გალერეა
ეროვნული თანხმობის მემორიალის კონკურსი
კონკურსის შედეგები გამოცხადდება 14:00 საათზე

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

გალერეა “კოპალა”
ესმა ონიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

“ორიენტი”
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

“ქარვასლა”
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების
ნიმუშთა გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

ხუთშაბათს, 27 მაისს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი “ახალი განზომილება”. სტუმარი დავით გოგიბედაშვილი. თემა – “ჯეიმს ჯოისი და ბრიტანული მუსიკა”.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - ”Превращения в Лукоморье”
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

ᲛᲔᲠᲕᲔ "ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲘᲡ" ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲐ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ენერგიული ქეთი დოლიძე წელს უკვე მერვედ ცდილობს, დაარწმუნოს ოფიციალური თუ ბიზნეს - წრეები იმაში, რომ ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო ფესტივალს არ ან ვერ მასპინძლობს, ის მესამეხარისხოვანი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად მინიმალური თანხებისა, წელს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების მერვე საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი" 1 ივნისს მაინც გაიხსნება. გუშინდელი პრესკონფერენცია, ძირითადად, ქართველ ბიზნესმენთა პასიურობასა და ამ პასიურობის გამომწვევი მიზეზების კვლევას დაეთმო და არა ფესტივალზე მოსალოდნელ თეატრალურ სიახლეებს: სახელმწიფოსაგან თანხებს არ ვითხოვთ, უბრალოდ, მისი დახმარება იმისათვის გვჭირდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს პასიური ბიზნესმენის სტერეოტიპი, რომელიც მოღალატეს შეგვიძლია შევადაროთ, - განაცხადა პრესკონფერენციაზე რეჟისორმა დავით საყვარელიძემ. სახელმწიფოს დახმარებაში, რასაკვირველია, ბოლოს, და ბოლოს იმ კანონმდებლობის შექმნა იგულისხმება, რომელიც დააკანონებს ქველმოქმედებასა და ბიზნესმენის მიერ ხელოვნებისათვის გაღებულ თანხებს, ასე პრესტიჟულად რომ ითვლება დასავლეთში და, სახელმწიფო სტრუქტურების ზედმეტი მონდომების გამო, ჩვენებურ ქველმოქმედს ორმაგი უჯდება.

წლევანდელი მცირერიცხოვანი სტუმრები მოსკოვიდან, პოლონეთიდან, ამერიკიდან საკუთარი ხარჯებით ჩამოდიან Gift-ზე. კინომსახიობთა, სარდაფის, ოპერის თეატრის, რკინიგზელთა კულტურის სახლის სცენები, ძირითადად, ადგილობრივ თეატრალურ ძალებს დაეთმობათ. ფესტივალის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფოტოხელოვნებას: ამერიკიდან რებეკა მელტოკის ფოტონამუშევრები ჩამოდის; 4 ივლისს - ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნება რობერტ აბრაჰამსონისა და ალექსანდრა ჯონსტონის ფოტოგამოფენების გახსნა; ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ქართული ფოტოსტუდია სეპიაც აღნიშნავს ფოტოგამოფენით.

ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებიდან ფესტივალს მხოლოდ მერიის კულტურის სამსახური და დავით ოქიტაშვილი ამოუდგა მხარში. "საჩუქრის" წლევანდელი არსებობისათვის იზრუნეს კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა, ამერიკის საელჩომ და მოსკოვის მერიამ.

კითხვაზე, - თუ რა ჯდება წლევანდელი ფესტივალი, - ქალბატონმა ქეთი დოლიძემ გვიპასუხა: დაახლოებით, იმდენი, რამდენიც ერთ კარგ სუფრას დასჭირდება მოზრდილი ქორწილისათვის, - და შემდეგ უფრო დააზუსტა: ფესტივალისათვის ისიც გვეყოფოდა, რასაც ერთი ქართველი ბიზნესმენი ერთი კვირის განმავლობაში დახარჯავდა სუპერმარკეტში.

ფესტივალი 1 ივნისს გაიხსნება ანატოლი ვასილიევის დრამატული ხელოვნების სკოლის მიერ გამოცემული წიგნის - მიხეილ თუმანიშვილის პრეზენტაციით, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზები გადაეცემათ: მედეა კუჭუხიძეს, გურამ საღარაძესა და რამაზ ჩხიკვაძეს; შედგება მოლიერის ტარტიუფის პრემიერა (რეჟისორი დავით საყვარელიძე); ფესტივალი თუმანიშვილის სწახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიხსნება.

ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲘᲡᲙᲐᲕᲔᲠᲖᲔ

ნანა ბასილაშვილი

ნათია წულაია

საპროდიუსერო კომპანია 5 Lines Production-მა ახალი წარმატებების შესახებ გუშინ სასტუმრო დავითში პრესკონფერენცია გამართა. საპროდიუსერო კომპანიამ, რომელიც, ძირითადად, საერთაშორისო ფესტივალებთან თანამშრომლობითაა დაკავებული, ამჯერად არჩევანი 17 წლის ნათია წულაიაზე შეაჩერა.

ქართველი მელომანებისთვის ნათია წულაია ჯერ კიდევ უცნობი შემსრულებელია. თუმცა, საქართველოს საზღვრებს გარეთ მან უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია. ბულგარეთში ორ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის შემდეგ ნათიამ კიდევ რამდენიმე ოფიციალური მიწვევა მიიღო.

5 Lines Production-ისა და ნათია წულაიას ერთობლივი წარმატების საბუთი - საერთაშორისო მუსიკაური ფესტივალის Discovery 2004 დიპლომი ჟურნალისტებისთვის თვალსაჩინო ადგილას იყო გამოფენილი. ახალგაზრდა შემსრულებელმა Discovery 2004 მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ფესტივალზე ქართველი მომღერალი ორი სიმღერით წარდგა. აქედან ერთ-ერთი (როგორც წესი) ქართულ ხალხურ მოტივებზე შექმნილი კომპოზიცია - "თუშური", ხოლო მეორე კონკურსანტის პედაგოგის ნანა ჟღერიას სიმღერა "რას ელოდები" შესრულდა. ნათია წულაია, ალბათ, არც პირველი და არც უკანასკნელი ქართველი შემსრულებელია, რომელმაც საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ჟიურისა თუ მაყურებლის ყურადღება ეროვნული, ან ეროვნულ მოტივებზე შექმნილი სიმღერით მიიქცია. სწორედ თუშურმა მოუტანა წულაიას კონკურსის მეორე საპრიზო ადგილი.

რაც შეეხება მეორე კონკურსს, სადაც ნათია 5 Lines Production ხელშეწყობით მოხვდა, ეს გახლდათ ევროპელი ახალგაზრდა მომღერლების პოპ-როკის ფესტივალი. მომღერლის საფესტივალო მარათონი ამით არ სრულდება. 17 წლის მომღერალს ზაფხულში მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება ელის (იგი მსახიობობაზე ოცნებობს), სექტემბერ-ოქტომბერში კი ნათია წულაია 5 Lines Production-თან ერთად ოფიციალურ მიწვევებს მიიღებს. არჩევანი მაკედონიის, ლატვიისა და რუმინეთის სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებს შორის უნდა გაკეთდეს. მომღერალს გადაწყვეტილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს მათ შორის ყველაზე ძლიერ კონკურსში, რათა საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ

ნია ნუცუბიძე

პირველი ლედი გამოფენაზე

ოლიგარსა. სპეციალური ფოტო

გალერეა "ჰობი" ამჯერად თანამედროვე ქართველ გრაფიკოსებს მასპინძლობს. ეს გამოფენა საქართველოს მხატვართა კავშირის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მხატვრის კვირეული-2004-ის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია - კვირეულისა, რომელიც საკმაოდ მასშტაბურად მიმდინარეობს და თბილისის, თითქმის, ყველა ცნობილი და პრესტიჟული გალერეა თუ საგამოფენო დარბაზი მოიცვა. გალერეა "შარდენი", ქარვასლა ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფესტივალით, "ბაიას გალერეა" ირაკლი ფარჯიანის გამოფენით, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისის სამხატვრო აკადემია, გალერეა "კოპალა", თანამედროვე ხელოვნების გალერეა "აფხაზი", აჭარელი, ქუთაისელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენით ამ საიუბილეო თარიღს ეხმიანებიან.

უნდა ითქვას, რომ მხატვართა კავშირს 70 წელი გასული წლის შემოდგომაზე შეუსრულდა, მაგრამ, ვარდების რევოლუციის პერიპეტიების გამო, მისი აღნიშვნა მაშინ ვერ მოხერხდა. თუმცა, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამჯერად უკვე ორი რევოლუცია ჩამოვიტოვეთ უკან და ახლა მასშტაბური კულტურული ღონისძიებების ჩატარების ჯერიც დადგა. გალერეა ჰობის ორივე საგამოფენო დარბაზს სხვადასხვა თაობის განსხვავებული ხელწერისა და სტილის მქონე 44 გრაფიკოსის ნამუშევრები ამშვენებს. მამია მალაზონიას, კოკა იგნატოვის, თენგიზ მარისა და სხვათა ნამუშევრების ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გივი კასრაძის "სანდრამ", რომელსაც გულზე საქართველოს მინიატურული რუქის ფორმის ყელსაბამი ჰკიდია. პორტრეტი 2003 წელსაა შესრულებული. მალე გალერეას თავად ნატურა ესტუმრა - საქართველოს პირველი ლედი დაცვის თანხლებით. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში, მასპინძლებიცა და დამთვალიერებელიც სანდრა რულოვსს შემოეხვივნენ. ქალბატონი სანდრას წითელ კაბასა და ფეხსაცმელებს მისთვის საგანგებოდ მირთმეული წითელი ვარდებიც ამშვენებდა. ამის შემდეგ საქართველოს პირველი ლედი გამოფენის დათვალიერებას შეუდგა, უკან კი ხალხის ამალა მისდევდა. გზადაგზა ისმოდა ეპითეტები: ერის სიამაყე; ულამაზესი ქალბატონი; ქართული კულტურის გულშემატკივარი. სიმართლე რომ ითქვას, სანდრა რულოვსი ქართულ კულტურაზე ნამდვილად ზრუნავს - მისი ხელშეწყობით, დაფინანსდა არაერთი საინტერესო პროექტი, მათ შორის, პროექტები მხატვრებისთვის ახალქალაქში, გარიყულასა და კახეთში.

სანდრა რულოვსმა გამოფენის გახსნის ცერემონიალზე აღნიშნა, რომ ახლა საინტერესო იქნება აჭარაში მხატვრების ჩასვლა და იქ მუშაობა, რასაც დამსწრეთა მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

გამოფენის გახსნაზე დამსწრეთათვის არც დღევანდელი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მილოცვა დავიწყებიათ; მხატვრის კვირეული კი 30 მაისს საზეიმოდ დაიხურება სურათების ეროვნულ გალერეაში გამართული თანამედროვე სახვითი ხელოვნების ფესტივალით.

პოლიტიზირებული ოქროს პალმა ანუ "მოკალი ბუში 2"

ნესტან ნიჟარაძე
სპეც. კორ. კანიდან

მაიკლ მური

კვენტინ ტარანტინოს შეძახილით Vive le cinema! (გაუმარჯოს კინოს!) კანის 57-ე ფესტივალი ოფიციალურად დაიხურა. ფესტივალის სასახლის წითელი ხალიჩით გაწყობილ კიბეზე ასვლის პატივი, რომელიც ტრადიციისამებრ ოქროს პალმით დაჯილდოებული ფილმის ავტორს ეკუთვნის, 2004 წელს 50 წლის ამერიკელ რეჟისორს მაიკელ მურს ერგო.

კანის ფესტივალის არსებობის ისტორიაში "ფარენჰეიტი 911" ერთადერთი ფილმია, რომლის "ოქროს პალმით" დაჯილდოებამ საფრანგეთსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო კინემატოგრაფიულ თუ პოლიტიკურ წრეებში გაცხარებული პოლემიკა გამოიწვია.

ამერიკის პრეზიდენტის მოახლოებული არჩევნების წინ, ჯორჯ ბუშის "კრიმინალური პოლიტიკის" (მაიკლ მურის ფორმულირება) მამხილებელი ფილმის ფრანგული ფესტივალის უმაღლესი პრიზით დაჯილდოების ინიციატორი თავად "კრიმინალური საკითხავის" ავტორი, ჟიურის პრეზიდენტი კვენტინ ტარანტინო გახდა. ეს ჟესტი დაუყოვნებლივ შეფასდა როგორც ჯორჯ ბუშის პრეზიდენტად განმეორებითი არჩევის წინააღმდეგ მიმართული აქცია და ჟურნალისტებს იმის საბაბიც კი მისცა, რომ ტარანტინოს ბოლო ფილმზე "მოკალი ბილი 2" გაეკეთებინათ ალუზია და ფესტივალის დაჯილდოების ცერემონიალი "მოკალი ბუში 2"-ად მოენათლათ. თუმცა, ტარანტინოს ფილმის პერსონაჟის ბილისგან განსხვავებით, ჯორჯ ბუშზე შურისძიების სურვილით შეპყრობილი პატარძლის მაგივრად "ოქროს პალმით" შეიარაღებული მაიკლ მური გადადის. გუშინვე გახდა ცნობილი, რომ მურის დაჯილდოების დღეს ამერიკის პრეზიდენტი კრაუფორდის რანჩოზე სეირნობისას ველოსიპედიდან გადმოვარდა და მარჯვენა ხელი, მუხლი და სახე დაიზიანა. უბედური შემთხვევა თუ პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ფილმის დაჯილდოებით გამოწვეული შოკი? პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით უცნობია.

კანის ფესტიავლის ისტორიაში უპრეცედენტო შემაჯამებელ პრეს-კონფერენციაზე ჟიურის წევრებმა და პრეზიდენტმა ერთხმად უარყვეს "ფარენგეიტი 911"-ის პოლიტიკური ანგაჟირების ფაქტი და აქცენტი მის კინემატოგრაფიულ ღირსებებზე გააკეთეს. "ოქროს პალმის" მაიკლ მურის ფილმისთვის გადაცემა არ განუსაზღვრავს პოლიტიკურ ასპექტებს. ჩვენ, უბრალოდ, ფესტივალის კონკურსში მონაწილე ფილმებთაგან საუკეთესო დავაჯილდოვეთ" -განაცხადა კვენტინ ტარანტინომ. საყოველთაოდ ცნობილი ბუშის პოლიტიკის მოწინააღმდეგის და იმავდროულად სინეფილის განცხადებამ მრავალრიცხოვანი ჟურნალისტებისთვის არც თუ ისე დამაჯერებლად გაიჟღერა. სწორედ ამიტომ პრესკონფერენცია, რომელიც რამდენიმე საათი გაგრძელდა ფაქტობრივად მხოლოდ ამ საკითხვის გარკვევას დაეთმო.

ჟიურისგან განსხვავებით თავად მაიკლ მური ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ფილმის "ფარენჰეიტი 911"-ის ერთადერთი დანიშნულება "პარასკევს საღამოს კინოთეატრში პოპკორნით ხელში მოკალათებული საშუალო ამერიკელების" პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენაა. "იმედი მაქვს, ამ ფილმის ნახვის შემდეგ, არჩევნებზე მისული ამერიკელები დაფიქრდებიან, ვიდრე ჯორჯ ბუშის პრეზიდენტად არჩევას მისცემენ ხმას" - განაცხადა მაიკლ მურმა. არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს ბუშისგან გათავისუფლების მისიით კანის ფესტივალზე მოვლენილი მაიკლ მური და მისი ფილმი "ფარენგეიტი 911", მისიის საბოლოოდ შესრულებამდე, "ოქროს პალმას" დასჯერდა და თავის პრეზიდენტს მადლობაც კი გადაუხადა. "სწორედ მისი წყალობით მერგო მე ეს უმაღლესი კინემატოგრაფიული ჯილდო" - განაცხადა ინტერვიუში მაიკლ მურმა. ფილმისთვის "ფარინგეიტი 911" "ოქროს პალმის" გადაცემა გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტმა" მაიკლ მურის სარეჟისორო ტრიუმფის გარდა, თეთრ სახლზე მიმართულ ყუმბარადაც შეაფასა.

კრუაზეტზე განვითარებულ მოვლენებს თავად თეთრი სახლის ოფიციალური გამოხმაურებაც მოჰყვა. ჯორჯ ბუშმა საჭიროდ ჩათვალა რეაგირება და თავისი პრესმდივნის მეშვეობით სააგენტო "ფრანს-პრესს" განუცხადა: "ამერიკის შეერთებული შტატები თავისუფალი ქვეყანაა, სადაც ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება".

რადიკალურობით გამორჩეულმა ამერიკულმა სატელევიზიო არხმა "ფოქს ნიუსმა" კი საღამოს ერთერთ გამოშვებაში მაყურებლებისგან მიღებული იმეილების საფუძველზე ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: "ის დროა, მაიკლ მურს ამერიკული პასპორტი ჩამოერთვას და საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღოს".

მაიკლ მური თავისი პოპულისტური და პროპაგანდისტული ფილმების წყალობით ნამდვილ პოლიტიკურ გმირად, პერმანენტულ პუტჩისტად იქცა. იგი ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ამერიკაში. ჯორჯ ბუშის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მისი მოღვაწეობა სრულიად ახალ მასშტაბს 2002 წელს კანის ფესტივალზე ფილმის "ბოულინგი კოლუმბინასთვის" დაჯილდოების შემდეგ იღებს. კანის ფესტივალის ჯილდოს "ოსკარი" და "ცეზარიც" მოჰყვა. "ნიუ იორკ თაიმსის" პოლიტიკური ანალიტიკოსი ფრანკ რიჩი წერდა მის შესახებ: "ვინ არის მაიკლ მური ? მებრძოლი დოკუმენტალისტი თუ ჯამბაზის ფორმაში გამოწყობილი შარლატანი? მხიარული ბიჭი თუ საშიში იდეოლოგი? ალბათ, ერთიც და მეორეც".

■ ■ ■

კანის 57-ე ფესტივალზე განვითარებული მოვლენები და განსაკუთრებით კი ფინალური აკორდი უდავოდ იძლევა საბაბს ვიფიქროთ, რომ 2004 წლის ფესტივალი, მისი ჟიური და "ოქროს პალმით" დაჯილდოებული ფილმი ოქროს ასოებითვე შევლენ ფესტივალების ისტორიაში. კინემატოგრაფიული ტრადიციების მკაცრად დამცველი ფესტივალი, 2004 წელს ორიენტაციას იცვლის და საერთაშორისო პოლიტიკურ ავანგარდში დგება.

უკანასკნელი ორი წლის ფესტივალების წარუმატებლობამ, ამ წარუმატებლობით გამოწვეულმა კრიტიკამ და ფესტივალის პრესტიჟის შესაძლებელმა დაცემამ, ორგანიზატორებს საერთაშორისო კინოსამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის - კანის ფესტივალის - "შელახული პრესტიჟის" აღსადგენად გადამწყვეტი დემარშებისკენ უბიძგა: წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ყურადღებით იქნა შერჩეული კონკურსში მონაწილე ფილმები და ფესტივალის ჟიურის შემადგენლობაც. ჟიურის რვა წევრიდან სამი ამერიკელის, ხოლო პრეზიდენტად თანამედროვე კინოს საკულტო რეჟისორის კვენტინ ტარანტინოს დასახელება ერთი მხრივ, კანის ფესტივალზე ამერიკელების დაბრუნებას და მეორე მხრივ, ფილმების შეფასებაში მათი კინემატოგრაფიული ღირსებების პირველ პლანზე წამოწევას ისახავდა მიზნად. დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა თავიანთი მისია მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს: ამერიკელები კანის ფესტივალზე დაბრუნდნენ და თავიანთი დაბრუნებით, ისევე როგორც ფილმების საბოლოო შეფასებისას გამოტანილი ექსტრავაგანტული გადაწყვეტილებით, კანის ფესტივალი არა მხოლოდ საერთაშორისო კინოსამყაროს, არამედ პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრშიც მოაქციეს.

მაიკლ მურის ფილმის "ოქროს პალმით" დაჯილდოებამ ფესტივალი პოლიტიკური ნების თამამად და ორიგინალურად გამოხატვის ტრიბუნად აქცია; ფესტივალის ესოდენ პოლიტიზირებული ატმოსფეროს ფონზე კინემატოგრაფის ტრადიციების დაცვას და გაგრძელებას კი მეორეხარისხოვანი საკითხის მნიშვნელობა მიენიჭა. შესაბამისად, ჟიურის პრეზიდენტის, საყოველთაოდ ცნობილი სინეფილის ტარანტინოს დაპირება, "კონკურსში წარმოდგენილი ფილმების შეფასებისას პირველ რიგში მათი კინემატოგრაფიული ღირებულების გათვალისწინების" შესახებ, დაპირებიდვე დარჩა. კანის ფესტივალის ისტორიას ესოდენ პოლიტიზირებული ოქროს პალმა არ ახსოვს, ისევე როგორც დაჯილდოებით გამოწვეული ესოდენ წინააღმდეგობრივი და ცხარე დებატები.

მხატვრული ფილმების კონკურსში მონაწილე დოკუმენტური ფილმის პალმით დაჯილდოების ფაქტიც გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება. ერთადერთი პრეცედენტი 1956 წლით თარიღდება, როდესაც ჟაკ-ივ კუსტოს და ლუი მალის დოკუმენტურ ფილმს "სიჩუმის სამყარო" ფესტივალის უმაღლესი ჯილდო გადაეცა. თუმცა, ეს გამონაკლისი მხოლოდ იმიტომ იქნა დაშვებული, რომ ფილმის კინემატოგრაფიული ღირებულებისთვის გვერდის ავლა ჟიურიმ დაუშვებლად ჩათვალა. 2004 წელს კი ამერიკულ მასაზე გათვლილი "ფარენჰეიტი 911" გაცილებით უფრო დახვეწილი და მომთხოვნი ფრანგული პუბლიკის ოვაციებს და ფესტივალის ოქროს პალმასაც იმსახურებს. ჟანლუკ გოდარმა ჯერ კიდევ დაჯილდოების ცერემონიალამდე რამდენიმე დღით ადრე მაიკლ მურის ფილმის თაობაზე ასეთი განცხადება გააკეთა: "მას იმის უნარიც კი არ აქვს, რომ ტექსტი და გამოსახულება ერთმანეთისგან გაარჩიოს... ხოლო პოლიტიკას რაც შეეხება... ბუში არც ისეთი სულელია, როგორც ეს მურს ჰგონია. აი თვითონ იგი კი, არც თუ ისეთი ჭკვიანია". შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გოდარის აზრი ჟიურიმ ნამდვილად არ გაითვალისწინა.

■ ■ ■

მაიკლ მურის ტრიუმფმა გარკვეულწილად დაჩრდილა კიდევაც ფესტივალის სხვა პრიზიორები. მათ შორის, ალბათ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩინელი მსახიობი მაგი ჩენგი, რომელიც ფრანგი რეჟისორის ოლივიე ასაიას ფილმში Clean შესრულებული როლისთვის დაჯილდოვდა; ისევე როგორც კორეელი რეჟისორის პარკ ჩან-ვუკის გრანპრის მფლობელი ფილმი Old Boy. იაპონელი რეჟისორის კორეედა ჰიროკაზუს ფილმში "არავინ იცის" მთავარი როლის შემსრულებელი 14 წლის იაგირა იუია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოებულთა შორის ყველზე ახალგაზრდა აღმოჩნდა. სრულ დავიწყებას მიეცა ვონგ კარვაის "2046", რომელიც დაჯილდოების ცერემონიალამდე ოქროს პალმის მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა. ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია ალჟირული წარმოშობის ფრანგი რეჟისორის ტონი გატლიფის ფილმისთვის Exils გადაცემულმა პრიზმა საუკეთესო რეჟისურისთვის.

წლევანდელმა კანის ფესტივალმა განსაკუთრებული პატივი ფრანგულ და აზიურ ფილმებს მიაგო: კონკურსში მონაწილე სამი ფილმიდან სამივე დაჯილდოვდა, (Clean, Exils და ანიეს ჟაიუს "როგორც სურათი" , რომელსაც საუკეთესო სცენარისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა) ; რაც, თავისთავად, თანამედროვე ფრანგული კინოს პრესტიჟის ამაღლებისკენ მიმართულ დემარშად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო ხუთი აზიური ფილმიდან სამის დაჯილდოების ფაქტმა კიდევ ერთხელ გაამართლა ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე არსებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აზია 21-ე საუკუნის დასაწყისის კინემატოგრაფის ახალი კონტინენტია.

■ ■ ■

კანის ფესტივალი დასრულდა. ოქროს პალმის გადაცემით გამოწვეული პოლემიკის ფონზე ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს სპონსორებს - "აჭარა მიუზიკ ჰოლს" და "საქართველოს ბანკს" (მათ გარეშე რეპორტაჟების ეს ციკლი ვერ მომზადდებოდა!) და ტარანტინოსეული შეძახილით Vive le cinema მომავალ ფესტივალამდე დაგემშვიდობოთ.

მაგარი კაცები და მაგარი ჩხუბი

როგორ ვნახე ტროა

ანა კორძაია-სამადაშვილი

მასობრივი სცენა ფილმიდან

მოულოდნელობათა სერიიდან - ხვალ კინოში მივდივარ, ტროას საყურებლად. როგორია? - ა.კ.ს.
შენი ამერიკანიზაცია წარმატებით გრძელდება. როცა ნახავ და მოისმენ, ამერიკელი მსახიობის შემპარავი, ჩახლეჩილი ხმით როგორ ცოცხლდება გემების ნუსხა, გამიხსენე, დამპალო, გამიხსენე მე, ადამიანი, რომელიც ხელოვნების სიწმინდესა და კლასიკოსთა ხელშეუხებლობას ვქადაგებ, და შენ, შენ გამყიდე, შენ გამყიდე, შენ. - ლ.ფ.
ავოე! შეუდარებელია! აგამემნონი ნაძირალა დიქტატორია, ისტერიჩკა და ვირიშვილი, მშვენიერი ელენე არნახული კახპაა და ყეყეჩი. სხვათა შორის, იცოდი, რომ აქილევსი თავისი გოგოსთვის იბრძოდა? და რომ ღმერთები არ არსებობენ? ჰოლივუდმა იმისთანა ჰქნა, შენც კი ვერ წარმოიდგენ. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ბრედ პიტი მაგარი ბიჭია. იფ! კარგია. მიყვარს, როცა ლამაზად ჩხუბობენ. - ა.კ.ს.

(ორი მეგობრის მიმოწერიდან)

დამეთანხმებით, ცოტა სასაცილოა, როცა ორი ზრდასრული ქალი მთელ საღამოს კინოვარსკვლავის გარეგნული მონაცემების შესახებ საუბარში ატარებს. მეც მეცინება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ჩემმა მეგობარმა და მე გადავწყვიტეთ, რომ თავი უნდა გაგვეწირა და ტროას პრემიერაზე წავსულიყავით, იმიტომ, რომ ბრედ პიტი ძალიან მაგარი ბიჭია.

თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ჩვენი თანამგზავრი ერთი ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ჰომოსექსუალისტიც უნდა ყოფილიყო, უაღრესად სასიამოვნო ადამიანი, რომელმაც ჩვენი შემოთავაზება მოულოდნელი აღშფოთებით უარყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ თურმე ჩვენ, ანუ ქალებს, ძლიერი ნერვები გვაქვს და საერთოდ, ჩვენზე ყველაფერი ახია, ის კი თავის ენერგიას უმისამართო ტრფობას ვერ შეალევს. საუბრის ბოლოს მან ბრძანა, ჯენიფერმა (ბრედ პიტის მეუღლეზეა საუბარი - ა.კ.ს.) არ გაიხაროსო, და ამიტომ ნიუ იორკში, მანჰეტენზე, ახალგარემონტებულ კინოთეატრში სამნი გავეშურეთ: ქართველი დიპლომატი მამაკაცი, თინეიჯერი ქალიშვილის დედა და მე. უნდა ვაღიარო, რომ თინეიჯერი ქალიშვილი, მისი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სახლში დავტოვეთ, და სწორადაც მოვიქეცით - სულ არაა აუცილებელი, რომ ბავშვმა დედამისის და მისი მეგობრის გონებაჩამორჩენილობის ამბავი იცოდეს.

შესანიშნავ ადგილას მოვხვდი: მაყურებელს დარბაზში არა მარტო ბატი-ბუტი და კოკა-კოლა, არამედ სუპი, ბუტერბროტები და მსგავსებიც ჰქონდა სინებით მოზიდული. ისხდნენ, პირს აწკლაპუნებდნენ და გულით ხარობდნენ. დარბაზის ნაწილი ტროელების მომხრე იყო, ნაწილი კი (ძირითადად, ქალები) აქილევსს უჭერდა მხარს; ამიტომ ყოველ ბრძოლას საზოგადოების გულისწყრომისა თუ კმაყოფილების შეძახილები ერთვოდა. ტროას ცხენის დანახვამ არნახული მხიარულება გამოიწვია, გმირის სიკვდილს კი ერთსულოვანი ქვითინით შეხვდნენ - როგორც ჰოლივუდის გმირთა წესია, ფეხმარდი აქილევსიც დიდხანს, ხანგრძლივი მონოლოგის თანხლებით კვდებოდა (მას შემდეგ, რაც კოლეგას ნიუ იორკელი კინომოყვარულების ამბავი ვუამბე, ის ტროას სანახავად ამირანში წავიდა და მომახსენა, რომ ასეთები ჩვენშიც მოსულა).

ვშიშობ, რომ ჩემი მეგობრის მიერ ფილმის ერთადერთ ღირსებად დასახელებული იმედი, ტროას ნახვის შემდეგ ჩემს ქალიშვილს ილიადას წაკითხვა მოუნდებაო, აბსოლუტურად ფუჭია. ვშიშობ, რომ ეს საკმაოდ მავნე ფილმიც კია - დარბაზიდან გამოსული საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ტროას ომი სულ რამდენიმე დღეში, დიდი-დიდი, რამდენიმე კვირაში დასრულდა, რომ აქილევსი ტლუ მექალთანე იყო და სხვა და სხვა - ღმერთების შესახებ აღარაფერს ვიტყვი, რადგან ფილმის შემოქმედებმა მათი არსებობა საერთოდ ზედმეტად ჩათვალეს. სხვათა შორის, გმირის ქუსლის ამბავიც ბურუსითაა მოცული: რატომ - ქუსლი? და მისი გარდაცვალების დამაჯერებლობისთვის საყვარელი ქალის ძებნაში გართულ გმირს ისრებიც უხვად დააყარეს.

დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ტროას შექმნის ამბავს მოგვითხრობს, შემოქმედებითი ჯგუფის წევრები რეჟისორ ვოლფგანგ პეტერსენს დიდი ქებით აქებენ. განსაკუთრებულ აღტაცებას აქილევსის როლის შემსრულებელი ბრედ პიტი გამოთქვამდა, რაც სულ არაა გასაკვირი: მე ჩემს მთავარ მსახიობებს ყოველთვის საუკეთესო სახით წარმოვაჩენ ხოლმე, ბრძანა ერთხელ ამაყად პეტერსენმა, და ვარსკვლავებმა ეს ზუსტად იციან. და მიუხედავად იმისა, რომ აქილევსის როლის შესულებისთვის მრავალი მილიონი დოლარით გამდიდრებული ბრედ პიტი ძალიან ჩიოდა, ერთი წლის განმავლობაში იმდენი მავარჯიშეს, სული გამძვრაო, შედეგი გაწეულ ძალისხმევად ნამდვილად ღირდა: ის არაჩვეულებრივად გამოიყურება, ძალიან ლამაზად მოძრაობს, შესანიშნავად ჩხუბობს (მართლა თვითონ ჩხუბობს - ზემოთხსენებულ დოკუმენტურ ფილმში ვარჯიში აჩვენეს), და საერთოდ, ვიმეორებ, ძალიან მაგარი ბიჭია. მის ადგილას არასოდეს ჩავიცვამდი, სულ ვირბენდი და ვიჩხუბებდი.

ბრედ პიტისა და ჰექტორის როლის შემსრულებლის, ერიკ ბენას წყალობით ქალების უმრავლესობა ტროას ნახვის შემდეგ შეიძლება კმაყოფილიც კი დარჩეს. საერთოდ, ლამაზი ფილმია - დიდებული ხედები (ოღონდ, როგორც ჩანს, ვიღაცას ოპერატორი როჯერ პრატი მაგრად სძულდა და კადრები დაუჩეხა), შთამბეჭდავი დეკორაციები და კოსტუმები. მე მეფე პრიამოსის როლის შემსრულებელმა პიტერ ო`ტულმაც მასიამოვნა - ისედაც ხომ კარგი მსახიობია, ახლა კი, სიბერის ჟამს, ძალიან დამსგავსებია ბაბუაჩემს და საბოლოოდ ამიჩუყა გული. რაც შეეხება მშვენიერ ელენეს, რომელსაც დიანა კრუგერი თამაშობს, რა გითხრათ, ალბათ ლამაზი ქალია, მაგრამ ძალიან მკვდარია და მუდო - როგორ დავიჯერო, რომ მის გამო იწეწებოდნენ ამხელა კაცები! თუმცა, კაცია და გემოვნება, რას გაიგებ...

მაგრამ თუ მომავალ წელს საუკეთესო ფილმისთვის ოსკარს ტროას გადასცემენ, მე აღარცერთი ამერიკულ ფილმზე აღარ წავალ. მესმის, რომ ჰოლივუდისთვის ეს დიდი არაფერი დანაკლისი იქნება, მაგრამ მაინც.

ვილაცამ ევერესტს გადაუფრინა

პირველად საჰაერო ნაოსნობის ისტორიაში იტალიელმა ანჯელო დ`არიგომ დელტაპლანით ევერესტს გადაუფრინა. თავზეხელაღებულმა იტალიელმა უმაღლესი მწვერვალისკენ სამხრეთ ფერდობიდან, დაახლოებით, 3500 მეტრის სიმაღლიდან აიღო გეზი. დ`არიგოს დელტაპლანმა ძრავით აღჭურვილი მეორე დელტაპლანით, ბუქსირით აიღო სიმაღლე. როდესაც 8500 მეტრის ნიშნულამდე ავიდა, მამაცმა იტალიელმა ბუქსირი ჩახსნა და მწვერვალისკენ მიმავალი ჰაერის ნაკადის დახმარებით გააგრძელა სიმაღლის აღება. ამ დროს ქარის სიჩქარე საათში 200 კილომეტრს აღწევდა. ბუნებრივია, იტალიელს ექსტრემალურ პირობებში ყოფნა უწევდა - ყინვა, ცვალებადი წნევა. მიუხედავად ამისა, დ`არიგოს დელტაპლანმა ევერესტს გადაუფრინა. მერე კი ქვემოთ, ჩრდილოეთ კედლის ლო-ლას უღელტეხილის რაიონში, ნეპალი-ტიბეტის საზღვრისკენ დაეშვა.

43 წლის ანჯელო დ`არიგომ დელტაპლანით სხვა რეკორდულ გადაფრენათა სერიებით გაითქვა სახელი. დელტაპლანის კონსტრუქციის დასახვეწად და ფრენის საიდუმლოებების ამოსახსნელად იტალიელი ფრინველთა გადაფრენებს აკვირდება. ახლა ანჯელო დ`არიგო ახალი თავგადასავლების საძიებლად აპირებს გაემგზავროს პერუში, სადაც კონდორის ფრენის მანერას შეისწავლის.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 26 მაისი

НТВ+ФУТБОЛ
08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილ რასელი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. “ბოკა ხუნიორსი” (არგენტინა) - “სან კაეტანო”. (ბრაზილია)
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. შედეგები
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 იტალიის ჩემპიონატი. შედეგები
17:15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. “ჩელსი” - “მონაკო”. საპასუხო მატჩი
19:15 “დარტყმა გოლისთვის”
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 უკრაინის ჩემპიონატი. “ობოლონი” - “დნეპრი”. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. 2003-2004 წწ. სეზონის საუკეთესო გოლები
22:50 ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ
23:20 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. “მონაკო” - “პორტუ”. პირდაპირი ტრანსლაცია გერმანიიდან
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. “DETROIT PISTONS” - “INDIANA PACERS”. მე-3 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
09:30 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ვაჟები. საფრანგეთი - ჩინეთი
11:00, 14:00, 17:00, 22:30 პრესცენტრი
11:20, 22:45 “ოლიმპის შვილები”
11:25, 14:15 “ფორმულის ჰარმონია”
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. “როლან გაროსი”
14:35 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. “TAMPA BAY LIGHTNING” - “CALGARY FLAMES”. პირველი მატჩი
17:15 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
17:45 “მწვერვალი გვეძახის” - ევერესტი. ჩრდილოეთ კედლის ცენტრში
18:15 დიდი თავგადასავალი ბორნეოზე. ნაწილი მესამე
19:15 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ვაჟები. საფრანგეთი - ჩინეთი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
21:00 “ათენის გზაზე”
22:00 “Power week - NHL-ის კვირა”
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. “TAMPA BAY LIGHTNING” - “CALGARY FLAMES”. პირველი მატჩი
01:15 ახალი ამბები
01:30 ცხენოსნობა. “PRIX D’ISPAHAN” ლონგ შანის იპოდრომზე
02:15 02:15-დან 03:10-მდე შესვენება
03:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. “დეპორტივო კალი” (კოლუმბია) - “რივერ პლეიტი” (არგენტინა). პირდაპირი ტრანსლაცია
05:10 “Power week - NHL-ის კვირა”
05:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. “დეპორტივო ტაჩირა” (ვენესუელა) - “სან პაულუ” (ბრაზილია). პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
12:30 მულტისპორტი
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
01:00 გოლფი. გერმანიის ღია ჩემპიონატი
01:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
02:30 აფროსნობა
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
03:30 ახალი ამბები
03:45 ველოსპორტი. სატრეკო მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში

ფეხბურთი

ჟირესი პირველი გამარჯვებისთვის ემზადება

მიხეილ აბაიშვილი

მთავარი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იქნება.

25 მაისი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის უსიამოვნო ფაქტით დაიწყო: ეროვნული გუნდის ავტობუსი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მოწყობილი წინასააღლუმო მანევრების გამო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე საცობში მოყვა და დანიშნულების პუნქტამდე ვერ მიაღწია. დანიშნულების პუნქტი კი იყო სტადიონი “ოლიმპი”, სადაც ჟირესს დილის 10 საათზე ვარჯიში უნდა ჩაეტარებინა. ნაკრების ადმინისტრაციამ ავტობუსი შეაბრუნა და გუნდი ვაკეში, “ლოკომოტივის” სტადიონისკენ გაემართა, სადაც ვარჯიში ნახევარი საათით გვიან დაიწყო.

ჟირესისა და კომპანიის განწყობაზე ამ გარემოებას უარყოფითად არ უმოქმედია და ცხელი დღის მიუხედავად, წვრთნა ინტენსიურად და მაღალ ტემპში წარიმართა.

სანამ უშუალოდ ვარჯიშზე მოგითხრობდეთ, გაცნობებთ საკადრო ცვლილებების შესახებ. “თბილისის” მცველის ქემოკლიძისა და მოსკოვის “ლოკომოტივის” თავდამსხმელის აშვეთიას თამაში ტრავმების გამო გამოირიცხა. ისინი ნაკრებთან ერთად აღარ არიან. მათ ნაცვლად ჟირესმა გუნდში “თბილისის” ორი ფეხბურთელი - აფციაური და კვარაცხელია იხმო.

გასახურებელი ვარჯიშებისა და ეგრეთ წოდებული “კვადრატის” შემდეგ ჟირესმა გუნდი ორად გაჰყო და მოედნის ნახევარზე დააპირისპირა. შემადგენლობების დასახელებას, ალბათ, აზრი არა აქვს. წვრთნის პროცესში მონაწილეობა მიიღო ჟირესის თანაშემწემ გია გურულმა, რომელიც კარგ სპორტულ ფორმაში აღმოჩნდა და თითქმის სერიოზულ კონკურენციას უწევდა ნაკრების წამყვან ფეხბურთელებს. აღსანიშნავია ვეტერან აკაკი დევაძის კარგი თამაში და სულაც არ იქნება მოულოდნელი, თუ დევაძე ისრაელის ნაკრებთან თამაშს ძირითადში დაიწყებს.

ვარჯიშზე კარგად გამოიყურებოდა ალექსანდრე იაშვილი. მან რამდენიმე გოლი გაიტანა და ასისტირებასაც ჩვეულ სტილში უწევდა პარტნიორებს. კახა კალაძეს სულაც არ ეტყობოდა, რომ თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, დამაჯერებლად და საიმედოდ მოქმედებდა მოედნის ყველა მონაკვეთზე. მთლიანობაში, ახალწვეულების, აფციაურის და კვარაცხელიას ჩათვლით, ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

გუშინვე, საღამოს 7 საათზე, ჟირესმა პრესკონფერენცია გამართა. იგი კმაყოფილი იყო თავისი გუნდით.

“ნაკრების მომზადებით კმაყოფილი ვარ. ისრაელთან მატჩს ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში შევხვდებით. აშვეთია და ქემოკლიძე ვერ ითამაშებენ. ტესტებმა დაადასტურა, რომ მიხეილ აშვეთია მძიმე სეზონის შემდეგ “გადამწვარია”. რაც შეეხება ქემოკლიძეს, მას კუნთი დაეჭიმა. მათ ნაცვლად კლუბ “თბილისის” წარმომადგენლები, აფციაური და კვარაცხელია დავიმატეთ. მათ საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩზე დავაკვირდი და მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშს იმსახურებენ”, - განაცხადა ჟირესმა.

ფრანგი სპეციალისტი ცოტა ხნით დაესწრო ისრაელის ნაკრების ვარჯიშს, თუმცა, როგორც თავად განაცხადა, გუნდზე გარკვეული აზრი ჩამოუყალიბდა.

“მართალია, სულ 10-15 წუთი მივადევნე თვალი სტუმარი გუნდის საწვრთნელ პროცესს, მაგრამ მეტი არც იყო საჭირო. ამ გუნდის შესაძლებლობებს საკმაოდ კარგად ვიცნობ. ისრაელი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, თუმცა, მკაცრი სათამაშო დისციპლინის, კოლექტიური ფეხბურთის მიმდევარია და მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა არ ივარგებს, რაც მაღალი კლასის ბევრ გუნდს გამოუცდია საკუთარ თავზე. ჩვენთვის ყველა თამაშში მთავარი მიზანი გამარჯვება იქნება და ამ თვალსაზრისით არც ზეგინდელი მატჩია გამონაკლისი. რა თქმა უნდა, ამხანაგურ შეხვედრებში დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ გუნდის ჩამოყალიბების პროცესს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დადებით შედეგს ყურადღებას არ მივაქცევთ. თუ დავმარცხდით, ეს უფრო უიღბლობის ბრალი იქნება და არა იმისი, რომ თამაში არ ვიცით”, - ასეა განწყობილი ფრანგი მწვრთნელი.

ნაკრები დღეს დილით ბოლო ვარჯიშს გამართავს, საღამოს ეროვნული თასის ფინალს დაესწრება, ხვალ კი თავად მოუწევს “ლოკომოტივის” სტადიონის მინდორზე ეროვნული ღირსების დაცვა.

პრესკონფერენციის შემდეგ “24 საათმა” კომენტარი ჩამოართვა საქართველოს ნაკრების ორ ლიდერს, კახა კალაძეს და ლევან კობიაშვილს.

“ვფიქრობ, ძალზე საინტერესო თამაში გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაგვაკლდა, ვეცდებით, ქართველ გულშემატკივარს მოლოდინი არ გავუცრუოთ.

ორი დღეა, რაც ახალი მთავარი მწვრთნელი გავიცანი და ჩემზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნათელია, რომ მაღალი დონის სპეციალისტია”, - განაცხადა კალაძემ.

“ახალ მწვრთნელზე აღფრთოვანებით საუბარი სწორი არ მგონია. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია, მაგრამ ამით თავი დავიმშვიდოთ და ვთქვათ, რომ აი, მწვრთნელი უკვე გვყავს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას წინ აღარაფერი დაუდგებაო, არ იქნება მართალი. ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ის ოცნება, რასაც ფინალური ეტაპის საგზური ჰქვია, რეალობად იქცეს.

რაც შეეხება თამაშს, კარგი იქნება, თუ მოვიგებთ, თუმცა, ვფიქრობ, შედეგი არ არის პირველხარისხოვანი მიზანი. რაც მეტი ასეთი თამაში გვექნება და რაც უფრო სწრაფად შევძლებთ ბრძოლისუნარიანი, მონოლითური გუნდის შექმნას, მით უკეთესი იქნება. ასეთი თამაშები კი ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი პირობაა”, - ასეთია კობიაშვილის მოსაზრება.

ხელმოცარულების ფინალი სიურპრიზების თანხლებით

მიხეილ აბაიშვილი

გუნდების შანსი დღევანდელ მატჩში თანაბარია.

დღეიდან დაწყებული, მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლება, რადგან ზედიზედ სამი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. სამივეს “ლოკომოტივის” სტადიონი უმასპინძლებს. დღეს დავით ყიფიანის, იგივე საქართველოს თასის ფინალში თბილისის “დინამო” და ქუთაისის “ტორპედო” შეხვდებიან ერთმანეთს. ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში პირველად ითამაშებს ახალი მთავარი მწვრთნელის ალენ ჟირესის ხელმძღვანელობით. 30 მაისს კი გაიმართება “ოქროს მატჩად” შერაცხული თამაში, რომელშიც “ვიტ ჯორჯია” და “სიონი” საქართველოს ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ.

გუშინ გაიმართა ამ დაძაბული სამგანყოფილებიანი საფეხბურთო კვირეულის პირველი ნაწილის, თასის ფინალის მონაწილეთა წინასამატჩო პრესკონფერენცია, რომელშიც ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა გია გეგუჩაძემ და ოთარ გაბელიამ მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის “დინამომ” წარუმატებლად განვლო საფეხბურთო სეზონი. ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და, ჯერჯერობით, მხოლოდ ინტერტოტოს საგზური აქვს მოპოვებული. იმისთვის, რომ “დინამომ” ინტერტოტო უეფას თასზე გადაცვალოს, დღევანდელ მატჩში გამარჯვება სჭირდება.

“თასის ფინალი ნებისმიერი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩია. არც ჩვენ ვართ გამონაკლისი, პირიქით, “დინამოსთვის” ხვალინდელი მატჩი ათმაგად მნიშვნელოვანია. ჩემპიონები ვერ გავხდით, ამიტომ ყველაფერს ვიღონებთ, რომ გულშემატკივართა და კლუბის ხელმძღვანელთა თვალში თასის ფინალში გამარჯვებით მოვახდინოთ რეაბილიტირება.

მატჩისადმი ასეთი სერიოზული დამოკიდებულების მიუხედავად, რაიმე განსაკუთრებულ რეჟიმში არ ვემზადებით. ტრადიციულად, ერთი დღით ადრე გადავედით შეკრებაზე. ტრავმის გამო ხვალ ვერ ითამაშებენ ლადო ბურდული და ჯაბა კანკავა. დანარჩენები ფინალისთვის მზად არიან”, - განაცხადა “დინამოს” მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ.

ქართული ფეხბურთის მეორე ლიდერიც ამთავრებს ძალზე წარუმატებელ სეზონს. “ტორპედომ” არათუ ვერ იბრძოლა საპრიზო ადგილისთვის, პირველი ეტაპის შემდეგ ქვედა ექვსეულში აღმოჩნდა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უწევდა ოფლის ღვრა. ასე რომ, დღევანდელ ფინალს ქუთაისელებისთვისაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

“სასიამოვნოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გასამართ საფეხბურთო სპექტაკლში ჩემი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რამდენად სერიოზულად ვემზადებით ამ მატჩისთვის. შეიძლება ითქვას, ხვალ “ტორპედო” სეზონის უმთავრეს თამაშს ჩაატარებს.

ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, ტრავმას არავინ უჩივის. 22 მაისს, ბოლო ტურში, “სპარტაკს” ვუმასპინძლეთ. სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადი შემადგენლობის 9 ფეხბურთელი დავასვენე.

უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყიფიანის თასი ქუთაისში ჩავიტანოთ. თუმცა, არც ის გვავიწყდება, თუ რა დონის მეტოქესთან გვაქვს საქმე. თბილისის “დინამო” იყო, არის და იქნება ქართული ფეხბურთის ფლაგმანი. ჩვენ ჩვენსას შევეცდებით, რამდენადაც მეტოქე ამის საშუალებას მოგვცემს”, - გაცილებით ემოციური იყო “ტორპედოს” მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია.

ორივე მწვრთნელმა გუნდების შანსი დღევანდელ მატჩში თანაბრად, 50/50-ზე შეაფასა.

პროფესიული ლიგის გადაწყვეტილებით, მატჩზე ბილეთები არ გაიყიდება - ყველა მსურველს შეეძლება მასზე დასწრება. მეტიც: ლიგის სპონსორები არაერთ სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ მათ, ვინც სტადიონზე მივა. ასე რომ, ხვალ მობრძანდით ვაკეში, ლოკომოტივის” სტადიონზე და სეზონის გამორჩეული მატჩის ხილვის გარდა, სიურპრიზებითაც ისიამოვნეთ. თამაში 20 საათზე დაიწყება.

რაგბი

მომავალი ჩვენ უნდა შევქმნათ

ბოდგანა ბასარიჩის ფოტო

ჰაატა თოთაძე

კარგი ახალგაზრდული ნაკრები მომავალში კარგი ეროვნული ნაკრების ყოლის საწინდარია. კარგი ეროვნული ნაკრები სხვა შემთხვევაშიც შეიძლება გყავდეს. მაგალითად, თუ ახალგაზრდული გუნდი კარგი არა, მაგრამ ნორმალურია და მორაგბეებსაც კლასის ამაღლების პერსპექტივა აქვთ. ასეთ სიტუაციაშია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც. კარგი გუნდიაო, ვერ იტყვი, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ფინალი წააგო და, შედეგად, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური დაკარგა. ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმალური გუნდია და, რაც მთავარია, კარგ გუნდად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს.

სამი დღის წინათ რუმინეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც იყო. საქართველოს ნაკრებმა ტურნირის პირველ მატჩში სერბეთის გუნდი დაამარცხა - 109:6, ნახევარფინალში კი ესპანეთს სძლია - 35:18. ფინალში ქართველთა მეტოქე იყო რუმინეთის ნაკრები, რომელმაც ასევე ყველა მეტოქეს აჯობა. ბოლო წლებში ევროპული გრანდების შემდეგ პირველობისთვის ჩვენ და რუმინელები ვიბრძვით. ეს ითქმის როგორც ეროვნულ, ისე ახალგაზრდულ ნაკრებზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, რუმინელები გვჯობნიან. ახლაც, ფინალში, რუმინელებმა 21:6 დაგვამარცხეს და ქართველი ახალგაზრდები მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე დატოვეს. ამასთან დაკავშირებით გუშინ რაგბის კავშირში პრესკონფერენცია გამართეს რუმინეთიდან ახლახან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა და ნაკრების მწვრთნელმა.

- რაც მოხდა, ყველაფერი კანონზომიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავისი როლი შეასრულა მსაჯობამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი სრულფასოვნად ვერ მოემზადა, საერთო ჯამში ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, - აღნიშნა მერაბ ანთაძემ.

- დავინახე, რომ მომავალი გვაქვს. არის გარკვეული ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა აღმოფხვრათ, თუ სტაბილური წარმატებების მიღწევა გვსურს...

- გუნდი წასვლამდე ათი დღით ადრე შეკრიბა. ამიტომ ტურნირისთვის სრულფასოვნად ვერ მოვემზადეთ. რაც დაგეგმილი გვქონდა, იმის 60-70% შევასრულეთ. ტენდენციური იყო მსაჯობაც. ეს უკვე ესპანეთთან მატჩში იგრძნობოდა, თუმცა, მაშინ ბიჭებმა მოახერხეს თავის შეკავება, ფინალში კი გატყდნენ. ჯერ პატარები და გამოუცდელები არიან და ამის მიზეზიც ეს არის, - განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა.

- მოდი, ასე ვთქვათ: ჩვენი მარცხის მიზეზი მხოლოდ არასრულფასოვანი მომზადება არ ყოფილა. არც მსაჯებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი. პრობლემა უფრო სიღრმისეულია, - განაცხადა მერაბ ანთაძემ, - კლუბებმა უნდა მიხედონ ამას. ვგულისხმობ დისციპლინას. მოთამაშემ უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს მოედანზე, მსაჯთან, მწვრთნელთან. როგორ უნდა მოახდინოს კონცენტრირება ამა თუ იმ საკითხზე, ამა თუ იმ მომენტში. რისი უფლება აქვს და რისი - არა. ეს საკითხები კლუბებში უნდა წყდებოდეს. უნდა შეიცვალოს მწვრთნელთა მიდგომა მოთამაშეებისადმი. ყველაფერი ეს განაპირობებს ჩვენს წარმატებას მომავალში, სხვაგვარად არაფერი გამოვა. განა მსაჯობა რომ სხვაგვარი ყოფილიყო, ჩვენს თამაშში ხარვეზები თავისით აღმოიფხვრებოდა? მსაჯებზე მოთამაშეებმა არ უნდა ისაუბრონ, არც მწვრთნელებმა, გარკვეული შემთხვევების გარდა. მსაჯთა პრობლემა ფედერაციის ჩინოვნიკთა გადასაწყვეტია და ამას ისინი მიხედავენ. ყველა პრობლემას გადაწყვეტის თავისი ფორმა აქვს...

- ბუნებრივია, ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. გარდა იმისა, რაზეც ვისაუბრე, გუნდს მეტი თამაში სჭირდება კლასის ასამაღლებლად და ამაზე ვიზრუნებთ კიდეც...

- საბოლოოდ გადაწყდა სპონსორის საკითხი. გენერალური სპონსორი იქნება "კასტელი", თუმცა, ეს, ალბათ, საკმარისი არ იქნება, რისთვისაც სხვებსაც მოვიზიდავთ. კონკრეტულ შეჯიბრებებსაც თავისი სპონსორები ეყოლებათ.

ფეხბურთი

დებიუტის მოლოდინში

ფრანგ მწვრთნელს თბილისში დებიუტი აქვს.

გიგა გურასაშვილი

რამდენიმე დღეა, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი საქართველო-ისრაელის ამხანაგური მატჩის მოლოდინით ცხოვრობს. 27 მაისის დაპირისპირება ამხანაგურობის გამო თითქოს ნაკლებად მნიშნელოვანია, მაგრამ მისადმი ყურადღება დიდია იმის გამო, რომ საქართველოს ნაკრები შინაურ კედლებში პირველად წარდგება ქართველი გულშემატკივრის წინაშე ახალი მწვრთნელის ალენ ჟირესის მეთაურობით. ერთი სიტყვით, ფრანგ მწვრთნელს თბილისში დებიუტი აქვს. ასევე სადებიუტო მატჩი ელის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს გოჩა ტყებუჩავას, რომელმაც გუშინ სასტუმრო "მესაზღვრეში" საქართველო-ისრაელის თამაშთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე მიგვიწვია. წინდაწინვე ნათელი იყო, რომ ამ დაპირისპირებას ტყებუჩავასთვის საექსპერიმენტო, უფრო სწორად, გაცნობითი ხასიათის დატვირთვა ექნებოდა...

"კარგი იქნება, თუ გავიმარჯვებთ, მაგრამ არ მინდა, აქცენტი მაინცდამაინც მოგებაზე გადავიტანოთ, - გვეუბნება გოჩა ტყებუჩავა. - ჩვენი უპირველესი მიზანი ტაქტიკის შემუშავებაა. გვსურს შეირჩნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც შესარჩევ ეტაპზე დაიცავენ ნაკრების ღირსებას. წინ გაცილებით რთული მატჩები გველის. ქვეჯგუფში თურქეთთან თამაში იოლი არ იქნება...

არც იმას ვამბობ, გინდა თუ არა, შესარჩევ ეტაპზე ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ-მეთქი. ახალგაზრდული ნაკრების მისია სხვაა. მთავარია, პირველ ნაკრებს გამოვუწროთოთ ფეხბურთელები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსაგებად არ ვიბრძოლებთ.

რაც შეეხება 27 მაისის მატჩს... გუნდში საბრძოლო განწყობაა, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი ფეხბურთელი ვერ შეგვეშველება - იმედაშვილს, მარცვალაძეს, ბურნაძეს, იაშვილს, კობიაშვილს, კანკავას, ჭიღლაძეს საკლუბო დონეზე აქვთ გადამწყვეტი მატჩები".

საერთოდ, როგორც შევიტყვეთ, გოჩა ტყებუჩავას განზრახული აქვს, ყველას მისცეს ნაკრებში თამაშის შანსი. ახლა 60-მდე კანდიდატი ჰყოლია შეგულებული. თუ აქედან ერთი-ორი ფეხბურთელი მაინც გამოიწრთო მთავარი ნაკრებისთვის, ჩვენი მისია წარმატებულად ჩაითვლებაო.

ნაკრების შემადგენლობას ჩვენს გაზეთში ორი დღის წინაც გაეცანით, მაგრამ არის ერთი სიახლე. ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწის გია გურულის ვაჟი სანდრო გურული, რომელსაც ახლახან საფრანგეთის "ლიონის" მაისურა მოურგია.

ახლა ნაკრები ემზადება. გუშინ, საღამოს, "ოლიმპიკზე" ჰქონდათ ვარჯიში, დღეს, დილით - ეროვნულ სტადიონზე, ხვალ კი მატჩია. ჯერ უცნობია, ვინ მოირგებს კაპიტნის სამკლაურს.

ბოგბურთი

ლაბაძემ მოიგო და ფაბრის სანტოროს შეხვდება

სასიამოვნოა, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ წარმატებით გადალახა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველი ბარიერი. ირაკლიმ სამ სეტში სძლია შვედ იოაკიმ იოჰანსონს და მეორე წრეში მასპინძელ ფაბრის სანტოროს დაუპირისპირდება.

პირველ წრეში ფაბრის სანტოროს უაღრესად დრამატული ბრძოლა ჰქონდა თანამემამულე არნო კლემანთან. ანგარიში - 2:2 იყო, როცა "როლან გაროსზე" წყვდიადი ჩამოწვა და ტურნირის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ, მატჩი მეორე დღისთვის გადაედოთ. მეორე დღეს შეუპოვარ ბრძოლაში სანტორომ მაინც გატეხა თანამემამულის წინააღმდეგობა და 16:14 გაიმარჯვა.

სანტორო გამოცდილი ჩოგბურთელია. ის პროფესიულ ტურნირებში 1989 წლიდან თამაშობს და სპორტული კარიერის განმავლობაში 4 ტურნირი მოუგია. "დიდი სლემის" ტურნირებზე კი არნო კლემანმა ყველაზე შთამბეჭდავად 1999 და 2001 წლებში იასპარეზა. 1999 წელს ის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეოთხე წრეში გავიდა, ხოლო ორი წლის შემდეგ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მეოთხე წრეშიც მოსინჯა ძალები.

ფრანგმა ჩოგბურთელმა ყველაზე დიდ შედეგს წყვილთა თანრიგში მიაღწია, როცა ზედიზედ ორჯერ 2003-2004 წლებში ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. არნო კლემანს 1999 წელს უიმბლდონის, ხოლო 2003 წელს აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალებშიც უთამაშია.

რაც შეეხება სენსაციას, ის, უდავოდ, ამერიკელ ანდრე აგასის უკავშირდება. ტურნირის მეექვსე ნომერი გათამაშებას გამოთიშა ნაკლებად ცნობილმა ფრანგმა ჟერომ ჰანელიმ, რომელიც პირველად თამაშობს "დიდი სლემის" ტურნირებზე.

ირაკლი ლაბაძე აგრძელებს.

ანდრე აგასი გამოვარდა.

ვაჟები:

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) - იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) 7:5, 7:6 (7:5), 7:5

გალო ბლანკო (ესპანეთი) ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:5, 7:5, 3:6, 6:4

ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) - უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 6:2, 6:2

ენდი როდიკი (აშშ, 2) - ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:5), 6:4, 7:5

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) - ალექსანდრ პოპი (გერმანია) 4:6, 6:3, 6:4, 6:"

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 31) - ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:1, 3:1 ულირახმა თამაში შეწყვიტა.

ტომი რობრედო (ესპანეთი, 17) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:3, 6:2

გილიერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) - ტოდ რეიდი (ავსტრალია) 4:6, 6:1, 6:2, 6:2

ლუის ჰორნა (პერუ) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 18) 6:1, 7:6 (11:9), 6:3

მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:4, 6:4

რამონ სლუიტერი (ჰოლანდია) - რიკარდო მელო (ბრაზილია) 7:5, 6:1, 3:6, 6:1

მარიანო საბალეტა (არგენტინა, 30) - სტეფან რობერი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:3, 6:2

ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) - რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 2:6, 6:3, 6:3

ნიკოლას მასუ (ჩილე, 11) - იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 3:6, 6:1, 6:4, 7:6 (7:3)

ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - არნო კლემანი (საფრანგეთი, 32) 6:4, 6:3, 6:7 (5:7), 3:6, 16:14

ოლივიე მუტი (საფრანგეთი) - რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:4, 6:0

ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) - ნიკოლა მაუტი (საფრანგეთი) 7:5, 6:3, 3:6, 6:1

ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) - მარკ გიკე (საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:4), 6:4, 6:2

ფლორიან მაიერი (გერმანია) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 16) 6:7 (6:8), 6:!, 6:0, 7:6 (7:5)

ანდრეი პაველი (რუმინეთი, 21) - ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2, 0:0 ერნანდესმა თამაში შეწყვიტა.

გილიერმო კორია (არგენტინა, 3) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 6:2, 6:0

ჟიულიენ ჟან-პიერი (საფრანგეთი) კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:2, 6:4, 7:5

ალექს კორეჩა (ესპანეთი) - ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:1, 4:6, 6:3, 6:2

ვინსენტ სპეიდია (აშშ, 27) - ფლორინ სერა (საფრანგეთი) 7:5, 1:6, 4:6, 7:6 (9:7), 9:7

ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა, 22) - ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:3, 6:1, 6:4

პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 13) - ტომაშ ბერდიში (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:1

კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:3, 6:4, 3:6, 6:2

ხუან მონაკო (არგენტინა) - ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:1, 6:1, 5:7, 6:4

მიხაილ იუჟნი (რუსეთი) - დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:0, 6:4, 6:2

ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) - გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) 7:6 (9:7), 6:0, 6:0

ჟერომ ჰანელი (საფრანგეთი) - ანდრე აგასი (აშშ, 6) 6:4, 7:6 (7:4), 6:3

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 9) - სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 4:6, 4:6, 7:6 (7:2), 6:4, 6:3

ქალები:

ემილი ლუა (საფრანგეთი, 31) - სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:4

ტატიანა პერებიინისი (უკრაინა) - ელენა დოკიჩი (სერბეთი) 6:4, 6:1

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) - ვირჯინი პიშე (საფრანგეთი) 6:4, 6:2

ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3

მეგი სერნა (ესპანეთი) - აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:3, 3:6, 8:6

ანაბელ მედინა ჰარიგესი (ესპანეთი) - ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:1

მეგან შონესი (აშ) - სამანტა რივზი (აშშ) 6:4, 6:3

სილვია ფარინა (იტალია, 15) - ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 4:6, 6:0, 6:2

არანტა პარა სანტონია (ესპანეთი) - იულია ვაკულენკო (უკრაინა) 7:5, 6:2

ვერა დუშევინა (რუსეთი) - საორი ობატა (იაპონია) 6:1, 5:7, 6:4

მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 21) - ანკა ბარნა (გერმანია) 6:2, 6:2

ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 8) - კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2, 6:3

დინარა საფინა (რუსეთი, 32) - იულია შრუფი (გერმანია) 7:5, 6:7 (4:7), 6:3

მარია შარაპოვა (რუსეთი, 18) - ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:3, 6:0

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 1) - სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:4, 6:4

პაოლა სუარესი (არგენტინა, 14) - მილარგოს სეკერა (ვენესუელა) 6:3, 6:4

იულიანა ფედაკი (უკრაინა) - მარა სანტანჯელო (იტალია) 6:3, 6:1

მარისა ირვინი (აშშ) - ტარა სნაიდერი (აშშ) 6:2, 6:0

ტატიანა გარბინი (იტალია) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1, 6:2

ნიკოლ პრატი (ავსტრალია) - ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:4, 6:2

ვერა ზვონარევა (რუსეთი, 10) - სუსანა კუკოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:2

ჟენ ჟი (ჩინეთი) - დოლი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:1, 5:7, 6:4

ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) - მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:2, 6:1

მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) - სანდა მამიჩი (ხორვატია) 6:4, 7:5

რიტა გრანდე (იტალია) - ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 7:6 (9:7), 6:1

ლიზა რეიმონდი (აშშ, 28) - ლუბომირა კურჰაიკოვა (სლოვაკეთი) 0:6, 7:5, 6:3

ანა სმაშნოვა (ისრაელი, 19) - ფლავია პენეტა (იტალია) 6:1, 6:4

ელენა დემენტიევა (რუსეთი, 9) - მერვანა იუგიჩ-სალკიჩი (ბოსნია) 7:6 (7:4), 1:6, 6:4

მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) - ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 27) 6:3, 6:3

მარია ელენა კამერინი (იტალია) - ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 6:2

მარტა მარერო (ესპანეთი) - კრისტინა უილერი (ავსტრალია) 6:2, 4:6, 9:7

კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) - ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:3)

ლურჯ-წითელი ფერები

"ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა უპრეცედენტო წინადადება შესთავაზა 38 წლის იტალიელ ჯანფრანკო ძოლას, რომელმაც ერთი წლის წინათ დატოვა კლუბი. თუ ვეტერანი დაბრუნებას გადაწყვეტს, მისი ყოველკვირეული ხელფასი 50 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება.

როგორც ჩანს, რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი ლურჯ-წითელი ფერებისადმი ძალიან მგრძნობიარეა. მოსკოვის ცსკ-სთან ფანტასტიკური კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, რომლის ძალითაც ჩუკოტკის გუბერნატორის ნავთობის კომპანია "სიბნეფტი" ვალდებულია, სამ წელიწადში კლუბს 54 მილიონი დოლარი გადაუხადოს, აბრამოვიჩმა გადაწყვიტა, გუნდში დააბრუნოს კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც სეზონი ლურჯ-წითელი ფერის მაისურით გაატარა. ეს ფეხბურთელია ჯანფრანკო ძოლა, რომელმაც ლონდონური კლუბი რომან აბრამოვიჩის გამოჩენისთანავე დატოვა.

პრინციპში, აბრამოვიჩს ყოველთვის უნდოდა, გვერდით ძოლას ტიპის ფეხბურთელი ჰყოლოდა. იტალიელის დაბრუნება მან ჯერ კიდევ შარშან, ივლისში სცადა. საქმე ის არის, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" აბრამოვიჩის გამოჩენას ბევრი გულშემატკივარი სკეპტიკურად შეხვდა. ჩუკოტკის გუბერნატორმა კი ნდობის მოსაპოვებლად მოაწყო სამაგალითო პიარ-აქცია, რომლის მთელი ეშხი ის იყო, რომ კლუბში მისი მრავალწლიანი სიმბოლო დაბრუნებინა. ხოლო ის, რომ ძოლა სწორედ სიმბოლოა, ამას განხილვა არ სჭირდება.

"ჩელსიში" გატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში იტალიელმა უცხოელისთვის წარმოუდგენელი აღიარება მოიპოვა. შესაშური ფიზიკური მონაცემების 168 სანტიმეტრი სიმაღლის ფეხბურთელმა მოკლე დროში მოახერხა და კლუბთან ერთად ორჯერ მოიგო ინგლისის თასი, ხოლო 1998 წელს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასსაც დაეუფლა. მეტიც, 2002 წელს გულშემატკივრებმა ძოლა "ჩელსის" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ძოლას მიგრაციის ოფიციალური სარჩული იყო მისი დაპირება "კალიარის" ხელმძღვანელობისადმი, რომელთანაც ფეხბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "როცა კლუბს რომან აბრამოვიჩი ჩაუდგა სათავეში, დღის წესრიგის პირველ საკითხად ძოლას კონტრაქტი წამოიჭრა, - ამბობს კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ტრევორ ბერჩი, - შედეგად, ჩვენ დამატებითი დაფინანსება მივიღეთ და ძოლას შევთავაზეთ კონტრაქტი, რომელიც მას ხელს აძლევდა. თუმცა, ამ მომენტისთვის მან "კალიარის" ხელმძღვანელობას სიტყვა მისცა და, როგორც სიტყვის კაცმა, დაპირება შეასრულა".

ბრიტანული პრესის ცნობით, ძოლა და აბრამოვიჩი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. სწორედ მაშინ მოხდა წინასწარი შეთანხმება ძოლას "სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნებასთან დაკავშირებით. თუ შეთანხმება გაფორმდება, იტალიელი ვეტერანი, რომელიც წლეულს "კალიარის" სერია A-ში დაბრუნებაში დაეხმარა, ხელფასის სახით კვირაში 50 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ დღემდე არ არის ცნობილი, თუ რომელ როლში აპირებს აბრამოვიჩი ძოლას გამოყენებას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძოლა ვარსკვლავებით დახუნძლული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილს მოიპოვებს. სათადარიგოთა სკამზე ასეთი ხელფასის მქონე ფეხბურთელის გამწესება კი მეტისმეტად ბრიყვული საქციელი იქნებოდა. სავარაუდოდ, ძოლა კლუბში მოთამაშე მწვრთნელის თანამდებობას დაიკავებს და ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის ერთგვარი მედიატორი იქნება. ამას გარდა, მისი გამოჩენა აბრამოვიჩს ერთიორად აამაღლებს გულშემატკივართა თვალში.

გუშინ მადრიდის "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ დაადასტურა ინფორმაცია, რომ მცველი რობერტო კარლოსი მომავალი სეზონიდან "არისტოკრატების" ღირსებას დაიცავს. "ამჟამად ჩვენ ლონდონური კლუბიდან ფაქსს ველოდებით. მათ უნდა დაგვიდასტურონ, რომ მზად არიან, ფეხბურთელში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ. როგორც კი ფაქსს მივიღებთ, შეთანხმებას მაშინვე გავაფორმებთ", - განუცხადა ვალდანომ ესპანელ ჟურნალისტებს

ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და ქართული ყვავილოვანი რევოლუცია

A1 გვერდიდან

ვახტანგ ბაქრაძე, ფოტო

2003 წლის ნოემბერი.

პირველივე კონსულტაციებიდან აშკარა გახდა, რომ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა შეუძლებელი იყო; ეგ კი არა, ჟვანია-საakაშვილის ტანდემის ლიდერობით, თითქოსდა ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომი ნაციონალები და დემოკრატებიც ვერ ახერხებენ ბლოკად ჩამოყალიბებას, როგორც ჩანს, ამგვარი ტანდემი, თავად ჟვანიას გარდა, არავისთვისაა მისაღები, ამიტომ ზ. ჟვანია გამოდის პოპულისტურ-თავმდაბლური ინიციატივით - ის თავად ამბობს უარს, იყოს ბლოკის პირველი ნომერი, იგივეს მოუწოდებს სხვა ლიდერებსაც და ამ ადგილზე ნ. ბურჯანაძის კანდიდატურას სთავაზობს. ყველაზე მძიმე დღეში ნაციონალები აღმოჩნდნენ, რადგან მათგან რეალურად მოითხოვდნენ არა სიის პირველ ნომრობაზე უარის თქმას, არამედ ადგილობრივ არჩევნებში მიღწეული წარმატებების მთლიანად ჟვანიასთვის გადაცემას. ზეწოლა, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ მ. სააკაშვილი იძულებულია, უარი თქვას არჩევნებში პირადად მონაწილეობაზე, რათა პარტიული წარმატება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და საპარლამენტო არჩევნებში ასპარეზს ჟვანიას უთმობს. (ცხადია, თუკი დემოკრატები და ნაციონალები ჯამურად საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებდნენ, სააკაშვილი, რომელიც არ იქნებოდა პარლამენტარი, ბუნებრივად რჩებოდა შემდგომი საპარლამენტო პროცესების მიღმა).

მართალია, ოპოზიციური ბლოკი, თუნდაც ორსუბიექტიანი - დემოკრატები და ნაციონალები - არ შედგა, მაგრამ ისინი მაინც თანამოაზრეებად განიხილებოდნენ მომავალ პარლამენტში და ამას აფიქსირებდნენ კიდეც, თუმცა, რომელი ძალა იქნებოდა წამყვანი, ამას არჩევნების შედეგები განსაზღვრავდა. პოლიტიკური პროცესების განვითარების სცენარი უკვე იკვეთება: თუ დემოკრატები და ნაციონალები ჯამში შეძლებდნენ 118 პარლამენტარის გაყვანას, მაშინ მომავალ პარლამენტში თავმჯდომარის ადგილს იკავებდა ნ. ბურჯანაძე, ზ. ჟვანია ხდებოდა სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ღებულობდა გარანტირებულ მხარდაჭერას დასავლეთიდან, - როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, - რითაც რეალურად გააკონტროლებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და დე-ფაქტო იქცეოდა ქვეყნის პირველ პირად. დეიურე ამ ფაქტის გაფორმება 2005 წლის აპრილში მოხდებოდა თუ მანამდე, ეს უკვე დეტალებია და მნიშვნელობა აღარ აქვს.

ამ სცენარის უთუო რეალიზებისათვის, გარდა ჯამური 118 ხმისა, ზ. ჟვანიას შიდა კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვებაც სჭირდებოდა. მას ნაციონალებზე თუნდაც ერთი დეპუტატით მეტი უნდა გაეყვანა, რომ პროცესი ზედმეტი გართულებების გარეშე გაგრძელებულიყო. ეს კარგად ესმოდა ზ. ჟვანიას და "ბურჯანაძე-დემოკრატები" აფორმებენ ბლოკს ტრადიციონალისტებთან, რომლებიც ზ. ჟვანიას გაპრეზიდენტების შემდგომ პარლამენტის თავმჯდომარის ან სახელმწიფო მინისტრის პორტფელს მიიღებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული ყველა გამოკითხვით, რომლებსაც სხვადასხვა დამოუკიდებელი ექსპერტ-ჯგუფები ატარებდნენ და რომლის ტრაჟირება "რუსთავი-2"-ის საშუალებით ხდებოდა, პირველ პოზიციას სტაბილურად ინარჩუნებდა ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები", შემდეგ მონაცვლეობდნენ ნაციონალები და ლეიბორისტები. ცხადია, ამგვარი გამოკითხვები და შემდგომი ტირაჟირება ემსახურებოდა ერთ მიზანს - ამომრჩევლის თვალში მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებულიყვნენ "ბურჯანაძე-დემოკრატები". ამასვე ცდილობდა თითქმის მთელი "დემოკრატიული" მასმედია და არასამთავრობო სექტორი. "ნაციონალები" რეიტინგის შესანარჩუნებლად რადიკალურ, ლამის ავანტურისტულ აქციებს მიმართავდნენ, როგორიც იყო ბოლნისის და შემდეგ ბათუმში ჩატარებული აქცია. ამ უკანასკნელმა, შეიძლება ითქვას, გარდამტეხი როლი ითამაშა წინასაარჩევნო პროცესში და ნაციონალები ოპოზიციის ლიდერებად ჩამოაყალიბა.

ლიდერის ცვლილების მიუხედავად, მთავარი და აუცილებელი პირობა, რომელიც განსაზღვრავდა, რამდენად მისაღები იქნებოდა ჩატარებული არჩევნები, მინიმუმ 118 მანდატის კონტროლი იყო. თუ 118 მანდატს ეს ორი ძალა გააკონტროლებდა, შემდგომი პროცესის რეგულირება კულუარებში გადაინაცვლებდა, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, არჩევნები ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩაშლილიყო და ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია საზოგადოებრივ აზრს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აყალიბებდნენ. ასეთ შემთხვევაში საპროტესტო ტალღის აგორება და მართვა ზურაბ ჟვანიას უნდა ეტვირთა; თუკი ზ. ჟვანია შეძლებდა მასობრივი საპროტესტო აქციის აგორებას და მის წარმატებით დასრულებას, ის ბუნებრივად ხდებოდა ოპოზიციის ლიდერი.

არჩევნების შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა ოპოზიციისთვის, ამიტომ დაიწყო მუშაობა სცენარის მეორე ვარიანტმა. "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" მოითხოვეს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა. არჩევნები, რა თქმა უნდა, გაყალბდა და გაყალბდა კატასტროფულად, მაგრამ რომც არ გაყალბებულიყო, "ბურჯანაძე-დემოკრატები" მნიშვნელოვან წარმატებას მაინც ვერ მიაღწევდნენ, მაქსიმუმ 2-3 პროცენტით მეტი მიეღოთ, ვიდრე მიიღეს, მაგრამ ამ ფაქტორს უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა; მათ მოუწოდეს ამომრჩეველს, დაეცვათ საკუთარი ხმები და ქუჩაში გამოსულიყვნენ, მთელი ძალით ამუშავდა მასმედია და არასამთავრობო სექტორი. კაცმა რომ თქვას, არჩევნები და მისი შედეგები ყოველთვის შეიცავს დესტაბილიზაციის ელემენტს, - სწორედ ამ ელემენტის გამოყენება და გაძლიერება იყო საჭირო; არჩევნების შედეგებით უკმაყოფილონი იყვნენ ნაციონალებიც, ოღონდ ისინი რამდენიმე საარჩევნო ოლქის შედეგების გაუქმებასა და გადასინჯვას მოითხოვდნენ, ისინი საპროტესტო აქციებში მხოლოდ მაშინ ჩაერთნენ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ფარდის უკნიდან ავანსცენაზე გამოსული ზ. ჟვანია თავისი გუნდით ვერ შეძლებდა საპროტესტო აქციებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცა.

საინტერესოა, რატომ არ ჩაერთნენ ნაციონალები საპროტესტო აქციებში თავიდანვე, ხოლო ჩართვის შემდეგ რატომ შეცვალეს აქციის ხასიათი? ამ კითხვებზე პასუხის მრავალი ვერსია შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არის ერთი, ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი:

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს ქართული პოლიტიკური სპექტრი განიხილავდა, როგორც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ეტაპს. პარლამენტი არის ის სტრატეგიული პუნქტი, რომლიდანაც საპრეზიდენტო სავარძლისათვის ბრძოლის წარმოება გაცილებით ეფექტიანად შეიძლება, თუ პარლამენტში აქტიური და ძლიერი საყრდენი ჯგუფი გეყოლება. ახლადარჩეული პარლამენტის ლეგიტიმაცია რომ მომხდარიყო, მაშინ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებით ნაციონალებს ეყოლებოდათ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მობილური ოპოზიციური ფრაქცია, თავად სააკაშვილი რჩებოდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ, ეს პოსტი მას უკვე ჰქონდა აპრობირებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში - ასე რომ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს შეეძლო ორმაგი ფრონტით ებრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის. რაც შეეხება ზ. ჟვანიას, ამ შემთხვევაში მისი პერსპექტივა საკმაოდ მცირერიცხოვანი ფრაქციის ლიდერობა იყო; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტში მრავლად იქნებოდნენ ისეთი პარლამენტარები, რომელთაც სიტყვაც უჭრით, გონებაც, არც რისკს ერიდებიან და არც მოქკავშირული წარსულით არიან დამძიმებულნი, ზ. ჟვანიას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ოპოზიციურ პარლამენტში არსებული კონკურენციისათვის გაეძლო და რიგით უფერულ პარლამენტარად არ გადაქცეულიყო, ამიტომ, თუ ნაციონალები ჩაებმებოდნენ აქციებში, მათი მიზანი (სააკაშვილის ინტერესი) უკვე საპრეზიდენტო სავარძლის მოპოვება იქნებოდა და არა რამდენიმე დეპუტატით თავისი ფრაქციის გაზრდა. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა ლოზუნგი "საქართველო შევარდნაძის და აბაშიძის გარეშე". მათი სამიზნე პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ მათ აპრობირებული ჰქონდათ ლოზუნგი "საქართველო შევარდნაძისა და აბაშიძის გარეშე". თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისათვის აქციის "ასაგორებლად" ნაციონალური მოძრაობაც საკმარისი საყრდენი იყო და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების თუ ლიდერების მხარდაჭერას არ საჭიროებდა, მას მაინც მოუწია წასულიყო გარკვეულ კომპრომისზე - აქციის ორგანიზატორთა წრე ტრიუმვირატით შემოეფარგლა და არ მიეცა საშუალება პოლიტიკური ფიგურებისათვის (საკუთარი თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან), აქციის მიმდინარეობაში სრულფასოვანი მონაწილეობა მიეღოთ. როგორც ჩანს, სააკაშვილი მოერიდა იმ დასავლურ ძალებთან კონფრონტაციას, რომლებიც ლამის ბოლო წუთამდე ე. შევარდნაძის მემკვიდრედ განიხილავდნენ ზ. ჟვანიას და არა მას, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მიუძღოდათ შექმნილი სიტუაციის მომზადებასა და ორგანიზებაში.

ნოემბრის მოვლენებმა სააკაშვილს არა მარტო პრეზიდენტის სავარძელი მოუტანა, არამედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერობიდან საერთო-სახალხო ლიდერად აქცია. ის პარალელიც, რომელსაც მასა და ზ. გამსახურდიას შორის ავლებენ, სწორედ აქედან მოდის. ზ. გამსახურდიას საზოგადოება აღიქვამდა, როგორც ერის რუსული იმპერიისგან განმათავისუფლებელს, ხოლო მ. სააკაშვილს იგივე საზოგადოება აღიქვამს, როგორც გამათავისუფლებელს შევარდნაძის რეჟიმისაგან.

ეს, ასე ვთქვათ, დაპირისპირების ერთი, ოპოზიციური ნაწილი, რომლის მოქმედებისა და მიმდინარე თუ სამომავლო გეგმების შესახებ საკმაოდ იყო ინფორმირებული საზოგადოება, მაგრამ რა ხდებოდა მეორე მხარეს, ხელისუფლებაში; მიიღო თუ არა გარანტია ე. შევარდნაძემ და თუ მიიღო, ვისგან და რის ფასად... ეს არის საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო ნოემბრის დღეებშიც, დღესაც და მისი აქტუალობა არ განისაზღვრება მხოლოდ ცნობისმოყვარეობით, რადგან შევარდნაძე მსოფლიოსთვის ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იყო და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი მაინც პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ.

მაშ ასე, იყო თუ არა შევარდნაძე თანამონაწილე იმ პროცესებისა, რომლებიც ბოლო პერიოდში განვითარდა საქართველოში თუ მართლაც საკუთარი არაადეკვატური (როგორც ნოემბრის პერიოდში ოპოზიციის ლიდერები აღნიშნავდნენ) მოქმედების მსხვერპლი გახდა?

იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ხელისუფლებაში, ინფორმაცია იმდენად მწირი და წინააღმდეგობრივია, რომ ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებიდან წასულ შევარდნაძეს უსაფრთხოების გარანტიები ნამდვილად სჭირდებოდა; კამათს შეიძლება სხვა რამ იწვევდეს, კერძოდ, შეეძლო თუ არა ე. შევარდნაძეს ხელისუფლებიდან უფრო ღირსეულად წასულიყო? ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას მოითხოვდა მისგან დასავლეთი უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ. თუ ე. შევარდნაძისგან მხოლოდ ხელისუფლებაზე უარის თქმას მოითხოვდნენ, მას შეეძლო ეს ისე გაეკეთებინა, რომ ლამის მთელი მოსახლეობის აღფრთოვანება გამოეწვია. თუ მისგან არა მხოლოდ ხელისუფლებაზე უარის თქმას, არამედ ხელისუფლებაში კონკრეტული პოლიტიკური ძალის მოყვანასაც მოითხოვდნენ, მეტიც, არა მხოლოდ პერსონალურად უნდა ეთქვა უარი ხელისუფლებაზე - და კონკრეტული პოლიტიკური ძალისათვის გადაებარებინა იგი, არამედ პოლიტიკური ასპარეზისათვის უნდა ჩამოეცილებინა საკუთარი პოლიტიკური და სახელისუფლებო გარემოცვა, მაშინ?

თუ დავუშვებთ, რომ შევარდნაძეს სწორედ ეს ფუნქცია ეკისრა, მაშინ მისი ყველა ქმედება, მათ შორის სენაკის ძროხების მონახულება და აბაშიძესთან ვიზიტი, სრულიად ლოგიკურია.

მისი მოღვაწეობა ვერ იქნებოდა პენსიაზე გასული პრეზიდენტისათვის მშვიდად ყოფნის გარანტი; ისიც ცხადია, რომ საქართველოში არსებული ვერც ერთი პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი ვერ მისცემდა ამგვარ გარანტიას, ხოლო აზერბაიჯანული სცენარის საქართველოში გათამაშება რომ შეუძლებელი იყო, ამის გაგება არ გაუჭირდებოდა, როგორი არაადექვატურიც უნდა ყოფილიყო. ამიტომ გარანტიები მას სხვაგან, საზღვარგარეთ, კერძოდ კი დასავლეთში უნდა ეძებნა. მან, რა თქმა უნდა, იცოდა ირანის შაჰის, ფილიპინების პრეზიდენტ მარკოსისა და პინოჩეტის ისტორიები, ამიტომ მათი მხრიდან გაცემული გარანტიების სანდოობა ეჭვს არ იწვევდა.

რადგან ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდით, ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად ინდუქციის მეთოდი გამოვიყენოთ და დავუშვათ, რომ ე. შევარდნაძე ამ პროცესების თანამონაწილე იყო; თუ მოვლენათა შემდგომი განვითარება ერთიან ლოგიკურ ჯაჭვს შექმნის, მაშინ ჩვენი ვარაუდი რეალურ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ე. შევარდნაძეს რომ გარანტია სჭირდებოდა, გასაგებია, და ვფიქრობ, დავას არ იწვევს, მაგრამ ჭირდებოდა თუ არა დასავლეთს ე. შევარდნაძე?

რა თქმა უნდა, ჭირდებოდა! თუ შევარდნაძე ჩაერთვებოდა ამ პოლიტიკურ სპექტაკლში, ეს ნიშნავდა მიმდინარე პროცესებზე სრულ კონტროლს, რაც თითქმის მთლიანად გამორიცხავდა რაიმე გაუგებრობას, მინიმუმამდე დაჰყავდა პროვოცირების ალბათობა და, რაც მთავარია, ეს იქნებოდა საფუძველი ხელისუფლების უმტკივნეულოდ ჩანაცვლებისა, რაც, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებშიც შედიოდა. გარდა ამისა, მხოლოდ შევარდნაძეს შეეძლო მორალურად გაენადგურებინა და პოლიტიკური ასპარეზიდან მოეშორებინა ის ოდიოზური ფიგურები და თვითდაჯერებული ბრიყვები, რომლებიც მრავლად იყვნენ სახელისუფლებო ბლოკში და რომელთა ნაკლებობას ქართული პოლიტიკური სპექტრი ზოგადად არასოდეს განიცდიდა. ამგვარად ხდებოდა სამოქმედო ასპარეზის გასუფთავება და უახლოეს მომავალში გამორიცხავდა ახლადმოსული ხელისუფლებისადმი მკვეთრი პოლიტიკური (ვთქვათ, ყოფილი სახელისუფლებო ან რომელიმე სხვა ძალის მხრიდან) დაპირისპირების შესაძლებლობას.

როდესაც მოქკავშირში განხეთქილება მოხდა და ე. შევარდნაძემ უარი თქვა პარტიის ლიდერობაზე, ეს სრულიად ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილება იყო. ბუნებრივია, მას გაცილებით მეტად აძლევდა ხელს, ნეიტრალურ პოზაში დალოდებოდა მოვლენების განვითარებას. აშკარად ჩანდა ისიც, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით და პოლიტიკურ ძალთა მკვეთრი დაპირისპირების ფონზე პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ნეიტრალური პოზიციიდან გაცილებით უკეთ შეძლებდნენ პროცესების მართვას, ვიდრე მაშინ, როცა ის ერთ-ერთი მხარე იქნებოდა. ოღონდ, შეძლებდნენ მართვას და არა კონტროლს, თუმცა ამგვარი მართვა საშუალებას მისცემდა ასატანი, ასე ვთქვათ, "რბილი" გაყალბების პირობებში შეექმნათ საპარლამენტო უმრავლესობა მათთვის მეტ-ნაკლებად მისაღები პოლიტიკური ძალებისა და მაჟორიტარების ხარჯზე, - ამგვარი გამოცდილება უკვე არსებობდა და წარმატებით იქნა გამოყენებული 1992 წლის არჩევნებში, ოღონდ მაშინ არ იდგა შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის საკითხი, იმ პერიოდში შევარდნაძეს სჭირდებოდა ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია და არა უსაფრთხოება; ამგვარი გარანტიის მიღება პოლიტიკური პროცესების მართვითაც შეიძლება, როცა უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად აუცილებელია მიმდინარე პროცესების უშუალო კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩარევა და პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვა. მით უმეტეს, თუ დავუშვებთ, რომ შევარდნაძის ფუნქციას არა მხოლოდ ხელისუფლების გადაცემა, არამედ "საკუთარი" გუნდის ჩაძირვაც წარმოადგენდა; პრინციპში, სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის "ჩაძირვის" გარეშე, ცხადია, ოპოზიციისათვის ხელისუფლების უმტკივნეულოდ გადაცემა ვერც მოხერხდებოდა.

აი, ამიტომ მან არა თუ არ გამოიყენა 1992 წლის გამოცდილება, არამედ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს გამოცდილება არ გამოეყენებინათ სხვებს სახელისუფლებო ბლოკიდან, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ და არც გაყალბებაზე იტყოდნენ უარს.

დასასრული შემდეგ ნომერში

თქვენთანაც მოვა პრეზიდენტი

ნინო ხონელი

გიორგი ბასარიძის ფოტო

ისე მოხდა, რომ 18 მაისს რესპუბლიკის მოედანზე გამართულ კონცერტზე მონაწილეობა არ მიიღეს ჯგუფებმა: "სოფტ ეჯექტი", "ზუმბა" და "მწვანე ოთახი". მიზეზი ის გახლდათ, რომ მათ არ მოინდომეს ე.წ. "ფონოგრამშიკებთან" ერთად სიმღერა. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ მათი მხრიდან, ეს ოდნავ გაპრანჭული საქციელი იყო, მაგრამ ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. რამდენიმე დეტალი, რომელიც თვალში მომხვდა და ზემოთხსენებული მუსიკოსების მდგომარეობაში შევედი:

1. კონცერტი ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ "რუსთავის" ფონოგრამაზე შესრულებული ხალხური სიმღერით დაიწყო. ხალხურ სიმღერებსაც თუ ასრულებდნენ ფონოგრამაზე, ეს ჩემთვის ნამდვილად აღმოჩენა იყო. მაგრამ მათ რა დააშავეს, თან ახლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებთან დაკავშირებით ფილარმონიაში გალაკონცერტებისთვის ემზადებიან, ხმები შემოინახეს, თან იფიქრეს, მაინც არავინ გაგვიგებსო. მაგრამ ასეთ ანტირეკლამას საპასუხისმგებლო კონცერტების წინ მაინც არ გავიკეთებდი.

2. ამ სტატიის საბაბი კი **უცნობია**; ხალხის და, როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტის საყვარელი სიმღერა ვაგონი მიქრის". ჰოდა, ავიდა უცნობი სცენაზე და დაიწყო პირის ცმაცუნი, ავიდა პრეზიდენტიც, ააფარა ხელები თვალზე და ჰკითხა: ვინა ვარ? პასუხი არ არის. უცებ უკან მოიხედა და ჰოი, ვის ხედავს! ეს ხომ საქართველოს ცოცხალი პრეზიდენტია! მოიცილა მიკროფონი და ჩაიკრა გულში, ვაგონი კი მიქრის, სიმღერა გრძელდება. იპოვა ეს ბუტაფორიული ატრიბუტიკა, (მიკროფონის სახით) დაჭიმა ძარღვები, დააღო პირი და გააგრძელა სიმღერა და ცეკვა-თამაში. საზოგადოება აღშფოთდა, ღმერთო ჩემო, ეს რა მოძრაობებია, ნუთუ მოდური ცეკვა არ იცის ჩვენმა პრეზიდენტმა. და უცებ წარმოვიდგინე ემინემის სტილში მოცეკვავე სააკაშვილი, რომ დაუვლიდა სცენას, სამი თითის კომბინაციით რაღაცას გვაჩვენებდა, ერთსაც მოგვაგინებდა და აღარ გავაგრძელებ. მერწმუნეთ, ისევ ის მოუხერხებელი მიხვრა-მოხვრა ჯობია. არადა სულ რომ არ იცეკვოს, ასეც არ გამოვა - კლინტონი საქსაფონზე უკრავდა და ჩვენმა პრეზიდენტმა აღარც იცეკვოს?! ჰოდა იმ ბარბრა სტრეიზანდს, რომელთან ერთადაც კუნტრუშობდა კლინტონი, ეს ჩვენი უცნობიც კი ჯობია, ნიღაბს მაინც იფარებს ხოლმე შიგადაშიგ სახეზე.

3. კლინტონი და ბარბრა არ ვიცი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, კონცერტი მაინც კარგი იყო, ნიაზ დიასამიძემ, ირაკლი ჩარკვიანმა და ბათუმიდან ჩამოსულმა ჯგუფმა ხომ მაინც იმღერეს ცოცხლად. და მათი სიმღერიდან ნამდვილად მოდიოდა ის მუხტი, რომელიც ამ შეკრების მიზეზი იყო. მხოლოდ ერთი მომხვდა ყურში. არ ვიცი, შეიძლება მე უკვე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც რამდენიმე სტერეოტიპი თავში ისე აქვს გამჯდარი, რომ ვერაფრით იცილებს, მაგრამ: ყველაზე ბებერი ქვეყნის, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტს გაუმარ-ჯოს, "ყველაფერს ვეტყვი პრეზიდენტს, "არაფერსაც არ ვეტყვი, საქართველოს პრეზიდენტს გაუმარ-ჯოს და ა.შ. რა ვქნა, სულ რეზო ამაშუკელი, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი და მათი თაობის წარმომადგენლები მახსენდებიან და უხერხულობის განცდა არ მტოვებს. თუმცა, შესაძლებელია ვცდები, მგონი, ახლა ნამდვილად კარგი პრეზიდენტი გვყავს, წინა პრეზიდენტებისგან თუ ცეკას მდივნებისგან განსხვავებით და რატომაც არ გაუმარჯოს.

და ბოლოს ისევ დასაწყისს დავუბრუნდები. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ხარვეზი იყო, კონცერტი მაინც წარმატებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუკი მთავარი მიზანი აჭარის განთავისუფლების საზეიმო აღნიშვნა იყო, ეს ნამდვილად შესრულდა და ეს დანიშნულება სწორედ ცოცხალი შესრულებით მომღერალმა მუსიკოსებმა შეძლეს. არ ვიცი, დააკლდა თუ არა რამე კონცერტს ზუმბას, "სოფტ ეჯექტის" თუ "მწვანე ოთახის" გამო, მაგრამ იმედია, მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებენ. ახლა საქართველოს პრეზიდენტი არა მხოლოდ "ფეოდალებისგან" თუ დამპყრობლებისგან ათავისუფლებს ქართულ მიწას და ხალხს, არამედ "ფონოგრამშიკებსაც" ამხელს. ასე რომ, ფრთხილად ლელა, დათო, მაია და ჩემო ცისანა, მოულოდნელად თქვენთანაც მოვა პრეზიდენტი და ჩამოგართმევთ მიკროფონს. მერე კი ხალხი გაგასამართლებთ. მერე ვეღარც მიშასთან ერთად ცეკვა გიშველით და ვეღარც საკუთარი ხმით (და არა ჩანაწერით) ყვირილი - საქართველოს პრეზიდენტს გაუმარ-ჯოს.

ჯორჯ ბუში - პანკების ახალი კერპი

ალბათ, ძალიან გაჭირდებოდა 30 წლის წინათ იმის დაჯერება, რომ ოდესღაც პანკებიც პოლიტიკურად ანგაჟირებულები გახდებოდნენ. მაგრამ, დღეს ეს აღარავის უკვირს. განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, სადაც მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად მსოფლიო დონის ვარსკვლავები თუ ამერიკის გარეთ ნაკლებად ცნობილი შემსრულებლები ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებიან უჩვეულო ამპლუაში და მეტიც - პოლიტიკური განცხადებების მიზნით, სხვადასხვა გაერთიანებებს ქმნიან.

შეერთებულ შტატებში ახალი ახალგაზრდული სუბკულტურა - კონსერვატული პანკ-როკი ყალიბდება. უცნაური ფაქტია, მაგრამ რეალობაა, რომ მრავალი პანკი ჯორჯ ბუშისა და რესპუბლიკური პარტიის გარშემო გაერთიანდა.

ჯგუფ Gotham Road-ის ფრონტმენი მაიკლ გრეივზი, ერთი შეხედვით, საერთოდ არ ჰგავს ტიპურ ახალგაზრდა რესპუბლიკელს. როგორც ყველა თავმოყვარე პანკს, მასაც თმა გადაპარსული აქვს და აცვია მუხლებამდე დოქტორ მარტინესი, მაგრამ იგი ამერიკელ როკერებს შორის ყველაზე აქტიური რესპუბლიკელია. მისი ჯგუფი ახლახანს გაემგზავრა ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ტურნეში. მისი სიმღერის ტექსტები აგრესიული, შინაარსობრივად კი - ნაკლებად გასაგებია. პოპ-კულტურას მემარცხენე რადიკალები კვებავენ. ჩვენ მათ ვეომებით, ჩვენი ჯგუფი ამერიკულ ახალგაზრდულ მუსიკაში იშვიათი მოვლენაა. ლიბერალური ისტებლიშმენტი არაფრით არ არის უკეთესი კონსერვატიულზე. კონსერვატიზმი პანკებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ლიბერალიზი, მე ახლანდელ ადმინისტრაციას ვუჭერ მხარს, რადგანაც ვიზიარებ მის საბაზო ღირებულებებს. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს ქვეყანა სწორი მიმართულებით მიჰყავს. არიან კი უფრო მეტად შესაფერისი კანდიდატურები ამ თანამდებობაზე? დღევანდელ პრეტენდენტებს შორის მე მათ ვერ ვხედავ, - ამბობს მუსიკოსი.

conservativepunk.com ვებ-გვერდის შემქმნელი და ნიუ იორკული ჯგუფის Bouncing Souls-ის თაყვანისმცემელი ნიკ რიცუტო კი საკუთარ თავს კაპიტალისტურ პანკს უწოდებს. კონსერვატიზმი პანკებთან გაცილებით ახლოსაა, რამდენადაც ის პირად პასუხისმგებლობაზეა აქცენტირებული, - ამბობს იგი.

ცნობილი The Ramones-ის გიტარისტი ჯონი რამონი ამერიკელ მუსიკოსებს შორის შეიძლება მემარჯვენე კონსერვატული მოძრაობის ვეტერანად ჩაითვალოს. როდესაც მის ჯგუფს 2002 წელს ადგილი დაუმკვიდრეს როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში, მუსიკოსმა ასეთი ტექსტით დაასრულა გამოსვლა: ღმერთო, დალოცე პრეზიდენტი ბუში! ღმერთო დალოცე ამერიკა! ბევრ შემთხვევაში, პანკებს რესპუბლიკელები უფრო მეტად ესიმპათიურებათ, ვიდრე დემოკრატები, - ამბობს ჟურნალ "როლინგ სტოუნზის" მიმომხილველი ენტონი დე კურტისი, - ისევე როგორც პანკები, ისინი სამყაროს ყოფენ თავისიანებად და მტრებად.

რასაკვირველია, ამ მოსაზრებებს ყველა ამერიკელი პანკი არ იზიარებს. ბოლოს და ბოლოს, პანკების მოძრაობა 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ანტიკაპიტალისტური და მეამბოხე ძალა. Sex Pistols ნიჰილიზმსა და ანარქიას ადიდებდა, ხოლო The Clash აშკარად მემარცხენე იდეებს იზიარებდა. Green Day, Foo Fighters და ორასამდე ცნობილი თანამედროვე ამერიკული პანკ-ჯგუფი ინტერნეტგვერდ punkvoter.com-ის გარშემო გაერთიანდა. ახლახანს მათ გამოსცეს სიმღერების კრებული, სადაც პრეზიდენტის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენი მოწოდებაა - მიხვიდეთ არჩევნებზე და ბუშის წინააღმდეგ მისცეთ ხმა. პოლიტიკაში უნდა მიიღო მონაწილეობა და უნდა გაიაზრო, რა ხდება ირგვლივ, - ამბობს ჯგუფ Anti-Flag-ის სოლისტი.

ამერიკელ პანკებს შორის არსებული ეს დაპირისპირება მთლიანად საზოგადოების განწყობას ასახავს. ამერიკა პოლიტიზირებულია ისე, როგორც არასდროს. თუკი ადრე კარგ ტონად მიიჩნეოდა პოლიტიკისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ახლა ასე არაა. სწორედ ამაზე მიუთითებს ამერიკულ პანკ-როკ სამყაროში არსებული ვითარებაც.

სკანვორდი



TV პროგრამა

25 მაისი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის ფინალი. "მონაკო"-"პორტო".

TV5

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ახალი ტალღის მუსიკოსი. რეზვანი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** ინვენტარიზაცია. მხ.ფილმი. რეჟისორი კაროლინ უპერი. 1997. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.25** კულტურა სახელმწიფოს საქმეა. დოკ. ფილმი. **24.00** ხსოვნა. ეთიოპია. დოკ. ფილმი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დოკ. ფილმი **10.45** სატ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** სატ. ფილმი "ქვევრი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "წინანდალი" **15.15** მხ. ფილმი "საბუდარელი ჭაბუკი" **16.35** "საქართველო არის ესე" **17.00** "მუსიკალური არჩევნები" **17.35** ვიდეოფილმი "საქართველო" **18.00** ვესტნიკი **18.25** მუს. ფილმი "ჩვენ მშვიდობა" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** ვიდეოფილმი "მარბენალი" **22.20** აღლუმი **23.00** კონცერტი **01.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **01.20** მხ. ფილმი "ამაღლება" (გ)

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

202

10.00 მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ქსელი" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ანტიტრასტი" (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "ფულით სავსე მატარებელი" (უესლი სნაიპსი) (18) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "მკვლელისათვის" (ნ. კინსკი) (18)

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ხიროსიმა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "პატრიოტული თამაშები" (გ) (ჰ. ფორდი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მეათე სამეფო" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზომამაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "ალი ჯი სახლშია" (18) (სამა ბეირონ კოენი)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი **21.30** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "ბაკულას ღორები" და "კაცები"(გ)

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

იმედი

08.00, 11.00, 13.00, 15.00 ქრონიკა **08.15, 12.00, 01.55** იმედის მელოდიები **08.25, 01.25** ტვ-მარკეტი **09.00** "იმედის" დილა **11.05** სერიალი "ტყუპები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "ცისფერი მთები" **16.45** "იმედითა შენითა" **17.00, 19.00, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.20** კონცერტი "ვ. ბურჭულაძე თბილისში" **19.30** "პირველი ნახევარი" **20.00** ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი) **23.00** "უცხოეთის ცის ქვეშ" - გ. რობაქიძე **23.30** მხ. ფილმი "იდეალური ქმარი" (ჯ. მური) (გ) **01.35** არტ-ბულვარი.

იბერია

08.00 მხ. ფილმი "დიახ, მაგრამ" (18) **10.30** ოპერა **13.15** კონცერტი **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "საუზმე ტიფანისთან" **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **21.30** მხ. ფილმი "კლიენტი" **22.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "გზააბნეულები" (12)

ОРТ

07.00 "Доброе утро". **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости. **10.20, 22.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.20, 19.50** Сериал **"КЛОН". 12.20** "Ералаш". **12.40** Диснейклуб: "Мышиный дом". **13.20** Город женщин. **14.10** Владлен Бирюков в фильме **"ПРИКАЗ: ПЕРЕЙТИ ГРАНИЦУ" 16.20** Сериал **"БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Просто смех! **20.50** "Стирка на миллион". **21.00** Телесериал **"ДРУГАЯ ЖИЗНЬ". 22.00, 00.30** Время. **23.35** Премьера. "Вождь и писатель. Хрущев и Шолохов". Фильм 2-й. **00.50** "Фабрика звезд". **01.10** Новые чудеса света. "Сидней. Космическая готика". **01.40** "Большой взрыв". **02.10** "Тихий дом". Зинаида Шарко. **02.40** Триллер **"ЗВЕРЬ". 2**-я серия. **04.20** Лайза Миннелли в комедии **"ЛЕДИ УДАЧА"**.

НТВ

07.00 Утро на НТВ. **09.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок: группа "Смэш". **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 03.00** "Сегодня" **13.30** Борислав Брондуков в фильме **"СМОТРИ В ОБА!" 15.10** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Пятнистые кошки". **19.35** Протокол. **20.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол. Лига чемпионов. Финал. "Порту" (Португалия) - "Монако" (Франция).** Прямая трансляция. **01.45** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ"**.

რა იქნება ხვალის შემდეგ

კინოთეატრ "რუსთაველის" ადმინისტრაცია ბოლო დროს საკმაოდ ხშირად იწვევს ჟურნალისტებს, რითაც თითქმის ყოველი ახალი ფილმის ეკრანებზე გასვლას საუკეთესო რეკლამას უკეთებს. ასე იყო ამჯერადაც, თუმცა რუსთაველის ხელმძღვანელობას მხოლოდ მორიგ საპრემიერო ფილმთან დაკავშირებით არ უსაუბრია.

"დღე ხვალის შემდეგ" (The Day After Tomorrow) ამ სახელწოდებით გავა დღეიდან რუსთაველის ეკრანებზე წარმოშობით გერმანელი რეჟისორის როლანდ ემერიხის ფანტასტიკური ჟანრის ამერიკული ფილმი. ამ ნამუშევრის პრემიერა 28 მაისიდან მსოფლიოს 33 ქვეყნის კინოეკრანებზეა დაგეგმილი. თბილისის კინოთეატრის ხელმძღვანელობასთან მცირეოდენი მოლაპარაკებების შემდეგ ამერიკელი კინოგამქირავებლები დათანხმდნენ გამონაკლისზე, რომ ფილმი საქართველოში ორი დღით ადრე ნახოს მაყურებელმა.

ძალიან გაცვეთილია ტერმინი - ყველაზე ფართომასშტაბიანი კატასტროფა ეკრანზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს ფილმი ამ ტერმინს თავიდან ბოლომდე ამართლებს. სანახაობრივად ეს კინოსურათი ძალიან ეფექტურია, - ასე წარადგინა ჟურნალისტებისთვის "დღე ხვალის შემდეგ" "რუსთაველის" მენეჯერმა ირაკლი ჩიკვაიძემ. ერთი სიტყვით, დღე ხვალის შემდგე კინოთეატრის ადმინისტრაციის ფავორიტი კინოსურათია, რომლის მსგავსიც "რუსთაველს" აქამდე არ უჩვენებია. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, ამაში დღეიდან დარწმუნდება მაყურებელი, ვისაც ეკრანზე გადატანილი მსოფლიო კატასტროფების ნახვა ხიბლავს.

რაც შეეხება "რუსთაველის" სხვა, და, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვან გეგმებს. კინოთეატრის მფლობელმა ჯგუფმა უკვე დაიწყო ბათუმში ყოფილი კინოთეატრი "თბილისის" რეკონსტრუქცია. კინოთეატრი სახელწოდებით "აჭარა" ივნისის მეორე ნახევარში გაიხსნება; სავარაუდოდ, შემოდგომაზე "რუსთაველს" ფილიალი ქუთაისშიც ექნება. სექტემბერში კი თბილისელი მაყურებელი კანის ფესტივალის ფავორიტს, მაიკლ მურის დოკუმენტურ ნამუშევარს "ფარენჰეიტი 9/11"-ს იხილავს.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსნავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითოთიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

VALENTINI
ვალენტინი

ავეჯის სახლი "ვალენტინი" 116
გამოფენის ტერიტორიიდან გადავიდა ყორეთლის

-10% -20% -40%

საოფისე ავეჯი

ბავშვის ოთახი

აბაზანის ავეჯი

სამზარეულო და სასადილო გარნიტურები | სამეულები | საძინებელი გარნიტურები | ალუმინის შეკიდული ჭერები | მეტალოპლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯარა ვიტრაჟები | გათბობის სისტემები

მისამართი: ა.ყორეთლის №116 ტელ: 34 73 20